

ადამიანის უფლებათა  
დარღვევები საქართველოში

ალტერნატიული ანგარიში გაეროს  
წამების საწინააღმდეგო კომიტეტს  
36-ე სესია

**ანაგრიში მოამზადეს:**

ნინო ლვედაშვილი და უჩა ნანუაშვილი (HRIDC)

ანა ღოლიძე და სოფიო ჯაფარიძე (GYLA)

ლია სარალიძე, ქეთევან მარგალიტაძე და მარიამ მასხულია (PHMDF)

მარიანა დუარტე, სესილი ტროჩუ და პატრიკ მუტცენბერგი (OMCT)

OMCT მადლობას გამოხატავს ვანესა კერამპრანის, ვიქტორია ლიის და ვენუს მარონის მიმართ ანაგრიშის მომზადებასა და გამოცემაში დახმარების გაწვევისთვის.

*უენევა – თბილისი, 2006 წლის 24 აპრილი*

## შესავალი:

მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ - OMCT- თვის ალტერნატიული ანგარიშების მომზადება ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა, რაც ამასთანავე წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს გაეროს ორგანოებისათვის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CAT) ჩათვლით. ეს არის დამატებითი საქმიანობა მსხვერპლთა უშუალო დახმარების აღმოსაჩენად.

ალტერნატიული ანგარიშები ძალზედ ღირებულ წყაროს წარმოადგენს დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის, რომლებიც ანალიზს უკეთებენ გაეროს აღამიანის უფლებათა ინსტრუმენტების პრაქტიკულ დანერგვა-განხორციელებას. აღნიშნული ანგარიშებით შესაძლებელი ხდება სიტუაციის, რაც შეიძლება, ობიექტურად დანახვა და მთავრობის ქმედებებისადმი კრიტიკული თვალთ შეხედვა, რათა მოხდეს წამების და სხვა არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აღმოფხვრა.

ევროკავშირისა და შვეიცარიის კონფედერაციის ეგიდით, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია პროგრამების - “სახელმწიფო ვალდებულება”, „ბავშვთა უფლებები“ და „ძალადობა ქალების მიმართ“ ფარგლებში წარმოადგენს აღნიშნულ ანგარიშს აღამიანის უფლებების დარღვევებზე საქართველოში წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 36-ე სესიაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის პირველიდან ცხრაშემდეგ მაისამდე, რომლის განმავლობაშიც მოხდება საქართველოს შესამე პერიოდული ანგარიშის განხილვა.

აღნიშნული ანგარიშის მომზადება მოხდა ერთობლივად, სამი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისა და OMCT-ის თანამშრომ-

## აღამიანის უფლებათა უარღვევები საქართველოში

ლობით. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრებთან გამართულ სესიასზე წამოადგენენ აღნიშნულ ალტერნატიულ ანგარიშს და მიუთითებენ მათი შეშფოთების საგანსა და საკითხებზე საქართველოში არსებული სიტუაციის მიმართ.

ეს ანგარიში გამოიცემა და გამოიყენება, რათა მოხდეს ლობირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ანგარიშზე დამატებული იქნება შენიშვნა კომიტეტის დამოუკიდებელ ექსპერტებსა და საქართველოს დელეგაციას შორის დიალოგის, ასევე კომიტეტის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ.

და ბოლოს, დაგეგმილია შემდგომი მისია საქართველოში, რომელიც განხორციელდება რეკომენდაციების გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში.



აპრილის უკლებლად უარუვეები სარხველი

## ზოგადი შესავალი

### ანგარიშის ავტორები (ორგანიზაციების მოკლე პრეზენტაცია)

„ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“ 1996 წლის 10 დეკემბერს დაარსდა, როგორც არამომგებიანი, არასამთავრობო ორგანიზაცია.

ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები საქართველოში.

ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

- იურიდიული დახმარება – ადამიანის უფლებათა ცენტრში ფუნქციონირებს უფასო იურიდიული საკონსულტაციო ცენტრი, სადაც მოქალაქეებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საკითხებში სატელეფონო, პირადი კონსულტაციით და სასამართლო წარმომადგენლობით უზრუნველყოფენ.
- ინფორმაცია – ცენტრის ბაზაზე შექმნილია ქართულ-ინგლისური ინტერნეტ გაზეთი, ვებ-პორტალი და მონაცემთა ბაზა [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge) სადაც ყოველდღიურად შექდება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესები. აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ კანონმდებლობას, ანგარიშებს, ანალიტიკურ სტატიებს და სხვა საინტერესო რესურსებს.
- განათლება/საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება – ცენტრი რეგულარულად მართავს ტრენინგ-სემინარებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ.
- მონიტორინგი – ორგანიზაცია ატარებს ადამიანის უფლებათა მონიტორინგს. ახორციელებს კონკრეტული დარღვევებისა და ფაქტების შესწავლას.
- რეპორტიინგი – ორგანიზაცია ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირს, ეუთოს, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ

ობიექტურ ინფორმაციას რეგულარულად აწვდის. ადამიანის უფლებათა ცენტრი თარგმნის და გამოსცემს ანგარიშებს, სახელმძღვანელოებს, ცნობარებს და საინფორმაციო ბუკლეტებს.

- ლობირება – ცენტრი ლობირებას უწევს ადამიანის უფლებათა მხარდამჭერი კანონმდებლობის და სხვა ინიციატივების განხორციელებას საქართველოში.

ცენტრი მუშაობს შემდეგ პროგრამებზე: ბავშვთა უფლებები, ქალთა უფლებები; ტრეფიკინგი; ლტოლვილები და დევნილები; სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები; პოლიცია და ადამიანის უფლებები; კონფლიქტების პრევენცია; ადამიანის უფლებათა განათლება;

ცენტრი გაწვევრიანებულია შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში:

- International Federation for Human Rights (FIDH)
- World Organization Against Torture (SOS-Torture OMCT Network);
- Human Rights Without Frontiers, Int.;
- Human Rights Information and Documentation Systems, International (HURIDOCS);
- International Peace Bureau (IPB);
- NGO Coalition for International Criminal Court;
- Child Rights Information Network (CRIN);
- European Network for Civil Peace Services (EN.CPS);
- UNITED for Intercultural Action – European Network against Nationalism, Racism, Fascism and Support of Migrants and Refugees.

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) შეიქმნა, როგორც პროფესიონალ იურისტთა გაერთიანება, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, შეეცვალათ იურისტის იმიჯი სამართალიანი საზოგადოების დამკვიდრებით. საია ოფიციალურად რეგისტრირებულია 1994 წლის სექტემბრიდან, როგორც არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია. საია არის წევრობაზე



დაფუძნებული პროფესიული ორგანიზაცია; დღევანდელი მდგომარეობით, იგი აერთიანებს 600-მდე წევრს.

საია ბოლო 13 წლის მანძილზე საქმიანობდა ორი ძირითადი მიმართულებით: უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის საქმიანობა, რათა ხელი შეეწყო კანონის უზენაესობის დამკვიდრებისათვის, ალტერნატიული იურიდიული განათლებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარების შეთავაზებით. 13 წლის განმავლობაში საია ახორციელებდა თავის საქმიანობას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში თავისი შვიდი ოფისის მეშვეობით: ქუთაისი, ბათუმი, თელავი, რუსთავი, გორი, ოზურგეთი და ღუშეთი.

საია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი საფუძვლების დამკვიდრებაში და ლობირებს შესაბამის ცვლილებებს საქართველოს პარლამენტში. ამავდროულად, საია ამკვიდრებს ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული სამართლებრივი საშუალებების გამოყენების პრაქტიკას.

საიამ გააფართოვა თავისი საქმიანობები და მოქმედების გეოგრაფიული არეალი მის მომსახურებაზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებიდან გაზრდილ მოთხოვნაზე დაყრდნობით. თავდაპირველად, საია მუშაობდა ალტერნატიული იურიდიული განათლებისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის მიმართულებით. ორგანიზაციის ზრდამ და ინტერესთა მრავალფეროვნებამ გააფართოვა საქმიანობის სფეროც. შესაბამისად, საიამ დიდი მუშაობა გასწია ანტიკორუფციული და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მიმართულებით.

2002 წელს საიას მეცხრე საერთო კრებამ დაამტკიცა ორგანიზაციის ოთხი სტრატეგიული მიზანი:

1. სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონის უზენაესობის დამკვიდრება;
2. სამოქალაქო საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისათვის სამართლებრივი საფუძვლების განვითარება;
3. ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვა;
4. იურიდიული პროფესიის განვითარება; პროფესიული ეთიკის ნორმების შექმნა და დამკვიდრება.

## საქარაველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი

საქარაველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნდა 1999 წელს. ფონდი მუშაობს იმ საკითხებზე, რომლებიც აბრკოლებენ ბავშვის და მოზარდის განვითარებას, რაც უარყოფითად აისახება მათი ცხოვრების ხარისხზე.

2000 წლიდან ფონდის პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა ძალადობის და უგულებელყოფისგან დაცვა და ამ მიზნით ახორციელებს ბავშვთა ძალადობისგან და უგულებელყოფისგან დაცვის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც აქვს შესრულებული 15-ზე მეტი პროექტი. 2002 წლიდან, ფონდს CORDAID – ის ფინანსური მხარდაჭერით საქარაველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდმა ჩამოაყალიბა “თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრი” ძალადობის და უგულებელყოფის მსხვერპლი ბავშვებისთვის.

თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრის მთავარი საქმიანობებია: ძალადობისა და უგულებელყოფის მსხვერპლ ბავშვთა დახმარება; ბავშვების და მათთან მომუშავე სპეციალისტების განათლება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის საკითხებში; შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა და აღსრულების მექანიზმების განვითარება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სტიგმის მოხსნა, მიზნობრივი ჯგუფების (ბავშვების) გაძლიერება თავიანთი უფლებების დასაცავად; ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებების მონიტორინგი.

## ზოგადი ფონი

2003 წლის ნოემბერში ელუარდ შევარდნაძის 12 წლიანი რეჟიმი „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით, გაიზარდა საპროტესტო აქციების ტალღა. ოპოზიციის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი დემონსტრანტების ჯგუფს პარლამენტში შეუძღვა, ხოლო შევარდნაძე, უშიშროების ესკორტის თანხლებით, შენობიდან გამოიყვანეს. 23 ნოემბერს შევარდნაძე გადადგა და პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის მეთაურობით, დროებითი მთავრობა დაინიშნა.

2004 წლის 4 იანვარს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც სააკაშვილმა დიდ უპირატესობით გაიმარჯვა. ოფიციალურად არჩევნებზე მისული მოსახლეობის 83%-იდან 96%-მა სააკაშვილს დაუჭირა მხარი.

განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, გაიზარდა ხელისუფლების გავლენა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაზე. 2004 წლის 6 თებერვალს შეტანილმა ცვლილებებმა გაზარდა პრეზიდენტის ძალაუფლება, მას შემდეგ, რაც მას მიეცა უფლება დაითხოვოს პარლამენტი. შემდგომი ცვლილება პრეზიდენტს უფლებას აძლევს, დანიშნოს და გაათავისუფლოს მოსამართლეები, რაც ზრდის პრეზიდენტის გავლენას სასამართლოზე, რომელიც უკვე განიცდის დამოუკიდებლობის ნაკლებობას. უფრო მეტიც, მთავრობამ აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო კანონპროექტის საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნების გარეშე, რაც კონსტიტუციის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ანტიდემოკრატიული ტენდენციების გავრცელება არ დასრულებულა არც 2005 წელს და მნიშვნელობანი უკუსვლება აღნიშნული მრავალ სფეროში. ნაბიჯ-ნაბიჯ, საქართველო იძენს პოლიციური სახელმწიფოს ყველა ნიშანს.

ყველაზე დიდი დარღვევები გამოხატვის თავისუფლების სფეროში გამოვლინდა. უკანონო დაკავებები, ცემა, თავდასხმები და ზეწოლა ჟურნალისტებზე თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 2005 წელს ათობით ჟურნალისტი საქართველოში მკაცრი ზეწოლის, ძალადობისა და უკანონო დაკავების მსხვერპლი გახდა. როგორც ორგანიზაცია „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ აღნიშნავს,

სიტყვის თავისუფლების მჩვენებლის მიხედვით, საქართველო კატასტროფული სიჩქარით ეშვება დაბლა. უკანასკნელ წლებთან შედარებით, ჩვენმა ქვეყანამ, სიტყვის თავისუფლების მიხედვით, 26 საფეხურით უკან დაიხია. მთავრობა უძღურია დაიცვას ჟურნალისტთა უფლებები, მეტიც, ხშირ შემთხვევაში ზეწოლისა და დაშინების ინიციატორებად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები გვევლინებიან.

პრობლემებია დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა სხვა სფეროებშიც. **სასამართლომ დამოუკიდებლობა საბოლოოდ დაკარგა** და მთავრობის ერთგვარ „გამონაზარდად“ იქცა. ზეწოლა იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებიც უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, საოცარი სისწრაფით იზრდება. **დაუსჯევლობის სინდრომი** სამართალდამცავ სისტემაში კვლავ პრობლემატურია და რეალურად ამ ფენომენის დამარცხებას არც არავინ ცდილობს. **გაერთიანებისა და მანიფესტაციის უფლება**, რომელიც კონსტიტუციითაა დაცული, ხშირად ირღვევა. დაფიქსირდა მშვიდობიანი აქციებისა და დემონსტრაციების დარბევისა და ორგანიზატორების დაკავების ფაქტები. ეს ყველაფერი კი მოსახლეობაში საკუთარი აზრის გამოთქმისა და გამოხატვის სურვილის დეგრადირებას იწვევს. პოლიტიკურად მოტივირებული **გატაცებები და სისხლიანი სპეცოპერაციები** საზოგადოებაში ტერორის ატმოსფეროს ქმნის. გართულებულია **ჩეჩენ ლტოლვილთა** მდგომარეობაც, ისინი პრორუსული პოლიტიკისა და ნეგატიური სტერეოტიპების მსხვერპლნი ხდებიან. დარღვევებია დაფიქსირებული **სოციალურ-ეკონომიკურ სფეროშიც**: სახელმწიფო მოხელეთა მასობრივმა დათხოვნებმა უკვე ყოველდღიური სახე შეიძინა. **საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი** პრაქტიკულად იგნორირებულია, მეტიც, ხშირ შემთხვევაში ეს ორგანიზაციები მალაჩინოსანთა მხრიდან ზეწოლასაც კი განიცდიან.

## ქალთა საკითხები

საქართველოში არსებობს სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ და იცავენ ქალთა უფლებებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო დაარსდა გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) “გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში” ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული საბჭო შედგება როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლე-

ბისაგან და მისი მიზანია გენდერულ საკითხებზე მსჯელობა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. საბჭო იკრიბება რეგულარულად გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონპროექტთა განსახილველად და მისი წევრები რეგულარულად აწყობენ შეხვედრებს სხვადასხვა რევიონებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან.

გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისია დაარსდა 2005 წლის 28 ივნისს საქართველოს მთავრობის #109 დადგენილებით. აღნიშნული კომისია შედგება სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეებისგან. კომისიის თავმჯდომარე არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

აღნიშნული კომისიის დებულების მიხედვით, მისი მიზნები და ამოცანებია:

- საქართველოში გენდერული პოლიტიკის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- გენდერული პოლიტიკის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება და მისი წარდგენა განსახილველად საქართველოს მთავრობისათვის;
- წინადადებების წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შესახებ.

კომისია გენდერული საკითხების განხილვისას მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან არსებულ გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭოსთან. სახელმწიფო კომისია უზრუნველყოფს ასევე წინადადებების მომზადებას გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონიტორინგის განსახორციელებლად. კომისია აქტიურად თანამშრომლობს გენდერულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მან გაატარა რამდენიმე ღონისძიება კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, რომელიც ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღოს ზომები ქალთა და მამაკაცთა შორის ნამდვი-

ლი თანასწორობის მისაღწევად. საქართველოს მთავრობამ სახალხო დამცველის ოფისში შექმნა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფი და სახელმწიფო კომისია, ქალთა განვითარების საკითხებზე გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

აღნიშნულ ორგანოთა მიზანი არის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

რეალურად, მთავრობის მერ არ შემუშავებულა გენდერული პოლიტიკის სახელმწიფო კონცეფცია.

პოლიტიკური სტრატეგია გენდერული ინტეგრაციის საკითხებზე არ შემუშავებულა და კონკრეტული მექანიზმები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად არ შექმნილა. არ არსებობს გენდერულ საკითხებზე ანგარიშის წარდგენის მკვეთრად განსაზღვრული პროცედურა. ამასთან ერთად, ხშირად სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები არ არიან ინფორმირებულნი იმის თაობაზე, თუ რა საერთაშორისო ვალდებულებები უნდა იქნეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ განხორციელებისას.

# 1. ისტორიული და პოლიტიკური წარსული

მას მერე, რაც 19-ე საუკუნეში რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ანექსია, რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის მერე ქვეყანამ სამი წლით (1918-1921წწ) მოიპოვა დამოუკიდებლობა. 1921 წელს იგი საბჭოთა წითელმა არმიამ დაიპყრო ხოლო 1922 წელს, საბჭოთა კავშირს შეუერთა, რომლის დაშლის შედეგად, 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაიბრუნა და მისი ეროვნული ლიდერი ზვიად გამსახურდია არჩევნების გზით, ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. 1992 წელს იგი თანამდებობიდან ოპოზიციამ გადააყენა და მის ნაცვლად, ქვეყნის ახალ ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძე დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ის 2000 წელს ხელახლა აირჩიეს, ხალხი უფრო და უფრო მეტი სიღუბნეში, კორუფციასა და დანაშაულში იფლობოდა.

2003 წლის ნოემბერში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და ოფიციალური შედეგებით, პრეზიდენტ შევარდნაძის პარტიამ გაიმარჯვა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნების დროს უამრავი სერიოზული დარღვევა აღმოაჩინეს, რამაც მასობრივი პროტესტი გამოიწვია. ქართველები ქუჩაში ოპოზიციის მხარდასაჭერად გავიდნენ და ამ მოვლენებს 'ხავერდოვანი რევოლუცია' ეწოდა. ხალხის აზრის, ზეწოლის და დაპირისპირების შედეგად, 2003 წელს შევარდნაძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ოპოზიციის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი 2004 წლის იანვარში პრეზიდენტად აირჩიეს.

## დაკარგული ტერიტორიები

საქართველო ორი რეგიონალური უმცირესობით - აფხაზეთით და სამხრეთ ოსეთით- დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ამ ტერიტორიულ უმცირესობებთან მუდმივმა დაძაბულობამ, შედეგად, ქართულ არმიასა და სეპარატისტულ ძალებს შორის კონფლიქტი გამოიწვია.

## აფხაზეთი

აფხაზეთი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ეთნიკურად აფხაზ ხალხს მჭიდრო ისტორიული, ენობრივი და კულტურული კავშირი აქვს რუსეთის ჩრდილო კავკასიურ ერებთან. აფხაზეთი 1864 წელს რუსეთის იმპერიამ დაიპყრო და სტალინმა 1931წელს

საქართველოს შეუერთა. როცა 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა კიდევ უფრო გაძლიერდა. დაძაბულობამ იმატა 1992 წელს და საქართველომ აფხაზეთში ჯარები გაგზავნა იმ სეპარატისტებთან საომრად, ვისაც დამოუკიდებლობა სურდა. ერთი წლის შემდეგ, რამოდენიმე ათასი ადამიანი იყო დაღუპული, ხოლო ქართული ჯარები აფხაზეთიდან გამოდევნეს. დაახლოებით 250 000 ქართველი დევნილად იქცა და ისინი ჯერ კიდევ ვერ ბრუნდებიან საკუთარ სახლებში.

1993 წლის ოქტომბერში საქართველო დათანხმდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანებულიყო და ამის შედეგად, რუსეთის სახელისუფლო ძალებიდან დახმარება მიეღო. 1994 წელს ცენტრალურმა მთავრობამ და აფხაზმა სეპარატისტებმა ხელშეკრულება დადეს ცეცხლის შეწყვეტაზე, რაც გზას უკვალავდა რუსული მშვიდობის მყოფელების რეგიონში განლაგებას. შედეგად, აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ სხვა ქვეყნები ამას არ აღიარებენ. აფხაზეთი, ჯერ კიდევ არსებული ეკონომიკური ემბარგოს საფუძველზე, იზოლირებულია ყველა ქვეყნისგან გარდა რუსეთისა, რომელიც საზღვრის გადაკვეთის უფლებას ინარჩუნებს და სოხუმთან (აფხაზეთის დედაქალაქი) სწორედ ამ მიზნით აღადგინა სარკინიგზო ხაზი. მოსკოვმა აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის გაცემა უზრუნველყო, რითაც კიდევ უფრო დაძაბა თბილისთან ურთიერთობა. აფხაზების უმეტესობას რუსული პასპორტები აქვს.

მოჩვენებითი მშვიდობა გაეროს და დსთ-ის სამხედრო დამკვირვებლების მიერაა შენარჩუნებული, ეს უკანასკნელნი ფაქტიურად რუსი მშვიდობის მყოფელები არიან. გაერო აკონტროლებს ბუფერულ ზონას, რომლის აქეთ-იქით აფხაზური და ქართული მხარეებია განთავსებული. გაეროს მცდელობა, შუამავალის როლი შეასრულოს მათ შორის, უშედეგოა. აფხაზეთი, რომელიც უფრო და უფრო უახლოვდება რუსეთს, დაჟინებით ამტკიცებს, რომ არანაირი შეთანხმება არ შედეგება, ვიდრე საქართველო მის დამოუკიდებლობას არ ცნობს. თავის მხრივ, თბილისი კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს არასოდეს მოხდება. ახლო მომავალში, ამ ჩინიდან გამოსვლის არანაირი შანსი არ ჩანს.

## სამხრეთ ოსეთი

1990 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მერე, სამხრეთ ოსეთმა გამოთქვა სურვილი გამოყოფოდა საქართველოს და 1991 წელს თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა კიდევ. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ მკაცრად დაგმო ოსური სეპარატიზმი, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას გულისხმობდა და არ ცნო სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.



ცალკეული ძალადობის აქტები, რომლებშიც ქართველი არაფორმალური ძალები და ოსი მებრძოლები იყვნენ ჩარეულები, 1992 წლის ზაფხულამდე გრძელდებოდა, რასაც ბოლო მოუღო ქართულ-ოსურ-რუსული სამშვიდობოების რეგიონში განლაგების თაობაზე შეთანხმების მიღწევამ. ასობით ადამიანი დაიღუპა ქართული შეიარაღებული ფორმირებებსა და ოს სეპარატისტების შორის შეტაკებების დროს.

როდესაც სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, მან მკაცრად გამოხატა თავისი უარი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე, რამაც სეპარატისტებში პროტესტის გაზარდა. 2004 წლის მაისში დაძაბულობა გაიზარდა სამხრეთ ოსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც საქართველოს მთავრობას არ უღიარებია. მალე კონტრაბანდის აღსაკვეთად სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ოპერაცია ჩაატარეს, რასაც რუსეთის კრიტიკა მოჰყვა. 2004 წლის აგვისტოში, ქართულ ჯარსა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ძალებს შორის მწვავე დაპირისპირების შემდეგ, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტს. მაშინ, როცა სეპარატისტებს მოსკოვის იმედი ჰქონდათ, რომელსაც რეგიონში სამშვიდობო ძალები ჰყავდა, საქართველოს პარლამენტმა მოითხოვა მათი გაყვანა. ცოტა ხნის წინ, 2006 წლის თებერვალში, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი რუსული სამშვიდობოების სამხრეთ ოსეთიდან გაყვანას და საერთაშორისო ძალებით მათ ჩანაცვლებას.

## 2. მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფონი

### 2.1. საერთაშორისო სამართლებრივი ფონი

სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის (რატოეფიკა- ციის თარიღი) ძალაში შესვლის თარიღი	ანგარიში	საქმის დასრულება	მიღების თარიღი	განხილვის თარიღის	დაგვიანებით შეტანილი ანგარიშები
წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CAT) (26/10/94) 25/11/94	თავდაპირველი მეორე პრიოდული მესამე პერიოდული	24.11.1995 24.11.1999 24.11.2003	04.06.1996 15.11.1999 04.07.2005	21.11.1996 07.05.2001 განიხილება 05.2006	0
აღამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR) (03/05/94) 03/08/94	თავდაპირველი მეორე პრიოდული მესამე პერიოდული	02.08.1995 02.08.2000 01.04.2006	21.11.1995 09.08.2000	27.03.1997 19.03.2002	1
ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) (26/10/94) 25/11/94	თავდაპირველი მეორე პრიოდული მესამე პერიოდული <sup>1</sup>	25.11.1995 25.11.1999 25.11.2003	09.03.1998 16.04.2004 16.04.2004	11.06.1999 განიხილება განიხილება	0
რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD) (02/06/99) 02/07/99	თავდაპირველი მეორე პრიოდული მესამე პერიოდული	02.07.2000 02.07.2004	24.05.2000 21.07.2004	22.03.2001 01.08.2005	0
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი CESC (03/05/94) 03/08/94	თავდაპირველი მეორე პრიოდული მესამე პერიოდული	30.06.1996 30.06.2001 30.06.2007	25.08.1997 19.06.2001	09.05.2000 01.11.2002	0

1 მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშები ერთდროულად იქნა წარდგენილი

აღამიანის უფლებათა უარღვევები საქართველოში

ბავშვთა უფლებების კომიტეტი (CRC) (02/06/94) 02/07/94	თავდაპირველი მეორე პრიოდული მესამე პერიოდული	01.07.1996 01.07.2001 01.07.2006	21.01.1998 29.06.2001	02.06.2000 01.10.2003	0
CRC OP ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე. (28/06/05) 28/07/2005	თავდაპირველი	28.07.2007			0

გაეროს აღამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებების ხელმოწერა, რატიფიკაცია, დათქმები და ა.შ.

აღამიანის უფლებათა შესახებ სხვა ხელშეკრულებები	რატიფიკაცია	ძ ა ლ ა შ ი შესვლა
წამების და სხვა სასტიკი, არააღამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი	(09.08.2005)	
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი	(03.05.1994)	03.08.1994
სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი, რომელიც მიზნად ისახავს სიკვდილით დასჯის გაუქმებას.	(22.03.1999)	22.06.1999
ქალთა დისკრიმინაციის ყელა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ფაკულტატური ოქმი.	(01.08.2002)	01.11.2002
ისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი	(05.09.2003)	01.07.2002

## 2.2. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ადგილი ეროვნულ კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციის მე-6(2) მუხლის მიხედვით:

“საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირა-

*ტესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.”*

აღნიშნული დებულებას ავსებს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც:

*“სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც მუდმივ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.”*

შემოაღნიშნული მუხლები ცხადყოფენ, რომ საქართველოს კონსტიტუციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

### **2.3. ეროვნული გათვალისწინებული დებულებები, საგანგებო მდგომარეობის ჩათვლით, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებს**

*ადამიანის უფლებათა შემზღუდავი კანონმდებლობა*

საქართველოს კონსტიტუციით წამების აკმაღვა<sup>2</sup> არის აბსოლუტური დებულება, რომელიც გამოირიცხავს მისგან გადახვევას სახელმწიფოში საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დროს.

თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 46(1)-2 მუხლის მიხედვით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციით გარანტირებული კონკრეტული უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციის 18-ე<sup>3</sup> მუხლის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზე შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების დაუშვებლობის გარანტს.

2 17(2)-2 მუხლის მიხედვით: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“/

3 18(4)-ე მუხლის მიხედვით: „დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზე შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“.

არც საქართველოს კონსტიტუციაში და არც ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში არ არის დებულება, რომელიც განმარტავს, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც კონსტიტუციის ორი სხვადასხვა მუხლი, რომელიც ერთი და იმავე ფუნდამენტურ უფლებას უზრუნველყოფს (კერძოდ მე-17(2) და მე-18(4) ) არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

18-ე მუხლი მითითებული რომ არ ყოფილიყო კონსტიტუციის 46(1)-ე მუხლში, მაშინ წამების ამკრძალავი დებულება იქნებოდა აბსოლუტური, რომლისგან გადახვევა დაუშვებელი იქნებოდა რაიმე გამონაკლისი ვითარების არსებობისას.

თავიანთი შეშფოთება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, წამების ამკრძალავი ნორმის აბსოლუტური ბუნების შესახებ, გამოხატეს ასევე საქართველოს სახალხო დამცველმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა.<sup>4</sup>

4 საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ (გვ. 15), საერთაშორისო ამნისტია - საქართველო: წამება და სასტიკი მოპყრობა კვლავ შეშფოთების საგნად რჩება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ - EUR 56/001/2005, (გვ. 29). რედრესი - საქართველო გზავჯვარედინზე: დროა უზრუნველყოთ სამართლიანობა და პასუხისმგებლობა წამებისთვის, 2005 წლის აგვისტო (გვ. 7-9).

### 3. წამების დეფინიცია (გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლი)

#### 3.1. წამების ამკრძლავ ნორმათა ანალიზი (კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ა.შ.),

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კონსტიტუციის მე-2 თავი, რომელიც ეძღვნება აღმნიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, შეიცავს დაკავებული არის წამების და იძულების ამკრძლავ მუხლებს და უზრუნველყოფს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობას.

კონსტიტუციის 17(2)-ე მუხლის მიხედვით:

*“დაუშვებელია აღმნიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.”*

უფრო მეტიც, კონსტიტუციის 8(4)-ე მუხლის მიხედვით:

*“დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზე ზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება”*

კონსტიტუციის 42(7)-ე მუხლის მიხედვით:

*“კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.”*

2005 წლის 23 ივნისამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებამდე კოდექსის 126(1)-ე მუხლის მიხედვით, წამება განისაზღვრებოდა, როგორც “სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ გამოუწვევია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება”

ნება,<sup>5</sup> როგორც ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლებით. დანაშაული ისჯებოდა თავისუფლების შეზღუდვით, ვადით 2 წლამდე და თავისუფლების აღკვეთით ვადით, 3 წლამდე. 126-ე (2)(თ) მუხლი ითვალისწინებდა ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, როგორცაა იგივე ქმედების განხორციელება სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამამძიმებელ გარემოებებში ჩაღწილი იგივე დანაშაული ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3-დან 6 წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით 3 წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით, დანაშაულს წარმოადგენდა სხვადასხვა ქმედებები, რომლებიც შეიცავდა წამების იმ ელემენტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლით,<sup>6</sup> მაგრამ არც ერთი ამ დანაშაულის სასჯელი,

- 
- 5 მაქსიმალური სასჯელი 117-ე მუხლისთვის არის თავისუფლების აღკვეთა 12 წლამდე, ხოლო 128-ე მუხლისთვის 5 წლამდე.
- 6 333-ე (1) მუხლის მიხედვით, სათაურით “სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაშტეტა”: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაშტეტა, რამაც ფიზიკური ან თურთიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია” ისჯება ჯარიმით ან ტუსაობით ვადით 4 თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე. 333-ე (2)-ის მიხედვით სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაშტეტა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე. 333-ე (3) მუხლის მიხედვით “ ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩაღწილი: ა) არაერთგზის, ბ) ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, გ) დაზარალებული პირადი ღირსების შეურაცხყოფით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 8 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე. 335-ე (1) მუხლის ქვესათაურით “განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება” მიხედვით: “მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, მანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის, ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 5 წლამდე. 335-ე (2) მუხლის მიხედვით: “იგივე ქმედება, ჩაღწილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის სამშობი ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მექარით” ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე. 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებებამდე არნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი ასევე ითვალისწინებდა ჰქვეუნქტს: იგივე ქმედება ჩაღწილი დაზარალებულის წამებით.

დამამძიმებელ გარემოებებშიც კი, არ აღემატებოდა თავისუფლების აღკვეთას 10 წლის ვადით. აღნიშნულის გამო, ეს დანაშაულები ექცეოდა მძიმე და არა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების კატეგორიაში.<sup>7</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის 126(1)-ე მუხლით გათვალისწინებული წამების დეფინიცია არ შეესაბამებოდა გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველ მუხლს. იგი არ შეიცავდა წამების ისეთ არსებით ელემენტებს როგორცაა:

- ძლიერი ფიზიკური ან სულიერი ტკივილი ან ტანჯვა;
- დანაშაულის განზრახი ბუნება;
- სპეციალური მიზანი – ინფორმაციის ან ჩვენების მიღება, სასჯელი, დისკრიმინაცია;
- დანაშაულის სპეციალური სუბიექტი - სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.<sup>8</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო, წამების დეფინიციათან მიმართებაში, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა, ისევე როგორც სპეცია-

7 სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით სახელწოდებით “დანაშაულის კატეგორიები”: ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული, ბ) მძიმე დანაშაული, გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მე-12 (2) მუხლის მიხედვით: “ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას”. მე-12 (3) მუხლის მიხედვით: “ მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებელი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.” მე-12 (3) მუხლის მიხედვით: “ განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უკალო თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (1) მუხლის შეუსაბამობაზე გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველ მუხლთან იხილეთ რედერსი- საქართველო გზავჯარედინზე: დროა უზრუნველყოთ სამართლიანობა და პასუხისმგებლობა წამებისათვის, 2005 წლის აგვისტო (გვ 12-13)

8 სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (1) მუხლის შეუსაბამობაზე გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველ მუხლთან იხილეთ რედერსი- საქართველო გზავჯარედინზე: დროა უზრუნველყოთ სამართლიანობა და პასუხისმგებლობა წამებისათვის, 2005 წლის აგვისტო (გვ 12-13)



ლურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე, გაუწია რეკომენდაცია საქართველოს: “შეეჭანა ისეთი ცვლილებები სისხლის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც მოიცავდა გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველ მუხლთან შესაბამის წამების დეფინიციას და უზრუნველყოფდა შესაბამის სასჯელებს.”<sup>9</sup>

2005 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში წამების და არაადამიანური მოყრობის დეფინიციასთან დაკავშირებით.

ცვლილებების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლი დღეის მდგომარეობით შემდეგნაირად განმარტავს წამებას:

*“წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას, და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.”*

აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ათ წლამდე და ჯარიმა. იგივე მუხლის მე-2 პარაგრაფი, რომელიც დამამძიმებელ გარემოებების ჩამონათვალს აკეთებს, მოიცავს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებულ კომპონენტებს.<sup>10</sup> იგივე დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ვადით შვიდიდან 15 წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ვადით ხუთ წლამდე.

9 იხილეთ გაეროს წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის წინასწარი შენიშვნა, მისია საქართველოში, 2005 წელი.

10 144<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ა) ქვეპუნქტი: “მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; (ვ) “ადამიანთა თანასწორობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

2005 წლის ცვლილებებით, სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ისეთი დანაშაულები, როგორცაა წამების მუქარა (144<sup>2</sup>) და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა(144<sup>3</sup>).<sup>11</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლის ერთერთი ნაკლი ის არის, რომ იგი ვრცელდება როგორც სახელმწიფო მოხელეზე, ისე კერძო პირზეც და აღნიშნული მუხლით, წამება არ არის განსაზღვრული, როგორც ქმედება, რომელიც ჩადენილია სახელმწიფო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის წაქეზებით, ნებართვით ან მღუმარე თანხმობით, რის გამოც, აღნიშნული მუხლი ვერ გამოხატავს წამების დანაშაულის ზუსტ ბუნებას, როგორც ეს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლით არის გათვალისწინებული.<sup>12</sup> იგივე შენიშვნა ეხება 144<sup>3</sup>-ე მუხლსაც, ვინაიდან ამ უკანასკნელში გამოყენებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ცნება არის საკმაოდ ბუნდოვანი და არ შეესაბამება გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის 16-ე მუხლში ნახმარ დეფინიციას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი არის საკმაოდ დაბალი და შეუსაბამო დანაშაულის სიმძიმესთან.

## ქალების ნაწილი

კონსტიტუციის 14-ე მუხლი<sup>13</sup> ამკვიდრებს განურჩევლად სქესისა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს. ტერმინები – “ყველა/ნებისმიერი პირი/საქართველოს ყველა მოქალაქე”,

- 11 144<sup>2</sup>-ე მუხლისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე. 144<sup>3</sup>-ე მუხლის მიხედვით სახელწოდებით “დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა: “პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს” ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი იგივე დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ექვს წლამდე, ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ხუთ წლამდე ვადით ან უამისოდ.
- 12 აღნიშნულის გამო, შეიძლება ითქვას, რომ 144<sup>1</sup>-ე მუხლი არცთუ ისე გამართულია.
- 13 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

რომელსაც შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ კი მისი მე-2 თავი, რომელიც ეძღვნება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებს, ეხება “მამაკაცებსა და ქალებს” და თანაბრად გამოიყენება ორივესთან მიმართებაში. შესაბამისად, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები თანაბრად ვრცელდება მამაკაცებზე და ქალებზე.

უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექი შეიცავს კანონის წინაშე თანასწორობისა და ნებისმიერ საფუძველზე, სქესობრივი ნიშნის ჩათვლით, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს (სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მამაკაცს ქალთან მიმართებაში არანაირი უპირატესობა არ ენიჭება).<sup>14</sup> საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფს, მამაკაცთან თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით, ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს.

მიუხედავად თანასწორობის პრინციპის კანონით აღიარებისა და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის რატიფიცირებისა, რომლის მე-2 “ა” მუხლიც მოითხოვს თანასწორობის პრინციპის აღიარებას მონაწილე სახელმწიფოს კონსტიტუციითა და კანონმდებ-

- 14 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით: “მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.” საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9(1) მუხლი: “ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე- რასის, ეროვნების, ენის, სქესის, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის. საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, რწმენის, აგრეთვე სხვა გარემოებების მიუხედავად.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი- “ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა”: “ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი: ა)სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ლობით, დე ფაქტო მდგომარეობა გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებაში კვლავ პრობლემურია.

არსებული კანონმდებლობისა და სამართლებრივი საფუძვლების მიუხედავად, კანონის შეუსრულების პრობლემები ზშირია. ქალთა უმრავლესობა არ ახმაურებს გენდერულ საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაციას, რაც შეიძლება სასტიკ მოპყრობასაც კი გაუტოლდეს.

უფრო მეტიც, არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მკაფიოდ კრძალავს სქესობრივ ნიშანზე დაყრდნობით ან ქმრების მიერ ქალთა დისკრიმინაციას, რადგანაც არ შემუშავებულა სპეციალური კანონები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი იწვევს ქალთა უფლებების არაადეკვატურ დაცვას საქართველოში. არ არსებობს ქალთა დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე სპეციალური კურსები სტუდენტებისა და ადვოკატებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს აღმნიანის უფლებების დაცვას განურჩევლად სქესისა, აღნიშნული პრინციპი რეალურად განუხორციელებელია. საქართველოს კანონმდებლობა არ არის დისკრიმინაციული, თუმცა იგი არც მგრძობობიარეა გენდერული საკითხებისადმი.

## 1) გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, გაუპატიურება ეი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწყობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან შვიდ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან ათ წლამდე. გაუპატიურება ჯგუფურად; დამნაშავეისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ან არასრულწლოვანისა, დაზარალებული ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც გამოიწვია დაზარალებული სიცოცხლის მოსპობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის შიღისის შეყრა, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგ-

გი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულება თოთხმეტი წელი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ათიდან ოც წლამდე.

139-ე მუხლის მიხედვით, “სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურეობრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით”, ისჯება ჯარიმით ან გამასწოებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე. 140-ე მუხლის მიხედვით კი, “სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან”, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით, ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით, ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე.

## 2) ოჯახური ძალადობა

საქართველოში არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დანაშაულოდ აცხადებს ოჯახურ ძალადობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლები დასჯადად აცხადებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მაგრამ აღნიშნული მუხლები ძალიან ზოგადი ხასიათისაა და არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ასეთ ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ერთმანეთზე რაიმენაირად, თუნდაც ფინანსურად არიან დამოკიდებულნი. გარდა ამისა, ამ მუხლებში არსადაა ნახსენები ქალის მიმართ განხორციელებული ფსიქიკური ძალადობა.

საქართველოში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, ქალისა და მამაკაცის ფუნქციები “ტრადიციებმა” განაპირობა. მამაკაცთა საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენლებს გააჩნდათ აბსოლუტური ძალაუფლება ქალებზე, ბავშვებზე, მსახურებზე. მუშა კლასის ოჯახებში მამაკაცებს ასევე დომინანტური როლი ეკავათ. დღესდღეობით, ქალები იძულებულნი არიან გაუფრთხილდნენ ოჯახის რეპუტაციას და “ოჯახური პრობლემები” არ გამოაშკარავენ.

პატრიარქალური განწყობა კვლავ ჭარბობს საზოგადოებაში. ბევრად უფრო სისტემატური მიდგომაა საჭირო იმისათვის, რომ შეიცვალოს საზოგადოებაში არსებული ამდაგვარი განწყობა. ისტორიულად, ოჯახური ძალადობის თეორია ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ქმედება იყო “ოჯახის” ან “პირადი” პრობლემა, რომელიც აღმოცენდა გონებრივი ჩამორჩენილობის, ალკოჰოლური სასმელების გადაჭარბებული მიღების, თუ იმპულსური ქმედებების გაუკონტროლებლობის გამო. ამჟამად აღიარებულია, რომ ოჯახური ძალადობა იწვევს ძალაუფლების ან კონტროლის გამოყენებას ერთი პირის მხრიდან მეორის მიმართ სხვადასხვა ფორმების მეშვეობით, როგორცაა მუქარა ან იძულება. თუმცა ტრადიციულ გენდერული როლი, ეკონომიკური სიღატაკი და რელიგიური მოსაზრებები, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში, აბრკოლებენ ქალთა უფლებების დაცვას და კანონდამრღვევთა დასჯას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამერიკელ იურისტთა ასოციაციისთან თანამშრობლობით და მათი ფინანსური მხარდაჭერით, სხვა არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, მოამზადა ოჯახური ძალადობის კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტი 2006 წლის 17 თებერვალს გავიდა პირველი მოსმენით.

გაუპატიურება ოჯახში: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის სპეციალური მუხლი, რომელიც დანაშაულად აცხადებს გაუპატიურებას ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი დასჯადად აცხადებს გაუპატიურების ყველა ფორმას, სპეციალური მუხლის არარსებობა, რომელიც კრძალავს გაუპატიურებას ოჯახში, ნიშნავს, რომ ქალის გაუპატიურება ან მისი იძულება სქესობრივი კავშირის დამყარებაზე ქმრის მიერ არ წარმოადგენს დანაშაულს და ხშირად ქალები იძულებულნი არიან იცხოვრონ მოძალადე ქმრებთან. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ქალისათვის ძალიან რთულია მიმართოს პოლიციელს განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიციელს არ შეუძლია ამ ქმედების დაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად დანაშაულად. ყოველივე აღნიშნულის გამო, ოჯახური გაუპატიურება ფარულ დანაშაულად რჩება საქართველოში.

ინცესტი - ოჯახური გაუპატიურების მსგავსად არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას საქართველოში. ინცესტი კიდევ ერთი ფარული დანაშაულია ქართულ საზოგადოებაში. სტატისტიკური მონაცემები აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით, თითქმის არ არსებობს.

საცოლის მოტაცება - საცოლის მოტაცება ქორწინების ფართოდ გავრცელებული ფორმაა საქართველოში, ძირითადად რეგიონებში. ხშირ შემთხვევაში, წყვილები იპარებიან, თუმცა მოტაცების შემთხვევაში, აღნიშნული ქალის ნების საწინააღმდეგოდ ზდება. ხანდახან აღნიშნულ ქმედებას მოჰყვება გაუპატიურება, რაც, როგორც ოჯახური გაუპატიურების ერთერთი ფორმა, დაუსჯელი რჩება.

### ბავშვთა საკითხები:

ჩვენი სახელმწიფოს საკანონმდებლო სისტემაში გაბნეულია მუხლები, რომლებიც ნაწილობრივ უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებების დაცვას, მაგრამ არ არსებობს სპეციალური კანონი ბავშვთა უფლებების დასაცავად. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ისეთი კანონის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას და, რომლითაც განსაზღვრული იქნება ძალადობის ის სახეები რომლებიც განაც აუცილებელია ბავშვების დაცვა. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდმა შეიმუშავა კანონპროექტი “ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ”<sup>15</sup>, რომელიც პარლამენტს 2006 წლის შემოდგომაზე წარედგინება.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას (კონსტიტუციის 36-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს სრულწლოვანების ასაკს – 18 წელს და სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს - 14 წელს (80 მუხლი).

საქართველოს კანონი “ზოგადი განათლების” შესახებ განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია ბავშვის მიმართ ძალადობა, ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური; ასევე, სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იყოს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

მშობლეთა მხრიდან უგულებელყოფის შემთხვევებზე სახელმწიფოს კონტროლის, მონიტორინგის და ამგვარი საქციელის ამკრძალავი მექანიზმები არც კანონითაა დადგენილი და არც პრაქტიკაშია დანერგილი.

15 იხ. დამატება 2.

## მშობლის უფლებები და მოვალეობები

სამოქალაქო კოდექსი ასევე არეგულირებს მშობლის და ბავშვის ურთიერთობებს. მშობლები მოვალენი არიან, რომ დაიცვან და აღზარდონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. სამოქალაქო კოდექსი (1205-1210-ე მუხლები) აწესებს არასრულწლოვანი ბავშვის დამცავ მექანიზმებს, მშობლების მხრიდან სასტიკი მოპყრობის და მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის ან შეზღუდვის სახით.

მშობლის უფლების ჩამორთმევა სასჯელის უკიდურესი ფორმაა, რომელიც შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით განხორციელდეს. მშობლის უფლების ჩამორთმევა დასაშვებია, თუ მშობელი სისტემატიურად არიდებს თავს შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას - სასტიკად ეპყრობა შვილებს, მავნე გავლენას ახდენს შვილებზე თავისი ამორალური ყოფაქცევით. თუმცა, მშობლის უფლებების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მას აღიშენების გადახდის ვალდებულებისგან (1205-ე მუხლი)

სამწუხაროდ, განათლების სამინისტროს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. უფრო მეტიც, არ არსებობენ კვალიფიციური სპეციალისტები (სოციალური მუშაკები), რომლებიც შეძლებდნენ სუპერვიზია გაუწიონ მშობლების ქმედებებს, მათთვის მშობლის უფლებების შეზღუდვის პერიოდში. არ არსებობენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა დასკვნაც სასამართლოსთვის გასათვალისწინებელი იქნება მშობლების უფლებების ჩამორთმევის და შეზღუდვის განხილვისას.

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში მშობლის უფლების ჩამორთმევა იშვიათი შემთხვევაა, კიდევ უფრო იშვიათია, ბავშვისადმი სასტიკი მოყრობისთვის, მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში მშობლისადმი სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება. მოძალადე მშობლის დაუსჯელობას ოჯახის წევრები ძირითადად იმით უწყობენ ხელს, რომ ძალადობის ფაქტს არ ატყობინენ სამართალდამცავ ორგანოებს, ან თუ ატყობინებენ, ხშირ შემთხვევაში, უარყოფენ საკუთარ განცხადებას, რისი მიზეზიც დაუცველობის შეგრძნებაა და ძალადობის უფრო სასტიკი ფორმით გამეორების შიში. აღნიშნულ სიტუაციებში მსხვერპლის ეფექტური დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არ არსებობს, თუმცა ამჟამად საქართველოს პარლამენტში შესულია



კანონპროექტი „ოჯახურ ძალადობაზე“, რომლის მიღების შემთხვევაშიც ამოქმედდება მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძალადე ოჯახის წევრის იზოლირებას და მსხვერპლის სათანადო დაცვას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს წამების სპეციალური განსაზღვრება, როდესაც მსხვერპლი ბავშვია, არც იმის ტენდენცია არსებობს, რომ ბავშვებთან მიმართებაში მოხდეს წამების უფრო სიღრმისეული განმარტება. ბავშვის მიმართ არაღირსეული მოპყრობის და ძალადობის განსაზღვრება არც ერთი სამართლებრივი აქტით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, კანონპროექტი “ბავშვის უფლებების შესახებ”, რომელიც შემუშავებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ დეტალურად განსაზღვრავს თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული ძალადობად და სასტიკ მოპყრობად<sup>16</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები ძალიან ზშირი მოვლენაა საქართველოში, ეს საკითხი კვლავ ტაბუირებულია და საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ბავშვებთთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის შესაძლებლობას და არ უზრუნველყოფს მათ ეფექტურ დაცვას ძალადობისგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მოძალადედ მშობელი ან აღმზრდელი გვევლინება.

ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, ძირითადად რეგულირდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებით, ასევე “ბავშვთა ძვენი ზეგავლენისგან დაცვის” კანონით, თუმცა აღნიშნული კანონებიდან ბევრი მუხლები პრაქტიკაში არ ხორციელდება.

ბავშვთა უფლებები სრულად არ იქნება დაცული თუ მშობელთა მხრიდან თავიანთი მოვალეობების შესრულება მკაცრად არ იქნება გაკონტროლებული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

ბავშვზე თავდასხმა, წამება და სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, სასტიკი მეთოდებით დასჯის ან ძალადობის სხვა ფორმების გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსით განიხილება, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

მკაცრი სასჯელია დაწესებული იმ შემთხვევებისთვის, სადაც მსხვერპლი არის ბავშვი. სისხლის

16 იხ. დამატება 1, კანონპროექტის მე-7 მუხლის 2, 3, 4 პუნქტი.

სამართლის კოდექსის მუხლი 131.2 ამბობს, რომ „იგივე დანაშაული, ჩადენილი მცირეწლოვნების მიმართ უნდა იქნეს დასჯილი თავისუფლების აღკვეთით სამიდან ექვს წლამდე.“<sup>17</sup>

სისხლის სამართალი აწესებს პასუხისმგებლობას ბავშვის მიმართ ჩადენილი კონკრეტული ქმედებებისთვის, როდესაც ქმედება მიმართულია ბავშვის წინააღმდეგ, ზოგადად დაწესებული სასჯელი უფრო მკაცრია. მაგალითად, არასრულწლოვანის ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, სისხლის სამართლის კანონმდებლობით მიჩნეულია, როგორც დამამძიმებელი გარემოება; არასრულწლოვანის გაუპატიურება, ე.ი. სქესობრივი კავშირი იძულებით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ვისაც არ შესრულება თოთხმეტი წელი, ასევე ითვლება დამამძიმებელ გარემოებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა შემდეგი დანაშაულები: მცირეწლოვანისთვის ვენერიული დაავადებების შეყრა; არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, მცირეწლოვანთა ჩაბმა ისეთ ძალადობრივ ქმედებებში, როგორიცაა ალკოჰოლის გამოყენება, მათხოვრობა, პროსტიტუცია, აზარტულ თამაშებში ჩაბმა, არასრულწლოვანის დათრობა; არასრულწლოვანის ჩაბმა იმ სამკურნალო წამლის ან სხვა საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, რომლებიც გაბრუებას იწვევენ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავი, განსაკუთრებით, მუხლი 142.3 ე).

## სისხლის სამართლის კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის კონკრეტულ სახეებზე

### სექსუალური ექსპლუატაცია

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არ არსებობს ცალკე განსაზღვრება ოჯახში ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ; უნარმოკლებულთა, უსახლკაროთა ან ლტოლვილთა სექსუალურ ექსპლუატაზზე; ასევე განსაკუთრებულ პირობებში მყოფი ბავშვების და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ.

17 ჩვეულებრივად, სასჯელი მოიცავს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე (მუხლი 131.1)

სათანადოდ არ არის მოწესრიგებული სასაზღვრო ზოლში სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით არასრულწლოვანთა მოტაცების და შემდგომ მათი დაბრუნების პრობლემა, რაც სასურველია კანონმდებლობაში განხილულ და დანერგილ იქნას, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახე, შეთანხმებული საერთაშორისო სტანდარტებთან.

ასევე საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სოციალური რეინტეგრაციის საკითხს სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისთვის.

## 3.2 წამების შემთხვევები

### 3.2.1 დარღვევები, რომელიც პოლიციის განყოფილებებში დაფიქსირდა

წამება წინასწარი დაკავების საენებში კვლავ აქტიურია და საქართველოს სისხლის სამართლის სისტემა უძლურია დაიცვას წამების მსხვერპლნი. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ორი ადამიანი გარდაიცვალა წამებისგან. აღნიშნული ანგარიში აშუქებს პოლიციის მიერ დაკავებულთა წამების არაერთ ფაქტს.

სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა პოლიციაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივმა საბჭომ, 12 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით თბილისის მასშტაბით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად<sup>18</sup>, პოლიციის განყოფილებებში 137 დარღვევა დაფიქსირა. აქედან, ადამიანის უფლებების დარღვევის საერთო რაოდენობა 89, პროცესუალურის კი - 58. მონიტორინგის განხორციელების პროცესში გაირკვა, რომ 28 დაკავებულს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, თუმცა მათგან მხოლოდ ხუთი აცხადებდა, რომ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკურ ზეწოლას, შვიდი დაკავებულის თქმით კი, პოლიცია მასზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაკავებულებს საკუთარ უფლებებს არ განუმარტავდნენ. ოთხს არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება, 14 პატიმარს კი - ეჭვმიტანილად ცნობის ასლი არ ჩაბარდა. უფლებამწვლახულთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენდნენ, იყვნენ არასრულწლოვანებიც, რომელთა საქმის შესწავლაც მიმდინარეობს. მონიტორინგმა

გამოავლინა დაკავებულთა სარეგისტრაციო ჟურნალის არასწორად წარმოების 56 შემთხვევა. ორკვირიანი მონიტორინგის მანძილზე ვიზიტების რაოდენობამ 179 შეადგინა და, საშუალოდ, ღლეში პოლიციის შვიდი განყოფილების შემოწმება ხდებოდა.

### **უდანაშაულობის პრეზუმცია და მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები:**

განსაკუთრებული შემოთების საგანს წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, რაც სულაც არ მოუწოდებს დაბალი ჩინის სამართალდამცავებს ადამიანის უფლებების დაცვისაკენ. მაგალითად, 2004 წლის 12 იანვარს პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსთავი 2-ის ეთერით განაცხადა: „ეურჩიე ჩემს კოლეგა იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადღიშვილს - მე მსურს, რომ კრიმინალებმა ციხეში და მის გარეთ კარგად მოისმინონ და გაიგონ - გამოიყენოს ძალა ნებისმიერ ეტაპზე ციხეში ბუნტის არსებობისას და გაუხსნას ცეცხლი, ესროლოს და დახოცოს კრიმინალები, რომლებიც შეეცდებიან არეულობის გამოწვევას. ჩვენ უქმად არ დავხარჯავთ ტყვიებს მათზე.“ კვლავ, 2004 წლის 3 თებერვალს რუსთავი 2-ის ეთერით სააკაშვილმა დაამატა: „მე მივეცი ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დაეწყოს ეს (ანტი-კრიმინალური) ოპერაცია და თუ იქნება რაიმე წინააღმდეგობა, ადგილზე გაანადგურონ ეს ბანდიტები და გაათავისუფლონ ხალხი მსგავსი დამნაშავეებისგან“.<sup>19</sup>

11 მარტს, სამი პოლიციელის დაკრძალვაზე ყოფნისას, რომლებიც დაიღუპნენ ქუთაისში სპეცოპერაციისას, სააკაშვილმა განაცხადა: „მე ომს ვუცხადებ კრიმინალებს. ნუ ესვრით ამ ბიჭებს (პოლიციელებს); მესროლეთ მე, თუ შეგიძლიათ, რადგან მე ვუბრძანე ამ ბიჭებს ესროლათ თქვენთვის (კრიმინალებისთვის)“.<sup>20</sup> სამი პოლიციელი და ერთი ექვმიტანილი ასევე ერთი უდანაშაულო გამგლევი დაიღუპა 4 მარტს პოლიციისა და კრიმინალებს შორის შეტაკებისას.

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მსგავსი და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები სამართალდამცავების მიმართ მოუწოდებს მათ დაარღვიონ ადამიანის ძირითადი უფლებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ძალის გადაბეჭებული გამოყენება პოლიციელთა მხრიდან, რაც უკვე არსებობს.

19 ტელე კომპანია “რუსთავი 2“

20 ტელე კომპანია “რუსთავი 2“

### 3.2.2. სამოქმედო გეგმა წამების წინააღმდეგ

სექტემბერში საქართველოს მთავრობის ოფიციალური წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ. გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდებოდა 2003-2005 წლებში, შემუშავებულ იქნა ეუთოსთან თანამშრომლობით და მოიცავს მრავალ საკითხს, როგორცაა მაგალითად, მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან წამებასთან დაკავშირებით, გამოსწორდეს წამების ფაქტების საგამოძიებო მექანიზმები, გაძლიერდეს პოლიციის კონტროლი და გაუმჯობესდეს ცინის პირობები, ჩაუტარდეს ტრენინგი ხელმძღვანელ პირებს და მოხდეს რეგულარული მონიტორინგის წარმოება შესაბამისი ორგანოების მიერ. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს ადამიანის უფლებათა განყოფილების მიერ ვებ-საიტის შექმნა, რომელიც ეუთოს მისია საქართველოში მიერ იქნებოდა დაფინანსებული. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა (CAI) და ევროსაბჭოს წამების აცილების კომიტეტის (CPI) ჩათვლით, მოამზადეს საკმაოდ კრიტიკული ანგარიშები საქართველოში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ და მოითხოვეს მთავრობისაგან გადაწყვეტი ზომების მიღება. CPT-მ აღნიშნა ისეთი დარღვევები, როგორცაა დარტყმა, მუშტით ცემა, წიხლებით და ხელკეტებით ცემა, იარაღის კონდახით და სხვა მძიმე საგნებით ცემა. ყველაზე სერიოზულ საქმეებში ასევე გამოყენებული იყო ელექტრო-შოკი, აირწინალით ხუთვა, ფეხის გულზე ცემა და სხეულის ხანგრძლივი სუსპენსია ზემოდან ქვემოთ. წამებასა და ცუდად მოპყრობას ხშირად სდევდა თან პროცესუალური დარღვევები, როგორცაა აღმკვეთი ღონისძიების მისჯისას დაკავებულის სასამართლოზე არ მიყვანა, ოჯახის წევრებისათვის პირის დაკავების თაობაზე არ შეტყობინება და ადვოკატთან და ექიმთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, - ნათქვამია **ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია ადამიანის უფლებებისათვის**<sup>21</sup> ანგარიშში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ზემოთხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლება შეფასდეს როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი, ჯერ კიდევ საეჭვოა მათი ეფექტურობა პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. წინა წლების გამოცდილება და ყოვლისმომცველი სტატისტიკის არარსებობა არსებულ ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს.<sup>22</sup>

21 [http://www.ihf-hr.org/documents/doc\\_summary.php?sec\\_id=3&d\\_id=3860](http://www.ihf-hr.org/documents/doc_summary.php?sec_id=3&d_id=3860)

22 წინა წლების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქმდება შეიცავდა წამების დანაშაულის შემადგენლობას, სისხლის სამართლის საქმეები ძირითადად იღვრებოდა 332-ე, 333-ე ან 335-ე მუხლებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 12 დეკემბრით დათარიღებული წერილის მიხედვით არც ერთი საქმე არ აღძრულა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით. (წამება)

აღმნიშნის უწყებებთან ურთიერთობის საქართველოში

ზემოთთქმულის ნათელი ილუსტრაციისათვის იხილეთ ქვემოთმოცემული ცხრილი. აღნიშნულ ცხრილში განთავსებული ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ,<sup>23</sup> რომელიც მოიცავს მონაცემებს სისხლის სამართლის საქმეებზე (332-ე, 333-ე, 335-ე და 126-ე მუხლები).

წლები	მუხლები	01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
2004	332	15	32	55	70	98	108	128	156	205	235	260	
	332,333 335												329
2005	332	19	47	60	89	141	211	40	29	40	36		
	333	9	16	24	37	79	100	27	28	35	22		
	335			1	1	3	4	1	1	1			
	126			1	1	1	3		1				

სამწუხაროდ, ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი სტატისტიკის არარსებობის გამო, შეუძლებელია ნათელი და ზუსტი სურათის გადმოცემა წამების საქმეებთან, მათ გამოძიებასთან და მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. სტატისტიკური მონაცემები წამების, ისევე როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საქმეებზე უკვე მუშავდება, თუმცა აღძრულ საქმეთა რაოდენობა კვლავ სერიოზულ ეჭვს ბადებს შესაბამისი მუხლების პრაქტიკაში გამოყენებასთან და საქმების ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად<sup>24</sup>, 2005 წლის ივნისიდან 1441 მუხლით 29 სამეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება. საბოლოო ჯამში, ბრალი წაყენა მხოლოდ ერთ პიროვნებას. რაც შეეხება 1443-ე მუხლს, წინასწარი გამოძიება დაიწყო ხუთ საქმეზე, თუმცა საბოლოო ჯამში ბრალი არავის წაყენებია.

23 2005 წლის 8 დეკემბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი. წერილის დასასრულში მითითებულია, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სტატისტიკა 144(1), 144(2), 144(3) მუხლებთან დაკავშირებით.

24 2006 წლის 17 მარტის საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი.

### 3.2.3. 24 საათიანი ცხელი ხაზი წამების შესახებ საჩივრებისათვის.

სახელმწიფო ანგარიშებში ხშირად ესმება ხაზი იმ პოზიტიურ ნაბიჯებს, რომლებიც წამების აღმოფხვრისათვის იქნა გადადგმული. მაგალითად როგორცაა, 24 საათიანი ცხელი ხაზის დაარსება წამების შესახებ საჩივრებისათვის გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუმცა მიღებული ზომები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყველაფერი ეფექტურია. დღეის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ზარი შევიდა ცხელ ხაზზე და რა რეაგირება მოჰყვა ამ ზარებს სამინისტროს მხრიდან, რაც ასუსტებს იმ არგუმენტს, რომ 24 საათიანი ცხელი ხაზი არის ეფექტური საშუალება წამების თავიდან ასაცილებლად.

## ქალების ნაწილი

ფართოდ გავრცელებულმა არათანაბარმა მდგომარეობამ ქალებსა და მამაკაცებს შორის, შექმნა ის ვითარება საქართველოში, რომ ქალები არიან ყოველად დაუცველნი ძალადობისგან. ძალადობა წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, პოლიციისადმი არსებული უნდობლობის გამო, ქალები იშვიათად მიმართავენ მათ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, რაც გამოწვეულია პოლიციის მხრიდან პრობლემისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულებით. ამის მიზეზია ასევე სასტიკი მოპყრობა, არაეფექტური კანონმდებლობა, ფესვამჯდარი კორუფცია და საზოგადოებრივი გაუთვინციობიერებლობა თავიანთი უფლებების შესახებ.

### 1) სექსუალური ძალადობა

სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულმა დანაშაულების რიცხვმა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად იმატა, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია მძიმე ეკონომიკურ პირობებთან. გაუპატიურება საქართველოში წარმოადგენს ტაბუდადებულ თემას, რის გამოც შეუძლებელია რეალური სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. მთავარ პრობლემას რეაბილიტაციის ცენტრების არარსებობა წარმოადგენს. უფრო მეტიც, პოლიციაში და პროკურატურაში არ არსე-

ბობს გაუპატიურების სარქეებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფი. აუცილებელია პოლიციელებისათვის და გამოძიებლებისათვის ჩატარდეს სპეციალური ტრენინგი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს გაუპატიურების სარქეების გამოძიება და როგორ უნდა მიუდგნენ მსხვერპლს. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ასეთი ტიპის სარქეების გამოძიება შეიძლება გაგრძელდეს ხანგრძლივი დროით, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს სასამართლოში დანაშაულის დამტკიცებისათვის (სამედიცინო მიზეზი).

## 2) სტატისტიკური მონაცემები ოჯახურ ძალადობაზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შემდეგი ინფორმაცია იქნა მიღებული თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებიდან, უზენაესი სასამართლოდან, გენერალური პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტიდან:

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები ოჯახურ კონფლიქტებზე და დაასაბუთა აღნიშნული შემდეგით: შეუძლებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა მოთხოვნის დაკმაყოფილება, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, აღნიშნა, რომ ცალკე არ მუშავდება სტატისტიკური მონაცემები ოჯახურ ძალადობაზე, თუმცა გამოთქვა სამომავლო თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოგვარა მცირედი სტატისტიკური მონაცემები საერთო სასამართლოებში განხილულ ოჯახური ძალადობის სარქეებზე. კერძოდ, 2005 წელს საერთო სასამართლოებში შევიდა 11 სარქე. ყველა 11 სარქეში მსხვერპლი ქალი იყო. 6 სარქეში მეუღლეს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, 2 სარქეში იგივე სახის შეურაცხყოფა მიაყენეს ყოფილ მეუღლეებს; 1 სარქეში დედამთილს და ერთ სარქეში მეუღლესა და შვილს.



გენერალურმა პროკურატურამ ვერ მოგვაწოდა სტატისტიკური მონაცემები ოჯახური ძალადობის საქმეებზე, რადგან აქამდე ასეთი კატეგორიის საქმე არ განუხილავს: “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ოჯახური ძალადობის დანაშაულის შემადგენლობას”.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის და ანალიზის განყოფილების მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2005 წელში ოჯახური კონფლიქტის საკითხზე წინასწარი გამოძიება დაიწყო 47 საქმეზე, რომელთაგანაც 6 საქმე გადაეცა სასამართლოს და დანარჩენზე კვლავ მიმდინარეობს ძიება.

საპატრულო პოლიციის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს. 2005 წლის აგვისტოდან 2006 წლის 1 იანვრის ჩათვლით (მხოლოდ 4 თვე), დაფიქსირდა 1466 ოჯახური ძალადობის (კონფლიქტის) საქმე, რომელზეც საპატრულო პოლიციას რეგირება მოუწია. თუმცა, მან ვერ მოახერხა მოძალადეთა დაკავება, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არავითარ სასჯელს.

თბილისის პარალელურად ოჯახური ძალადობის საქმეებზე მონიტორინგი ჩატარდა ქუთაისში. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა წერილობითი თხოვნის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარმა რეგიონულმა სამმართველომ და ქუთაისის განყოფილებამ მოგვაწოდა შემდეგი მონაცემები ოჯახურ ძალადობაზე:

რეგიონალურმა პროკურატურამ გვაცნობა, რომ 2005 წელში იმერეთის, გურიის და რაჭა-ლეჩხუმის ქვემო სვანეთის სამხარეო პროკურატურებში და საგამოძიებო ორგანოებში შევიდა 73 საჩივარი:

73 საჩივრიდან 11 ეხებოდა განზრახ მკვლელობას, რომლიდანაც 9 საქმე გადაეცა სასამართლოებს და ორზე მიმდინარეობდა ძიება. 3 მკვლელობა იქნა ჩადენილი ზესტაფონში, 3 ჭიათურაში, 2 ქუთაისში, 1 ოზურგეთში, 1 ამბროლაურში და 1 ცაგერში. 3 საქმეში ქმარმა მოკლა ცოლი, 3 საქმეში ძმამ - ძმა, 1 საქმეში მამამ - შვილი, 1 საქმეში შვილმა - მშობლები, ერთ საქმეში მოკლეს ბებია და ერთ საქმეში მამაკაცმა მოკლა საცოლე.

ზემოთხსენებული საქმეებიდან, 4 ეხებოდა მკვლელობის მცდელობას, 3 გადაეცა სასამართლოებს და ერთზე მიმდინარეობდა ძიება. ყველა საქმეში ან ცოლმა მოკლა ქმარი ან პირიქით, ან სიძემ მოკლა სიმამრი და პირიქით.

2 საქმე ეხებოდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას (სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი); ერთი საქმე გადაეცა სასამართლოს და ერთზე მიმდინარეობდა ძიება.

42 საქმე ეხებოდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას (სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი), რომლისგანაც 4 გადაეცა სასამართლოებს, ცხრაზე მიმდინარეობდა ძიება და 29 საქმე შეწყდა.

6 საქმე ეხებოდა ნივთის დაზიანებას ან განადგურებას (სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი), რომლიდანაც 5 გადაეცა სასამართლოებს და ორი შეწყდა.

4 საქმე ეხებოდა მუქარას (სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი), რომლიდანაც ერთი გადაეცა სასამართლოს, ერთზე მიმდინარეობდა ძიება და 2 შეწყდა.

3 საქმე ეხებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით. (სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი). სამივე საქმე შეწყდა წინასწარი გამოძიების ეტაპზე.

ზემოაღნიშნული 73 საქმიდან 23 (31.5%) გადაეცა სასამართლოებს; 15-ზე (20.5%) მიმდინარეობს ძიება და 35-(48%) შეწყდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რეგიონალური განყოფილება იძიებდა 2 საქმეს: ერთ საქმეში ცოლმა მოკლა ქმარი და ერთში კი შვილმა მოკლა დედა.

ქუთაისის განყოფილების მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ოჯახური ძალადობის ფაქტებზე რეგისტრირებულია 30 საჩივარი. იგივე რაოდენობის საქმეზეა დაწყებული წინასწარი გამოძიება. მოცემული ციფრიდან, 11 საქმე შეწყდა, 3 გადაეცა სასამართლოებს და 16-ზე მიმდინარეობდა ძიება.

ქუთაისის საოლქო პროკურატურამ შეგვატყობინა, რომ 2005 წლის პირველი იანვრიდან 2006 წლის პირველ იანვრამდე შევიდა 21 საჩივარი ოჯახური ძალადობის საქმეებზე, რომელთაგანაც სამზე წინასწარი გამოძიება დაიწო განზრახი მკვლელობის მუხლით (სსკ 108-ე მუხლი) და საქმეები გადაეცა სასამართლოებს; 12-ზე - სსკ-ს 118-ე მუხლით, 3 საქმეზე - სსკ 124-ე მუხლით, ერთზე - 117-ე მუხლით, ერთზე - 187-ე მუხლით და ერთზეც - 151 მუხლით.

შედეგები გვიჩვენებენ, რომ ჩადენილი ქმედებები არ შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს, არ ხდება მოძალადეთა დაკავება და ფაქტობრივად არაფრის გაკეთება არ შეიძლება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ოჯახური ძალადობის საქმეების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას.

### 3) იძულებით გადაადგილებული (დევნილი) ქალები

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო დღესდღეობით 280 000 იძულებით გადაადგილებული პირია საქართველოში. დევნილთა უდიდესი ნაწილი - 266 000 ადამიანი არის აფხაზეთიდან დევნილი ქართველები. დანარჩენები არიან სამხრეთ ოსეთიდან დევნილები. დევნილთა 55%-ს ქალები შეადგენენ.

იძულებით გადაადგილებული ქალები გამოქცევის დროს ნებისმიერ ეტაპზე აწყდებიან ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებს, ქალები არიან გაუპატიურების თუ სხვა სახის ძალადობის რისკის ქვეშ, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ომის იარაღად“. ლტოლვილთა თავშესაფარში ქალები ხშირად სექსუალური ძალადობისა თუ სხვა სახის ხელყოფის შიშის ქვეშ ცხოვრობენ ადგილობრივი უშიშროების თანამშრომლებისა თუ სხვა მამაკაცი დევნილების მხრიდან.

ქალები აფხაზეთში სექსუალური ძალადობის ძირითადი სამიზნეები იყვნენ სამხედრო მოქმედებების დროს. ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის ინფორმაციით, 800 ქალი აწამეს და მოკლეს აფხაზეთში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, 346 ქალი გაიყინა და დაიღუპა სვანეთის მთებში, როდესაც ისინი გამოიქცნენ აფხაზეთიდან კონფლიქტის დროს. დევნილ ქალთა ასოციაციის OXFAMME-ის ანგარიშის მიხედვით, დევნილ ქალთა 16% წამების მსხვერპლი იყო.

დევნილთა ინტეგრაციის საკითხი საქართველოსათვის მტკიცებულ თემას წარმოადგეს. დევნილებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის არსებობს ფარული დაძაბულობა. უფრო მეტიც, დევნილ ქალთა უდიდესი ნაწილი იძულებული გახდა დაეთმო საკუთარი პროფესია. უმაღლესი განათლების მქონე ქალები დასაქმებულნი არიან არაპროფესიულ სამსახურებში. ბევრი ქალბატონი იძულებულია ქუჩის ვაჭრობას მოჰკიდოს ხელი, რათა თავი ირჩინოს, რაც ზრდის ძალადობის რისკს.

უნდა აღინიშნოს, რომ ღვენულ ქალთა შორის ღიღია ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვი. 2005 წლიდან ღვენილებს შეუწყდათ სამედიცინო დახმარება. მომსახურება ხორციელდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში. კანონის მიხედვით, სასწრაფო დახმარება ან უფასო ან სახელმწიფო ფარავს მის 60-70%-ს. ამისათვის ორი საავადმყოფო არსებობს თბილისში. თუმცა, ერთერთ მათგანში, მთავარი ექიმი აცხადებს, რომ მხოლოდ თბილისის მკვიღრთ გაეწევა უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება და რომ მუნიციპალური დახმარება არ ეხება ღვენილებს. რეგიონებში მღგომარეობა გაცილებით რთულია.

### ბავშვითა საკითხები:

სხვადასხვა სახის ძალადობა ხორციელდება ბავშვითა მიმართ მასწავლებლების, მშობლების ან სხვა აღმზრდელების მხრიდან. თუმცა, სასტიკი მოპყრობის შესახებ მომართვიანობა იშვიათ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება ქუჩის ბავშვებს, მათ გამოცდილი აქვთ ძალადობის და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმა პოლიციის ან სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან. სამწუხაროდ, მსგავსი სახის ქმედებები არ აშკარავდება პოლიციის მიერ.

### ბავშვითა მიმართ წამების და სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევები 2005-2006 წლებში

- 17 წლის მარია სულამანიძე, რომელიც თერჯოლის რაიონიდან თბილისში ჩამოვიდა, ცხოვრობდა ქუჩაში. იგი არის ფსიქიურად დაავადებული. ღედა უარს აცხადებს ბავშვის მიღებაზე, აპელირებს სიღარიბეზე. ცხოვრობს ამჟამად ბავშვითა სოციალური ადაპტაციის ცენტრში, თუმცა ცენტრს არ გააჩნია არავითარი რესურსი მარიკას რეაბილიტაციისთვის. მარია ცენტრში პატრულმა მიიყვანა. მანადმე კი იგი იმყოფებოდა თბილისის ფსიქიკრიულ კლინიკაში, ქალთა განყოფილებაში, არასრულწოვანთა ფსიქიკრიული კლინიკის/ღეპარტამენტის არარსებობის გამო. იგი ამბობს, რომ გააუპატიურეს და არის არაერთგზის გაუპატიურების მსხვერპლი. მაგრამ მის ამ განცხადებას არ მოპყლია არავითარი რეაქცია ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ მარია ფსიქიკურად არის დაავადებული. უფრო მეტიც, მარიკას არ ჩატარებია სამედიცინო-გინეკოლოგიური შემოწმება (2006 წლის იანვარი).

- ალექსი ბაღაშვილი 8 წლის, ნაცემი, სველ ტილოში გაკოჭილი ნაპოვნი იქნა პატრულის მიერ ქუჩაში - თხრილში. იგი არ ლაპარაკობს. მამა არ ყავს, დედა ფსიქიურად დაავადებულია. ალექსი ცხოვრობს ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრში. ცენტრის დირექტორის ქეთევან კობალაძის განცხადებით, მათ მიმართეს პოლიციას ალექსის შემთხვევასთან დაკავშირებით, მაგრამ საქმე არ იქნა აღძრული.<sup>25</sup>

### წამების მეთოდები:

2005 წელს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრში იმყოფებოდა წამების მსხვერპლი 40 ბავშვი და მოზარდი<sup>26</sup>.

*მათ მიმართ განხორციელებული წამების ქმედებების ჩამონათვალი*

წამების ფიზიკური მეთოდები:

1. ცემა (ხელკეტით, ჩექმებით, იარაღით, ხელით და სხვ.) – 15 მოზარდი
2. სისტემატიურად ცემა – 21, ერთჯერადად – 10 მოზარდი
3. წამების ორალური მეთოდი – 1
4. ფალანგზე (კიდურებზე) - 2
5. “არაფიზიოლოგიური” მდგომარეობა - 11
6. სექსუალური წამება – 7
7. დაზრჩობა (წყლით, ჩანთით, გაზის ნიღბით) – 5
8. დაწვა – (სივარეტით, ცხელი უთოთი და ა. შ)

წამების ფსიქოლოგიური მეთოდები:

1. ჩამოშორება, იზოლაცია – 40 (მაგალითად, წინასწარი დაკავების საკანში ალექსო ქამუშაძე იმყოფებოდა 8 თვის განმავლობაში 30 კაცთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ მკვლელთა და

25 ინფორმაცია განახლებულია 2005 წლის ოქტომბერში.

26 წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში.

გაუპატიურებაში ბრალდებულები)

2. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა – 4
3. სხვა წამების მსხვერპლნი იზოლატორში – 22
4. სხვათა წამების ხმების მოსმენა – 13
5. ოჯახის წევრების ან სხვა ახლო ნათესავების წამება – 5
6. გაუპატიურების საშიშროება – 23
7. ოჯახის წევრების წამების ყურება – 27
8. დამცირება, არაადამიანური მოპყრობა, შევიწროება – 40
9. სამედიცინო დახმარების არაღმორჩენა, არაადამიანური მოპყრობა – 35

### რისკ-ჯგუფის და ქუჩის ბავშვები

საქართველოში ქუჩის ბავშვთა საგრძნობლად დიდი რაოდენობა არსებობს. მათი ზუსტი რიცხვის განსაზღვრა რთულია, მაგრამ დაახლოებითი რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით მერყეობს 1200 და 3600 შორის.<sup>27</sup>

საბჭოთა პერიოდიდან 2004 წლის ივლისამდე საქართველოში, კერძოდ, თბილისში არსებობდა შსს - თან დაქვემდებარებული არასრულწლოვან ბავშვთა მიმღებ გამანაწილებელი, რომელშიც ქუჩაში უმეტესწილად დარჩენილი ბავშვები ზვდებოდნენ პოლიციის მეშვეობით. აღნიშნული ინსტიტუცია წარმოადგენდა დახურული ტიპის ბავშვთა დაწესებულებას, რომლის მიზანი იყო ცალკეული შემთხვევების შესწავლის შემდეგ, მომხდარიყო ბავშვის ორიენტაცია, პრიორიტეტით - ოჯახში დაბრუნებაზე, ოჯახური მდგომარეობის შესწავლისა და ოჯახის გაძლიერების შემდეგ. აღნიშნული დებულება ატარებდა ფიქტიურ ხასიათს და ცენტრი წარმოადგენდა არაკანონიერ სასჯელალსრულებით დაწესებულებას, სადაც აღინიშნებოდა ბავშვთა დამცირებისა და წვალეების სხვადასხვა ფაქტები (სიტყვიერი შეურაცხობა, ფიზიკური დასჯა, კარცერში ჩასმა და სხვა). აღნიშნულ დაწესებულებაში ბავშვები ატარებდნენ სულ მცირე რამოდენიმე თვეს და ზოგჯერ იმყოფებოდნენ წლების განმავლობაშიც კი. მისი დატოვების შესაძლებლობა ბავშვებს ეძლეოდათ მხოლოდ გაქცევით, რომელიც ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა და, რაც დასჯის ახალ მიზეზად

27 აღნიშნული ინფორმაცია არ არის ოფიციალური და ძირითადად ეყრდნობა არასამთავრობო ორგანიზაციის „ბავშვი და გარემოს“ მონაცემებს.

იქცეოდა. დაწესებულებაში იყო უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობა, ანტისანიტარია, სამედიცინო მომსახურების და კვების დეფიციტი, ფაქტიურად არ მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესი.

2004 წლის ივლისის ბოლოს შს სამინისტრომ გააუქმა აღნიშნული ბავშვთა დაწესებულება. გაიხსნა “ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი” - ღია ტიპის დაწესებულება. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში აღარ აღინიშნება წამებისა და ძალადობის სხვა ფორმების გამოვლინება, იგი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმისაგან, რასაც ქუჩის ბავშვთა რეაბილიტაცია ჰქვია და ეს მოვლენა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ორგანიზაციის თანამშრომლების სურვილსა და კვალიფიკაციაზე. ეს დამოკიდებულია სახელმწიფო ბავშვთა დაცვის სისტემაზე, რესურსებსა და კანონმდებლობაზე.

ცენტრი ლეგალურად როგორც ქუჩის ბავშვებს, ასევე ბავშვთა იმ კატეგორიას, რომლებსაც დარღვეული ქონდათ კანონი, თუმცა ამ უკანასკნელის მიღების უფლება ცენტრს არ ჰქონდა. ბავშვები არიან შერეული მიუხედავად ცენტრში ყოფნის მიზეზისა, ასაკის და სქესის. ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრში 2005 წლის მაისიდან 2006 წლის იანვრამდე რეგისტრირებული იქნა 110 ქუჩის ბავშვი.

შესაბამისად, გვაქვს შემდეგი სიტუაცია:

1. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; კვება უახლოვდება ნორმას;
2. ბავშვები იღებენ პირველად სამედიცინო დახმარებას, მაგრამ სრული გამოკვლევის, მკურნალობის და რეაბილიტაციისთვის არარსებული რესურსების გამო, ცალკეულ შემთხვევებში, ბავშვთა დახმარება ხორციელდება ადგილობრივ თანამშრომელთა პირადი კავშირების გამოყენებით. ის სამედიცინო პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო სთავაზობს არასულწლოვნებს, ამ ტიპის ბავშვებისთვის სერვისის თვალსაზრისით მიუღებელია, რაც ბავშვის სტაციონარში მოთავსების შემთხვევაში მისი იქედან გაქცევით მთავრდება; ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, დიაგნოსტიკა ხდება უკიდურესად დაგვიანებულ მძიმე შემთხვევებში.
3. ცენტრში თავს იყრის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ბავშვები. იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ქუჩის ბავშვთა რეაბილიტაციის სტრატეგია და სისტემა, ვერ ხორციელდება მათი

სათანადოდ რეაბილიტაცია. საქართველოში ოფიციალურად არ არის აღიარებული სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, ამ თანამდებობაზე მუშაობენ არაკვალიფიციური კადრები, რომელთა საქმიანობას არ ამყარებს ასევე კანონი. ოჯახთა შესწავლა, რეინტეგრაცია კვლავ შეუძლებელია და ფაქტიურად ფორმალურად რჩება დაწესებულების დებულებაში.

4. ამ დაწესებულებაში ბავშვთა მეტი ნაწილი კვლავ დებულებით (6 თვე) გათვალისწინებულ დროზე მეტ ხანს რჩება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცენტრის ღია ტიპის დაწესებულებად გადაკეთების შემდეგ, ბავშვები თავიანთი ნებასურვილით გადაადგილდებიან, რაც რეაბილიტაციის პროცესებს ისევ ახანგრძლივებს.

5. ქუჩის ბავშვთა უმეტესი ნაწილი ტოქსიკომანია, რომელთა რეაბილიტაციას სპეციფიური სამედიცინო თერაპიული პროგრამები სჭირდება. აღნიშნულის არარსებობის გამო, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში აღწევს ცენტრი დადებით შედეგს.

6. ბავშვების დიდ ნაწილს აღენიშნებათ სხვადასხვა მენტალური დარღვევები. მათი განათლების დონე 14-15 წლის ასაკისათვის არ აღემატება წერა-კითხვის ელემენტარულ ცოდნას. ამ ფონზე, არ არსებობს არავითარი სპეციფიური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შემდგომში მათ ასაკობრივ რეინტეგრაციას ხელს შეუწყობდა.

7. ანამნეზური კვლევით, ბავშვთა აბსოლიტური უმრავლესობა ოჯახური ძალადობის, სასტიკი მოპყრობისა და უგულვებლყოფის მსხვერპლია. მათ უმრავლესობას განცდილი აქვს წარსულში წამება პოლიციური სტრუქტურების მხრიდან.

8. საინტერესო დამოკიდებულება ჩამოყალიბდა პოლიციასთან ურთიერთობაში. როგორც ცენტრის დირექტორი ქეთევან კობალაძე ამბობს, არ დაფიქსირებულა პოლიციის მხრიდან წამების არცერთი გამოვლინება მათთან მსცოვრებ ბავშვებს შორის. სამართალდარღვევის შემთხვევაშიც კი, პოლიცია ამჯობინებს არ დააკავოს დამნაშავე და დააბრუნოს/მიიყვანოს ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში. სარეაბილიტაციო ცენტრი ვერ ახერხებს მათ მოვლას ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა მოვლის სხვა რესურსების არარსებობის გამო.

9. ცენტრს არ ჰქონია ქუჩის ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის ან ბავშვთა სახლში გადაყვანის არც ერთი შემთხვევა.



## შაქტები:

### სპეცამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ცუდად მოპყრობა

2005 წლის 12 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სპეცრაზმთან ერთად საკუთარ სახლში ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვის ბრალდებით, 43 წლის გივი ჯანიაშვილი დააკავეს. ჯანიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა და 20-30-მდე სპეცრაზმელმა დაკავებისას სასტიკად სცემეს. დაკავებულის ადვოკატის თქმით, ნარკოტიკი, რომელიც ჯანიაშვილს აღმოუჩინეს სამართალდამცავების მიერაა ჩადებული.

დაკავებულის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის ინფორმაციით, გივი ჯანიაშვილის დაკავება ამა წლის 12 მაისს განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა. მას იარაღის კონდახით თავის არეში მძიმე დაზიანებები მიაყენეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამომძიებელი აცხადებს, დაკავებულის წინააღმდეგ მართლაც იქნა ძალა გამოყენებული, თუმცა ამას სამართალდამცავები თავისებურად ხსნიან და გამართლებას იმაში პოულობენ, რომ ჯანიაშვილმა დაკავებისას მათ წინააღმდეგობა გაუწია. საწინააღმდეგოს ამტკიცებს დაკავებულის ადვოკატი და მოწმეები, რომლებიც აცხადებენ, რომ დაკავებისას გივი ჯანიაშვილის

წინააღმდეგ ძალის გამოყენება ყოველად გაუმართლებელი იყო, რადგან იგი სამართალდამცავებს წინააღმდეგობას არ უწევდა. მის ბინაში ჩხრეკისას არ იქნა აღმოჩენილი იარაღი. შესაბამისად, მისი მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობაც გამორიცხულია.

გივი ჯანიაშვილი უშიშროების თანამშრომლებმა პირველად ერთი წლის წინ ვალეს საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს. სამართალდამცავებმა მას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შექმნის, შენახვისა და გადაზიდვის ბრალდება წაუყენეს. ადვოკატის ინფორმაციით, ჯანიაშვილს აიძულებდნენ ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა ელიარე ბინა. გარდა ამისა, ჩხრეკის ოქმში სამართალდამცავებმა არარსებული მოწმეები შეიყვანეს.

გივი ჯანიაშვილის ადვოკატის კესო ცარციძის განცხადებით, 2005 წლის 3 მაისს 260-ე მუხლის მეორე ნაწილით, ასპინძის რაიონულმა სასამართლომ მტკიცებულებებისა და მოწმეების არარსებობის გამო, იგი გაამართლა და გაათავისუფლა.

ათი დღის შემდეგ, 12 მაისს, დღის ორის ნახევარზე 20-30 ნიღბიანი სპეცრაზმელი შეიჭრა ჯანიაშვილის ბინაში და დააკავეს. ჯანიაშვილის ადვოკატის განცხადებით, დაკავების დროს დარღვეულ იქნა არაერთი საპროცესო ნორმა. ამჯერად, გივი ჯანიაშვილს სასამართლომ

სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა დაკავებულის ადვოკატი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

როგორც დაკავებულის მეუღლე, ნანა ჯანიაშვილი აცხადებს, მისი მეუღლე სამართალდამცავთა პირადი ინტერესების მსხვერპლია. მასზე უშიშროების ღვენას შემდეგნაირად ხსნის: „გივი ჯანიაშვილის მეგობარმა სერიოზული ბიზნესი წამოიწყო. ერთხელ მას უშიშროებიდან დაურეკეს და გააფრთხილეს, შენი გატაცება ივემება, ფულის გამოძალვის მიზნითო. მას შემდეგ გივი თავის მეგობარს გვერდიდან არ მოშორებია. საბოლოოდ გაირკვა, რომ გატაცებას თვითონ უშიშროება გემაგვდა. აღმოჩნდა, რომ ამ გეგმის განხორციელებაში მათ ხელი გივი ჯანიაშვილმა შეუშალა. სწორედ ამ ამბის შემდეგ დაიწყო პროვოკაციები. უფრო მეტიც, გივის ფულიც მოსთხოვეს, 3000 ლოლარი, ოპერაციის ჩაშლის სანაცვლოდ“.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი იძიებს.

### გიორგი მიგრაიულის ცემა და წამება<sup>28</sup>

გორის რაიონული პროკურორი არჩილ ბაბაჯანაშვილი და შიდა ქართლის ოლქის პროკურო-

რი დავით წითური შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცნენ.

როგორც სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ და მართლმსაჯულების ომბუდსმენმა ვახტანგ კომახიძემ განაცხადეს, 9 ოქტომბერს გორის რაიონულმა პროკურატურამ დააკავა მოქალაქე გიორგი მიგრაიული, რომელიც რაიონის პროკურორმა არჩილ ბაბაჯანაშვილმა თავის კაბინეტში სასტიკად აწამა. დაკავებულს სხეულზე აღენიშნება არაერთი დაზიანება, მათ შორის სიგარეტის კვალი და დაჟეჟილობები. სავარაუდოდ მას ტვინის შერყევაც აქვს.

აღნიშნული ქმედების დაფარვაში აქტიურად მონაწილეობდა ოლქის პროკურორი დავით წითური. როგორც ბაჩო ახალაიამ აღნიშნა, დავით წითური გიორგი მიგრაიულის ოჯახის წევრებს „ამუშავებდა“ და ეუბნებოდა, რომ თუ ისინი წამების ფაქტს უარყოფდნენ, გიორგი მიგრაიულს გაათავისუფლებდნენ.

ბაჩო ახალაიას თქმით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები ამ ფაქტს თვითონვე შეესწრნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გენერალურ პროკურატურას შესაბამისი წერილი წარუდგინეს, რომლითაც ისინი მოითხოვენ, რომ წამების ფაქტთან დაკავშირებით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება. მანამდე კი, ვიდრე წითურისა და ბაბაჯანაშვილის

28 2004 წლის სახალხო დამცველის ანგარიში აღმინის უფლებებზე [www.ombudsman.ge/download/annrep04E.pdf](http://www.ombudsman.ge/download/annrep04E.pdf)

დანაშაულებრივი კვალი დადასტურდება, ისინი თანამდებობიდან გათავისუფლდებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩილ ბაბაჯანაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე დაახლოებით თვენახევრის წინ დანიშნეს.

**2004 წლის 15 დეკემბერს** სიღნაღის რაიონის პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით ფრიდონ გურაშვილი და გელა კიკილაშვილი დააკავა. აღნიშნული პირები პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც მათ პოლიციელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. როგორც მათი ადვოკატი - ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, აღნიშნული პირები უკანონოდ იქნენ დაკავებულები, რასაც დაემატა მათი წამება: „პოლიციელებმა (ზაურ მულრაშვილმა, როინ მაზიაშვილმა, ხვიჩა ტულაშვილმა და გიორგი ქიქიაშვილმა) ისინი ფანჯარაზე მიაბეს, ცემეს და აიძულებდნენ ეღიარებინათ ნასყიდა ალავერდაშვილის მკვლელობა“, - აცხადებს ხატიაშვილი და ამატებს, რომ ამ საქმეში აგრეთვე აქტიურად იყვნენ ჩართული სიღნაღის რაიონის პოლიციის უფროსი, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი და სისხლის სამართლის სამმეპრო ქვეგანყოფილების უფროსი. დაზარალებულების გათავისუფლება მოხერხდა მოგვიანებით მედიისა და სიღნაღის პროკურორის ჩარევით.

ფრიდონ გურაშვილზე და გელა კიკილაშვილზე კი, იმის გამო რომ ისინი დაუპირისპირდნენ პო-

ლიციის უფროსს, ამოიციეს მოძალადე პოლიციელები და საჩივარიც შეიტანეს სასამართლოში, მიმდინარეობს განუწყვეტელი ზეწოლა, რომელსაც პოლიცია კრიმინალური ელემენტების მეშვეობით ახორციელებს. სწორედ ისინი დაესხნენ თავს გელა კიკილაშვილს და სასტიკად სცემეს. მათი მოთხოვნა იყო, რომ კიკილაშვილს გამოეტანა საჩივარი და შეეწყვიტა საქმე პოლიციის უფროსისა და სხვა მოძალადეების მიმართ. როგორც ადვოკატი აცხადებს, ეს იყო მეორე თავდასხმა მათზე: „პირველი თავდასხმისას იგი არ უცემიათ მაგრამ მოთხოვნა იგივე იყო“. თავდასხმის შემდეგ გელა კიკილაშვილს არავინ დანაშაულებია და არც ექსპერტიზა, ჩაუტარებიათ რადგან, როგორც ადვოკატი აცხადებს, კიკილაშვილი შიშის ქვეშ იმყოფება. „საერთოდ ყველას ძალიან ეშინია პოლიციის უფროსის - ხოხონიშვილის. ბიჭები იმის შიშით რომ ნარკოტიკი არ ჩაუგდონ ჯიბეამოკერილები დადიან და ხალხს გარეთ გამოსვლის ეშინია“, - აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

დღესდღეობით ამ პოლიციელების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და როგორც საოლქო პროკურორის მოადგილე თავის წერილში წერს, „უახლოეს ხანში ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისმგებში ხსენებული დანაშაულის ჩადენისათვის“. თუმცა, პოლიციის უფროსი ხოხონიშვილი და სხვა პირები, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი კვლავ ინარჩუნებენ თანამდებობებს.

**8 აპრილს** თბილისის #1 საპრობილედან გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში, მოწმის სახით დაკითხვის მიზნით, გადაიყვანეს მსჯავრდებული ელდარ ქონენიშვილი, რომელიც იქ, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის“ ინფორმაციით, სასტიკად აწამეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, „ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ 11 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქონენიშვილის მიმართ გამოიყენებოდა წამების სხვადასხვა ფორმები: იარაღის ტარით თავში ცემა, სკამის მომტვრეული ფეხით მთელ

სხეულზე ცემა, ჩაქოლვის მუქარა და ა.შ.

ნანა კაკაბაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი ეცნობა გენერალურ პროკურატურას, დღემდე არ ჩატარებულა ნაწამები პატიმრის ექსპერტიზა. ნაწამები ელდარ ქონენიშვილი აცხადებს, რომ სახეზე ცნობს მის ყველა მწამებელს და მათ შორის #1 საპრობილის ყოფილი დირექტორის ჯიმშერ ბაწაშვილის შვილს, პოლიციელ გელა ბაწაშვილს ასახელებს. არასამთავრობოები მოითხოვენ, რომ აღიდრას სისხლის სამართლის საქმე და ყველა პოლიციელი პატიმრის წამებისათვის დაისაჯოს.

### 3.3. „სპეციალური ოპერაციების“ სახელით შენიღბული მკვლევობები

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ხელისუფლებამ მთავარ პრიორიტეტად დამნაშავეობასთან ბრძოლა გამოაცხადა. სამართალდამცავ ორგანოთა სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და პოლიციელთა ახალი კადრების შერჩევის პარალელურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა ე.წ. „საჩვენებელი დაკავებების“ ხმაურიანი სერია. სამართალდამცავთა მიერ ჩატარებული ე.წ. სპეციალური ოპერაციები ხასიათდება გადამეტებული ძალის გამოყენებით და ხშირ შემთხვევაში დასაკავებლ პირთა „ლიკვიდაციით“ სრულდება.

პოლიციის თანამშრომლების უკანონო და გადაჭარბებულ ძალის გამოყენებას, ოფიციალური განცხადებებით, მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტი - მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი – ვანო მერაბილშვილი.<sup>29</sup> მაგალითად, 2006 წლის 23 თებერვალს ახლად დანიშნულ მო-

29 იხილეთ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წამება და ძალადობა საქართველოში, საქართველო 2005.

სამართლებთან შეხვედრისას მ. სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა: “პოლიციის თანამშრომლებს აქვთ ინსტრუქცია პირდაპირ გახსნან ცეცხლი, ვინაიდან ჩემთვის და მოსახლეობისთვის ერთი პოლიციელის სიცოცხლე ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე მთელ კრიმინალთა სამყაროს და მათ თანამონაწილეთა სიცოცხლე. ამიტომ, ჩვენ უკვე შევქმენით იარაღის გამოყენების პრეცედენტი და ვაპირებთ ასე გავაგრძელოთ, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში, ისრაელსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ხდება.”

მგავსი განცხადება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმაც: „მოუწოდებ საქართველოს პოლიციის შემადგენლობას, არავითარ შემთხვევაში არ ავიკანკალდეთ ხელი, თუ დაინახავთ, რომ საფრთხე ემუქრება ადამიანს, პოლიციელის სიცოცხლეს – გამოიყენეთ იარაღი“.

სამართალდამცველები უსიტყვოდ ემორჩილებიან ზემოაღნიშნულ ბრძანებებს, რის შედეგადაც, სპეცოპერაციების განხორციელებისას დამნაშავეთა ლიკვიდაციის ფაქტებმა არა გამოჩანს, არამედ წესის ხასიათი შეიძინა. ზემოაღნიშნულის ნათელი ილუსტრაციისათვის, წარმოვიდგინოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, 2005 წელში ადგილზე ლიკვიდირებულ იქნა 15 კრიმინალი, ხოლო დაშავდა ერთი.

ტერმინების, „კრიმინალი“, „ადგილზე ლიკვიდაცია“ და „ადგილზე განადგურება“, გამოყენება მიუღებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლით გარანტირებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.<sup>30</sup> უფრო მეტიც, ასეთ ტერმინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს და მათი გამოყენება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იყენებენ მათ.

სპეციალური ოპერაციების შედეგი დამლუპველია არა მხოლოდ პოტენციური სამართალდამრღვევებისთვის, არამედ პოლიციელთათვისაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, 2005 წელს სპეცოპერაციათა ჩატარებისას დაიღუპა 16 სამართალდამცავი და 33 დაშავდა. უფრო მეტიც, სამართალდამცავთა არასწორი ქმედებებით ხშირად უდანაშაულო მოქალაქეებიც ზარალდებიან, რომელთაც კრიმინალთან არანაირი კავშირი არ აქვთ.

30 “ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.”

## სამართალდამცავთა მიერ სიცოცხლის ხელყოფა სპეცოპერაციების ჩატარებისას.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის დამადასტურებელი ნათელი მაგალითია 2004 წლის 4 მარტს ქუთაისში ავტოგამტაცებელთა დასაკავებლად ჩატარებული სპეცოპერაცია. ამ დღეს ეჭვმიტანილ გაგაჭეიშვილს, პოლიციამ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. პოლიციის მხრიდან მძიმედ დაშავდა ერთი, ხოლო დაიღუპა ორი თანამშრომელი - როინ რობაქიძე და გია ხატიაშვილი. სპეცოპერაციის ყველაზე ტრაგიკული მოვლენა, შემთხვევითი გამვლელის, შალიკიანის დაღუპვა იყო.

ბეგლარიშვილის საქმეც ზემოაღნიშნული პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. 2004 წლის 9 თებერვალს ძმები ბეგლარიშვილების დასაკავებლად კასპში ჩატარდა სპეცოპერაცია. ოპერაციის ჩატარების პროცესში ძმები ბეგლარიშვილები იმყოფებოდნენ ერთ-ერთ მიტოვებულ ქონში. ოპერაციის შედეგად, ორივე ძმა დაიღუპა. პოლიციის განცხადებით, სპეცოპერაციის ჩატარებისას ძმებმა ბეგლარიშვილებმა მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც, ეს უკანასკნელი იბულებულნი გახდნენ ცეცხლი გაეხსნათ, თუმცა სრულიად განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან თვითმხილველი მოწმეები. საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეჭვს ბადებს პოლიციის არგუმენტის სისწორესთან დაკავშირებით.

ექსპერტის დასკვნა ადასტურებს, რომ გასროლა განხორციელდა ახლო მანძილიდან და ნიკაპს ქვემოთ არსებული ჭრილობა აღნიშნული გასროლის პირდაპირი შედეგია. პრაქტიკულად არ ჩატარებულა არავითარი საგამოძიებო მოქმედება (შემთხვევის ადგილიდან არ ამოღებულა მასრები). ბეგლარიშვილების დედამ მოითხოვა პოლიციელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, თუმცა უშედეგოდ. არაღძვრის დადგენილება მან სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე როგორც გამომძიებლის დადგენილება და საქმე დააბრუნა ხელახალ გამოძიებაში. ანგარიშის წერის დროისათვის საქმეზე კვლავ მიმდინარეობს ძიება.

სამწუხაროდ, მსგავს შემთხვევებზე რეაგირებისა და წინასწარი გამოძიების დაწყების ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრი შემდეგ განცხადებას აკეთებს: „ამას ვაკეთებ მე, შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი და ვიტყვი კიდევ ერთხელ, ამ ბრძანებას ვაძლევ საქართველოს პოლიციელებს, სპეცნაზელებს, ყველას, ვისი ვალია დაიცვას საქართველოს საზოგადოება. თუ დაინახავთ, რომ ოდნავ მაინც საფრთხე ექმნება მოქალაქის, მით უმეტეს პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გამოიყენეთ იარაღი. მე ქელს ვიხრი იმ სპეცნაზელების წინაშე და იმ პოლიციელების წინაშე, რომელთაც თავისი

სიცოცხლის ფასად ჩაატარეს ოპერაციები და მოკლეს კრიმინალები, რადგანაც, რომ არ მოეკლა ეს კრიმინალი, კიდევ უფრო მეტი დანაშაული მოხდებოდა საქართველოში“.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ზდება ხელისუფალთა მიერ მკვლელობები სამართალდამცავთა მიერ და ძალის გადამეტებულად გამოყენება, არის 2006 წლის იანვრის ინციდენტი თბილისის ერთ-ერთ კაფეში შარდენის ქუჩაზე.

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დათა ახალაია, მისი მოადგილე ოლეგ მელნიკოვი, შსს-ს გენინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე და პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე - ეს ის ადამიანები არიან, რომელთა გვარები აღნიშნულ მკვლელობასთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირად იხმის. მათზე ეჭვები მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე გაჩნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან კონფლიქტის შემდეგ, სამართალდამცავებმა ორი ახალგაზრდა - სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე გაიტაცეს. ისინი ოქროყანის სასაფლაოზე წაიყვანეს და სასტიკად სცემეს. ბუხაიძემ გაქცევა შესძლო და ერთ-ერთ ბენზოგასამართ სადგურს შეაფარა თავი, თუმცა სანდრო გირგვლიანი გარდაიცვალა.

ხალხის პროტესტისა და აქტიურობის შემდეგ, შს მინისტრმა საქმე გახსნილად გამოაცხადა და

რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავა, რომელთაც 2006 წლის 6 თებერვალს 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა მოუსაჯეს. დაკავებულნი არიან: კონსტიტუციური უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი ვია ალანია და ამავე დეპარტამენტის ოფიცრები - ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ლაჭავა და მიხეილ ბიბილური. თუმცა, მკვლელობის დამკვეთები არ არიან ოფიციალურად აღიარებულნი ჯერ. სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე ამ ადამიანების დაკავებით არ კმაყოფილდება და აცხადებს, რომ ისინი შემსრულებლები არიან და მკვლელობის დამკვეთების დასჯას ითხოვს. საზოგადოება ითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადადგომას, რასაც ორი მიზეზით ხსნიან. ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მისი თანამშრომლები არიან დამნაშავეები აღნიშნულ საქმეში<sup>31</sup> და მეორე, რომ მისი მეუღლე პირდაპირ კავშირშია აღნიშნულ ინციდენტთან. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს მინისტრს.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის პირველ კვარტალში 17 ადამიანი იქნა მოკლული სპეცოპერაციებისას. სამ თვეში მოკლული ადამიანების რიცხვი აღემატება შარშანდელი წლის მთელ მონაცემებს, რაც პირდაპირი გამოვლინება და მიზეზია დამდევსკვადგმული დაუსჯელობის სინდრომისა.

31 სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ არ არსებობს, თუმცა მათი დანაშაულის დასამტკიცებლად არსებობს ყველა მტკიცებულება.



### სპეკოპერაცია ბათუმის #3 საპრობილეში

24 იანვარს ბათუმის #3 საპრობილეში სპეკოპერაცია ჩატარდა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ციხეში იარაღს ეძებდნენ, თუმცა ამოდ. ამავე დროს, საპრობილის კარი ჩაიკეტა სახალხო დამცველისთვისაც. არსებობს ეჭვი იმისა, რომ ციხეში პატიმრები ნაცემები იყვნენ. სპეკოპერაციას ბათუმის საპრობილის უფროსის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა, თუმცა მოტივზე არავინ საუბრობს.

სასჯელასრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბაჩო ახალიამ 24 იანვარს ბათუმის #3 საპრობილეში სპეკოპერაცია ჩატარა. 30-კაციანი სპეკრაზში, საპრობილის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების თანხლებით, დღის 7:30 სთ-დან ეწვია. ამ წუთიდან ციხე ჩაიკეტა მთელი დღის მანძილზე. პატიმრების ახლობლებმა ციხეში ამანათების შეგზავნა მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს.

„სპეკოპერაცია ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე - თითქოს საპრობილეში იარაღი იყო. იარაღის ნაცვლად კი, 4 მობილური და 100 დოლარიანების ყალბი კუპურები ამოიღეს“, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აჭარის სახალხო დამცველმა გიორგი ჩარკვიანმა.

სპეკოპერაციამ საპრობილის უფროსის, დავით გოგმაჩაძის თანამდებობა შეიწირა. გაათავისუფლეს საპრობილის აღმინისტრაციის

ციის კიდევ ერთი თანამშრომელიც. ბათუმის #3 საპრობილის უფროსის მოვალეობას დროებით ახალიას მოადგილე, სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი თანამშრომელი, გოგა ონიანი ასრულებს.

საპრობილეში პატიმრების სანახავად არ შეუშვეს აჭარის სახალხო დამცველი. ჩარკვიანის განცხადებით, „ლამის დამჭირეს, ვადა გასული საბუთი გაქვსო“. ჩარკვიანის დამცველობის რწმუნებულება ვადაგასულია 31 დეკემბრიდან, თუმცა, საპრობილის ძველ აღმინისტრაციასთან ამის გამო პრობლემები არ ექმნებოდა. მისი განცხადებით, ახალი რწმუნება ახლა მზადდება.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებს აქვთ ეჭვი, რომ ციხეში შესაძლოა პატიმრები იყვნენ დაშავებულნი, რაც შეიქმნა რეალური საფუძველი ჩარკვიანის ციხეში არ შეშვებისა. იგივე განცხადებებს აკეთებს ადვოკატები. იურისტ ნანა ანდლულაძის განცხადებით, პატიმრები ნაცემები არიან. „მაქვს ინფორმაცია, რომ 10 პატიმარი ძალიან ცუდად არის, მაგრამ შეგნით არავის უშვებენ. საკნების დასუფთავება მიმდინარეობსო, - აცხადებენ და დასისხლიანებული ლეიბები გამოიტანეს გუშინ“.

პატიმრების ახლობლებიც შეშფოთებას ვერ მალავენ: „შეგნითან ყვირილის ხმა ისმოდა, როგორც ჩანს პატიმრებს სცემდნენ“.



პატიმრები გვიან ღამით მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენელმა იმერეთში გიორგი მშვენიერაძემ მოინახულა. მშვენიერაძე პატიმართა გარკვეულ ნაწილს შეხვდა: „მხოლოდ რამდენიმე პატიმარს შევხვდი, მსუბუქად არიან დაშავებული. ჩემთან საუბარში აღნიშნეს, რომ სპეცრაზმა მხოლოდ შეამოწმა საპრობილე“.

### ქართველ სამართალდამცავთა „წარმატებული“ სპეცოპერაცია - ორი მოკლული და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი

3 ივლისს დილით, ორასამდე შეიარაღებული და ნიღბიანი სპეცრაზმელის დანახვამ ნინა გუმაშვილი ძალიან დააბნია. მათი ვიზიტის მიზეზის გარკვევაც ვერ მოახერხა, რომ სროლის ხმა გაისმა და მალე მთელი სოფელი დენთის სუნში გაეხვია. იყო პანიკა, ყვირილი, ბავშვების და ქალების ტირილი, კაცების გინება... ნინა გუმაშვილმა მოგვიანებით გაიგო, რომ შეიარაღებული სპეცრაზმელების “სტუმრობა” მის შვილს, ავთო გუმაშვილს უკავშირდებოდა...

2005 წლის 3 ივლისს დუისში ჩატარებულმა გახმაურებულმა სისხლიანმა სპეცოპერაციამ მთელი საქართველო ალაპარაკა. საქმე იმაშია, რომ 10 წლის წინ ოთარ მარგოშვილმა ნინა გუმაშვილის რძალი, ავთო გუმაშვილის მეუღლე გააუპატიურა. ოჯახი დაინგრა. ავთოს მეუღლე შვილებთან ერთად საცხოვრებლად რუსეთში წავიდა. პანკი-

სის ხეობა ოთარ მარგოშვილმაც დატოვა. ხეობაში არსებული წესით, ავთო გუმაშვილს სისხლი უნდა აეღო. იმ დღიდან გუმაშვილმა მარგოშვილის ძებნა დაიწყო. წლების შემდეგ იპოვა, თუმცა მისი შვილების დანახვისას სიმტკიცემ უღალატა და ოჯახის შემარცხვენელი მხოლოდ ფეხში დაჭრა. მარგოშვილმა პოლიციას მიაკითხა და იმ დღიდან ავთო გუმაშვილზე ძებნა გამოცხადდა.

დანაშაულში ეჭვმიტანილმა ავთო გუმაშვილმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. კბილებამდე შეიარაღებულმა ორასმა სპეცრაზმელმა საკმარის მჭიდროდ დასახლებული სოფელი ლამის „ჩიკაგოდ“ აქცია და ავთო გუმაშვილი საკუთარ სახლში ჯერ ჩაცხრილა, შემდეგ კი სახლს ცეცხლი წაუკიდა და ავთო მისსავე ბიძაშვილ, უდანაშაულო ვახო გუმაშვილთან ერთად, სახლში ამოწვა. სპეცოპერაციის „წარმატებით“ დასრულების შემდეგ, ავთოს დედას სახლის ნანგრევებიდან ამოკრეფილი ავთოს ძვლები კედროთი მიუტანეს და წავიდნენ... მოხუც დედას ახლა უკვე აღარც შვილი ჰყავდა და აღარც სახლი ჰქონდა, სადაც შვილს დაიტირებდა... რაში დასჭირდათ ძალოვანებს მთელი საქართველოს არსენალის გამოყენება ერთი ან თუნდაც ორი ადამიანის ასაყვანად, ეს ცალკე თემაა. მთავარი კი ის არის, რომ ასეთმა სისასტიკემ გულგრილი თითქმის არავინ დატოვა, ის დუისელები კი, რომელთაც ძალოვანების მიმართ პროტესტი ქვების სროლით და გინებით გამოხატეს, პოლიციამ დააპატიმრა... საპრობილეში ექვსი ადამიანი ჩას-

ვეს, რომლებიც მოგვიანებით გაათავისუფლეს.

მაშინ ხეობაში სიტუაციის დაძაბვას პროგნოზირებდნენ, თუმცა პროგნოზები არ გამართლდა. პანკისის ხეობაში დღეისათვის სიტუაცია სტაბილურია და 3 ივლისის სპეცოპერაციაც აღარავის ახსოვს. არ ავიწყლებათ მხოლოდ გუმაშვილებს და კიდევ ღუისელებს, რომლებიც გუმაშვილების დანგრეულ და გადამწვარ სახლს თითქმის ყოველდღე ხედავენ. ღუისში ერთი ადამიანიც ვერ აღმოვაჩინეთ, რომელიც მოკლულ ავთო გუმაშვილს კრიმინალად და ბოტროტომქმედად მოიხსენიებს. მეზობლებიც და თანასოფლელებიც მას სინანულისა და ცრემლების გარეშე ვერ იხსენებენ, თუმცა ყველაზე მეტად გუმაშვილების ოჯახის დარჩენილ წევრებზე ამხვილებენ ყურადღებას და მაქსიმალურად ცდილობენ უსახლკაროდ დარჩენილებს დახმარება გაუწიონ.

“ადამიანი დაცხრილეს, ისეთი სროლები ატეხეს, რომ დიდი და პატარა შიშისგან ვკანკალებდით. ავთო ჯერ მოკლეს და ამასაც არ დასჯერდნენ, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ისე მოექცნენ, თითქოს კრიმინალი და ხალხის მტერი იყო. უბედურ დედამისს შვილის დატირების საშუალებაც არ მისცეს. ეს რა ქვეყანაა, ან ეს რა ხელისუფლებაა, თავის მოქალაქეებს სახლს უნგრევს და უწევავს...” - აცხადებს ღუისის მცხოვრები თ. ქავთარაშვილი.

გუმაშვილების მეზობელი ქალბატონის განცხადებით კი, „დაგვანახეს, რომ ძალიან მაგრები ვართ, ყველას გემინოდეთ ჩვენიო. ორი

კილო ტყვიები ავკრიფეთ მეზობლებმა ეზოდან მაგ სპეცოპერაციის შემდეგ. როგორ შეიძლება ასე მჭიდროდ დასახლებულ სოფელში ასეთი სროლების ატეხვა? სახლს ცეცხლი რომ წაუკიდეს, ხომ შეიძლებოდა სხვა სახლებზეც გადასულიყო ცეცხლი და სხვა სახლებიც დაწვარიყო. ძალიან ამაყობს ჩვენი ხელისუფლება ამ სპეცოპერაციით, იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ ეს ხალხი ცის ქვეშ დარჩა...”

მოკლული ავთო გუმაშვილის დედის, ნინა გუმაშვილის განცხადებით, შს კახეთის სამმართველოს უფროსი, 2005 წლის „წლის პოლიციელი“ - თემურ ანჯაფარიძე მათ ოჯახს დახმარებას დაჰპირდა. გუმაშვილების ოჯახის დახმარებაზე ანჯაფარიძე სოფ. ღუისის გამგებელს, ჯარაფ ხანგოშვილსაც ესაუბრა. ჯ. ხანგოშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: „ანჯაფარიძემ მითხრა, რომ გუმაშვილებს სახლისათვის საჭირო ხე-მასალით დავეხმარებიო...“ მიუხედავად ამისა, თემურ ანჯაფარიძემ მოგვიანებით ჩვენთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა: „მე არავის არაფერს დავპირებივარ, ტყუილია ყველაფერი. სახელმწიფო დამნაშავეებს და კრიმინალებს არ ეხმარება, სახელმწიფო მათ ებრძვის და სჯის.“

სამართალდამცავების მიერ „დამნაშავედ და კრიმინალად“ „მონათლულ“ მოკლულ შვილზე და დაწვარ-დანგრეულ სახლზე ნინა გუმაშვილი საუბარს ტირილის გამო ვეღარ აგრძელებს. ქალ-

ბატონი ნინას მეორე ვაჟი მალხაზ გუმაშვილი კი აცხადებს: „ბევრჯერ ვითხოვეთ დახმარება, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ძმას მიკლავენ და თან სახლსაც მიწვავენ. რა უნდა ვქნათ? მიწაზე გვძინავს. მე შეიძლება გავუძლო ასეთ ცხოვრებას, მაგრამ ბავშვებს რა ვუყო არ ვიცი. მინდა პრეზიდენტამდე მივიღე, იქნებ იმან მინც მოგვხელოს...”

გუმაშვილების და სხვა დუისელების წუხილის და ხელისუფლებისადმი საყვედურების მიუხედავად, ჩვენს „დემოკრატიულ ქვეყანაში“ დღემდე ვერავინ მოიცალა ამ უფლებამოსილი ადამიანებისათვის, თუმცა პანკისელებს ამის ილუზია არც აღრე ჰქონიათ და დღეს, მითუმეტეს...

### სისხლიანი სპეცოპერაცია ქუთაისში

ქუთაისში ჩატარებულ სპეცოპერაციას ხუთი ადამინის სიცოცხლე ემსხვერპლა, რომელთაგანაც სამი პოლიციელია, ერთი ბოროტმოქმედი და ერთი უბრალო მოქალაქე.

ქუთაისში ადგილობრივი სამართალდამცავების მიერ ავტომანქანების გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის აყვანის დროს პოლიციასა და ბოროტმოქმედებს შორის შეტაკება მოხდა. ბოროტმოქმედებმა ცეცხლი ავტომატური იარაღიდან გასხნეს. ორმხრივი სროლის შედეგად ხუთი პოლიციელი დაიჭრა, რომელთაგანაც ორი პოლიციის თანამშრომელი - რომან რობაქიძე და გიორგი

ხატიაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ერთი მათგანი - მეთე დღეს. ლიკვიდირებულია ერთი ბოროტმოქმედი - გიგა ჭყეშვილი, რომელსაც სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის სამართალდამცავები სამი წელი უშედეგოდ ეძებდნენ. სავარაუდოდ დაჭრილია მეორე ბოროტმოქმედი - რუსთავის მკაცრი რეჟიმის სასჯელსრულების მეორე დაწესებულებიდან გაქცეული მიხეილ ჩერქეზია, რომელმაც მიძალვა მოახერხა.

### საპატრულო პოლიციის მიერ ნაცემი ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდება

2005 წლის 30 ოქტომბერს გიორგი მიქიაშვილი, რომელიც მანქანაში იჯდა და მეგობრებს ელოდა შემდეგი ამბის მაცურებელი და მონაწილე შეიქმნა: მეუღლეებთან ერთად მანქანისკენ მომავალი მისი ორი მეგობარი საპატრულო პოლიციამ გააჩერა.

პატრულს ეჭვი გაუჩნდა, რომ მათ ხელში მობარული მობილური ტელეფონები ეჭირათ. მიქიაშვილი, რომელიც ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მანქანიდან გადმოვიდა, რათა გაერკვია, თუ რა ხდებოდა. მისმა ჩარევამ არეულობა გამოიწვია, რაც ჩხუბით დასრულდა.

აღნიშნული დაპირისპირებისას მიქიაშვილი ძლიერ დაშავდა. მას თავში ურტყავდნენ, რამაც გამოიწვია ტვინის დაზიანება და ფსიქიური აშლილობა.

სასამართლომ მას სამ თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და ამჟამად იგი, მძიმე ფიზიკური მდგომარეობით ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში იმყოფება.

მიქიაშვილის ადვოკატის მოთხოვნა ოფიციალური სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

მიქიაშვილის დის ინიციატივით, მოხდა ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, მას მძიმე რეაქტიული ფსიქიკური მდგომარეობა, თავის ქალის დაზიანება და ტვინის შერყევა დაუდგინდა. აღნიშნულის საფუძველზე, საბოლოოდ მოხდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

### 3.4. წამებისა და ცუდად მოპყრობის მსხვერპლნი

2005 წლის 30 აპრილს წამების მსხვერპლთა ფსიქო სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა (GCRT) მოწყო გამოკითხვის შედეგების - „აღმნიანის უფლებები - ფოკუსი წამებაზე“ პრეზენტაცია.

ცენტრის დირექტორის ნინო მახაშვილის განცხადებით, გამოკითხვა ჩატარდა საქართველოში წამების სიხშირის დასადგენად. „ანკორ კონსალტინგმა“ აღნიშნული გამოკვლევა ჩატარა პროექტის - „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია და წამების პრევენცია საქართველოში“. 2002 წლის თებერვლიდან GCRT ასპონსორებს აღნიშნულ გამოკითხვას ევრო კომისიის ფინანსური მხარდაჭერით. მკვლევარებმა პირველი შედეგები „ვარდების რევოლუციის“ წინ, 2003 წლის ოქტომბერში წარმოგვიდგინეს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ თბილისში ოჯახთა 2%-ს, ე.ი. ყოველ 50-ე ოჯახს ჰყავს ოჯახის წევრი, რომელიც არის წამების მსხვერპლი. ეს ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 7 000 წამების მსხვერპლი ცხოვრობს თბილისში.

გასული წლის განმავლობაში თბილისის ყოველი 12-ე მაცხოვრებელი გახდა პოლიციის მხრიდან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი და ყოველი 40-ე - ფიზიკური შეურაცხყოფის. რესპოდენტთა 11%-ისთვის სიტყვები - „პოლიცია“ და „წამება“ ახლო კავშირშია ერთმანეთთან. რესპოდენტთა 90%-ს კი სჯერა, რომ პოლიცია ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ახდენდა ეჭვმიტანილთა და დაკავებულთა ხელყოფას. მთლიანობაში, რესპოდენტთა 84%-ს სჯერა, რომ პოლიციის მიერ ფიზიკური ძალადობის გამოყენება არის მზარდი პრობლემა ქართულ საზოგადოებაში.<sup>32</sup>

32 კვლევა ხელმისაწვდომია წამების მცხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: <http://gcrt.gol.ge/English-Version.pdf>

## 4. არ გაძევება (წამების საწინააღმდეგო კონვენციის მუხლი 3): ჩეჩენ ლტოლვილთა ექსტრადიცია საქართველოდან

საქართველოში ჩეჩენი ლტოლვილები მას შემდეგ დასახლდნენ, რაც რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის კონფლიქტი დაიწყო. გასული წლის აპრილის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 486 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს. აქედან, 46 ოჯახი (142 ადამიანი) თბილისშია, ხოლო 96 ოჯახი (344 ადამიანი) - პანკისის ხეობაში.<sup>33</sup>

გარდა იმისა, რომ ისინი უძძიმეს ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან და არ აქვთ შესაბამისი კვება, ბინა, სამედიცინო მომსახურება და განათლების მიღების შესაძლებლობა, ჩეჩენები ხშირად ხდებიან აგრესიისა და ძალადობის მსხვერპლნი. ლტოლვილები იძულებულნი არიან, დარჩნენ პანკისში, ფაქტიურად, სახელმწიფოს მიერ პატიმრობაში; არ შეუძლიათ შინ დაბრუნება, არც მუშაობის უფლებებისა თუ მოქალაქეობის მოპოვება საქართველოში; ამასთანავე, არც შესამე ქვეყანაში გადასვლის საშუალება აქვთ.

პრობლემა, რომელსაც ისინი უკვე დიდი ხანია აწყდებიან საქართველოში, არის მათი ექსტრადიცია (თუმცა, ტერმინი - „გატაცება“ იქნებოდა უფრო შესაფერისი) რუსეთში, სადაც ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ მხვერპლი მათი უფლებების დარღვევისა.

### ჩეჩენთა ექსტრადიცია საქართველოდან რუსეთში

რუსეთს ხშირად ადანაშაულებენ „ადამიანის უფლებების ძლიერ, საშინელ და მასობრივ დარღვევებში“, განსაკუთრებით კი იმ კონფლიქტთან დაკავშირებით, რაც მას გააჩნია ჩეჩნეთთან. იმისათვის, რომ საქართველომ მოახდინოს წამების საწინააღმდეგო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ არ მოხდეს დეპორტირება, უკან დაბრუნება თუ გატაცება

33 ჩეჩენ ლტოლვილთა საკოორდინაციო საბჭოს პრეს რელიზი „ჩეჩენ ლტოლვილთა პრობლემების და საქართველოში გაეროს უმაღლესი კომისარიატის საქმიანობის შესახებ“ 2005 წლის 28 აპრილი, თბილისი.

რუსეთში იმ ჩენებისა (თუ სხვებისა), რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და, რომელთაც რუსეთის ტერიტორიაზე ემუქრებათ საფთხე.

როდესაც საქართველომ 2002 წლის სექტემბერში უარი თქვა ეთანამშრომლა რუსეთთან მისი მოთხოვნის შესასრულებლად, იგი დაადანაშაულეს „პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლების შეფარვაში“ და რუსეთის პრეზიდენტი პუტინი დაემუქრა „სამხედრო ღონისძიებით“ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო არ „გაუსწორდებოდა მათ“.<sup>34</sup>

რუსეთის პრესის წინაშე ქედმოხრის შემდეგ, 2002 წლის ოქტომბერში, მაშინდელი ლიდერი ელუარდ შევარდნაძე დაპირდა, რომ იმუშავებდა მოსკოვთან ერთად, რათა ქვეყანაში გაეტარებინათ ანტი ტერორისტული ოპერაციები. აღნიშნული შეპირების შედეგად, მოხდა „რამოდენიმე პარტიზანი ჩეჩენის ლიკვიდაცია, თორმეტიოდე ჩეჩენის დაკავება და ზოგი მათგანის ექსტრადიცია რუსეთში“.<sup>35</sup>

აღნიშნული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის დღესაც გრძელდება, თუმცა დღესდღეობით ეს შეფარულად ხდება.

არსებობს არაერთი მაგალითი დარღვევებისა - საუკეთესო შემთხვევაში, არ ხდება ლტოლვილთა ადეკვატური დაცვა ან, უარეს შემთხვევაში, საიდუმლო შეთანხმება რუსეთის ხელისუფლებასთან, როგორცაა, მაგალითად, ბელქან მულკოევის და ჰუსეინ ალხანოვის საქმეები. ჩეჩენი ეროვნების რუსეთის აღნიშნული მოქალაქეები იმ 13 ჩეჩენს შორის იყვნენ, რომელთა დაკავება მოხდა ქართველი მესაზღვრეების მიერ 2002 წლის გვიან ზაფხულში. ამათგან, ხუთი იძულებით იქნა ექსტრადირებული რუსეთში. თუმცა, მულკოევი და ალხანოვი გადაურჩნენ ექსტრადიციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნულ ორ ადამიანს საქართველოს კანონმდებლობით კვლავ ჰქონდათ წაყენებული საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ბრალდება. წელიწადნახევრიანი დაკავების შემდეგ მულკოევი და ალხანოვი 2004 წლის 6 თებერვალს თბილისის რაიონულმა სასამართლომ გაამართლა.

34 BBC News-ის სტატია, 'Timeline: Georgia - A chronology of key events', 2006 მარტის 28 მარტი: [http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country\\_profiles/1102575.stm](http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country_profiles/1102575.stm)

35 BBC News-ის სტატია: „Georgia - A chronology of key events“, 28 March 2006“: [http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country\\_profiles/1102575.stm](http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country_profiles/1102575.stm)

მულკოევის და აღზანოვის გამართლებისა და გათავისუფლებიდან ორი დღის შემდეგ, ისინი გაქრნენ. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ რუსეთის უშიშროების სამინისტრომ ისინი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დააკავა. ჩეჩენურმა საზოგადოებამ საქართველოში გამოთქვა შიში იმის თაობაზე, რომ ორივე ადამიანი საქართველოს ხელისუფლებამ დააკავა და საილუმლოდ მოახდინა მათი ექსტრადირება რუსეთში.

BBC-თან ინტევიუში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ესაა უსაფუძვლო ბრალდებები. ჩვენ არ გვჭირდება საილუმლო ექსტრადიციები. მე შემაშფოთა ამ ინფორმაციამ [ჩეჩენთა გაუჩინარება]. რუსები ამბობენ, რომ ისინი [ჩეჩენები] დააკავეს რუსეთის საზღვარზე, რაც მე ძალიან რეალურად მეჩვენება“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ჩეჩენები გაამართლა, სააკაშვილი მაინც აცხადებდა, „ჩემი ინფორმაციით, ისინი ნამდვილად არიან მებრძოლები.“<sup>36</sup>

ზემოთხსენებულ ექსტრადიციასთან დაკავშირებით, 2003 წლის 16 სექტემბერს 13 ჩეჩენის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევის ბრალდებით.

2005 წლის 12 აპრილს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გამოიტანა საბოლოო განაჩენი საქმეზე - **შამაევი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**.<sup>37</sup> ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია რა მათი დაკავება და რუსეთში ექსტრადიცია არალეგალურად, და ასევე საქართველოს მთავრობის ქმედებანი ევროპული კონვენციის მუხლი 3, 5 (პარაგრაფი მე-2 და მე-4), 13 და 34 დარღვევად, ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩეჩენების სარჩელი.

რუსეთის მთავრობა მიიჩნია დამნაშავედ კონვენციის 34-ე და 38-ე(1)(ა) მუხლების დარღვევისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ჩეჩენი პატიმრებისთვის

36 წყარო: ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის 2004 წლის ანგარიში, „ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ - ადამიანის უფლებები საქართველოში: <http://66.116.100.86/humanrights.ge/eng/files/REPORT.pdf>

37 აღნიშნული ტექსტის სრული ვერსია იხ.: <http://cmiskp.echr.coe.int> , მოკლე შინაარსი ინგლისურად, იხ.: [http://www.article42.ge/archive\\_cases.htm](http://www.article42.ge/archive_cases.htm)

80 500 ევროს გადახდა და მათი იურიდიული ხარჯების ანაზღაურება 4 000 ევროს ოდენობით. რუსეთის მთავრობას დაეკისრა 42 000 ევროს გადახდა დაკავებულთათვის და 12 000 - ევრო<sup>38</sup> იურიდიული ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს მთავრობა არ ღვამს შესაბამის ნაბიჯებს ჩეჩენთა უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით კი პანკისის ხეობაში. მხოლოდ ევროპულმა სასამართლომ შეძლო რეალური გავლენის მოხდენა საქართველოს და რუსეთის მთავრობის ქმედებებზე, იმ ქმედებებზე, რაც დღესაც გრძელდება.<sup>39</sup>

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, რათა შეასრულოს წამების საწინააღმდეგო კონვენციით აღებული ვალდებულებანი და თავი შეიკავოს ადამიანთა ექსტრადიციისაგან იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შესაძლოა გახდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი.

38 წყარო: ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის 2005 წლის ანგარიში „შემდეგი გაჩერება ბელორუსი?“, <http://www.humanrights.ge/eng/files/HR-REPORT-2006.pdf>

39 იხ. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის ვებ-საიტი: [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge) ; <http://www.humanrights.ge/eng/stat192.shtml>



## 5. წამების ფაქტების აღმოსაფხვრელად მიღებული ზომები (წამების საწინააღმდეგო კონვენციის მუხლი 2 და 10)

### 5.1 წამების ფაქტების აღმოსაფხვრელად მიღებული ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომები (მუხლი 2.1)

წამებისა და ცუდი მოპყრობის მიმართ ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ქმედებები განახორციელა მიმდინარე წელს. დადებითი ნაბიჯებია: თბილისის წინასწარი დაკავების დაწესებულებებში ჩატარებული ინტენსიური მონიტორინგი და პოლიციის უწყებებში არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) მიერ ჩატარებული მონიტორინგი. კანონში შეტანილი ცვლილებები, სადაც წამება საერთაშორისო სტანდარტის დეფინიციითაა წარმოდგენილი, რაც ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს და ასევე საჯარო თანამდებობიდან გადაყენება იმ პირისა, რომელიც ბოროტად გამოიყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას; საპროცედურო კოდექსში შეტანილია ცვლილება შეურაცხყოფისა და ზეწოლის აღმოსაფხვრელად (ახალი კანონით, დაკავებულის მიერ პატიმრობის დროს მიცემული ჩვენება სასამართლო პროცესზე უნდა დამოწმდეს, თუ მანამდე ის მტკიცებულებად იყო მიჩნეული) და ასევე, გაზრდილია გენერალური პროკურატურის უფლებები, გამოიძიოს და განახორციელოს სამართლებრივი დევნა ბოროტმოქმედის წინააღმდეგ. თუ განცხადებებს დავეყრდნობით, სერიოზული კანონდარღვევები და პოლიციის უმოქმედობა, როგორცაა შეთითხნილი ან ჩაღებული ნივთმტკიცებები, შეძცივდა.

### 5.2 პირობითი მსჯავრი

ციხეში სასჯელის მოხდის თავიდან აშორების ერთერთ შესაძლებლობაა პირობითი მსჯავრი.<sup>40</sup> თუკი სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს პირობითი მსჯავრის გამოყენებას, იგი დაადგენს გამოსაც-

40 თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, თავისუფლების შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით.

დელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. პირობითი მსჯავრი ძირითადად გამოიყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები. თუკი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, მსჯავრდებული სათანადო ყოფაქცევით დაადასტურებს მის გამოსწორებას, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მოუხსნის მსჯავრდებულს ნასამართლეობას.

თუმცა, ხელისუფლების მხრიდან შეიმჩნევა პირობითი მსჯავრის გაუქმების აშკარა ტენდენცია. 2006 წლის 14 თებერვალს პარლამენტის პლენარულ სესიაზე წლიური ანგარიშის წარდგენისას შემოტანილ იქნა მცირედი დანაშაულების მიმართ “ნულოვანი ტოლერანტობის ცნება”. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: “მე ვაცხადებ ახალ კანონპროექტს - ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმანი დანაშაულის მიმართ. მე შემომაქვს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში რომელიც ითვალისწინებს პირობითი სასჯელის მთლიანად გაუქმებას; არანაირი პირობითი სასჯელი, ყველა ციხეში. არანაირი მოსამართლე ვერანაირი თავისი შეხედულებისამებრ ვერავის ვეღარ გაუშვებს ვერანაირი ჰუმანური მოსაზრებებით..... ნულოვანი მოთქმენა ყველანაირი წვრილმანი დანაშაულის მიმართ, ყველას გასაგონად, სასამართლო ხელისუფლების და პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების და პოლიციის გასაგონად.”

პრეზიდენტის მოხსენება მცირე დანაშაულების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის ნაწილში შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც პირდაპირი ბრძანება მოსამართლეების მიმართ, არ გამოიყენონ პირობითი მსჯავრი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში დამოუკუდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არარსებობას.

### 5.3 აღკვეთის ღონისძიებანი

წამებას უმეტესად ადგილი აქვს წინასწარი დაკავების დაწესებულებებში. აღნიშნულის გამო, ალტერნატიული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების არსებობა და მათი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს განსაკუთრებით შეეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულებს.<sup>41</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებულ ცვლილებებამდე,<sup>42</sup>

41 იხილეთ წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის, მანფრედ ნოვაკის ანგარიში, E/CN. 4/2006/Add.3, გვ. 16 (j)

42 2005 წლის 16 დეკემბერი.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა რამდენიმე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებას,<sup>43</sup> თუმცა წინასწარი პატიმრობა წარმოადგენდა ყველაზე ფართოდ გამოყენებად აღკვეთის ღონისძიებას.<sup>44</sup>

ზემოთხსენებული ცვლილებების შედეგ, ალტერნატიულ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა რიცხვმა საგრძნობლად იკლო და მხოლოდ გირაო და პირადი თავდებობა დარჩა. აღნიშნული აღკვეთის ღონისძიებების სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით, თუკი პირს არა აქვს გირაოს შეტანის შესაძლებლობა ან ვერ პოულობს სანდო პირს, რომელიც იქნება მისი სათანადო ქცევისა და სასამართლოს მიერ გამოცხადების შემთხვევაში მისი გამოცხადების გარანტი, ეს პიროვნება განწირულია პატიმრობისათვის, მიუხედავად ამ ღონისძიების გამოყენების დაუსაბუთებლობისა და არამართებულობისა. ამასთან ერთად, “სანდო პირის” ცნება არის საკმაოდ ბუნდოვანი და შესაძლოა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია ან პირიქით.

#### 5.4 წინასწარი დაკავების ადგილების და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მონიტორინგი.

2004 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით, განისაზღვრა პირთა სია, ვისაც წინასწარი ნებართვის გარეშე უფლება მიეცა მოენახულა ბინათ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებანი<sup>45</sup>. ზემოთხსენე-

43 პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, შინაპატიმრობა ( მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიება ფორმალურად მიეკუთვნებოდა საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებას, პრაქტიკულად ამ დროს ბრალდებული არ იმყოფებოდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, რის გამოც აღნიშნული ღონისძიება არასაპატიმრო ხასიათის იყო)

44 არსებული პრაქტიკის ნათელი ილუსტრაციისათვის იხილეთ სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი შუამდგომლობა იქნა დაყენებული ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით და რამდენი მათგანი დაკმაყოფილდა. სტატისტიკა მოიცავს 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის იანვრამდე პერიოდს. დილემბეჩულოურეთის რაიონული სასამართლო: 361 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 289. გლდანის ნაძალადევის რაიონული სასამართლო: 515 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 481. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო: 401 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 384 კრწანთის-მთაწმინდას რაიონული სასამართლო: 500 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 451. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო: 471 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 337. თბილისის საოლქო სასამართლო: პროკურორის 139 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 77, ხოლო ადვოკატის 832 საჩივრიდან (წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გაუქმების/შეცვლის შესახებ) დაკმაყოფილდა 61. საქართველოს უზენაესი სასამართლო: სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია: პროკურორის 22 საჩივრისგან 21 დაკმაყოფილდა.

45 2004 წლის 3 აგვისტოს # 309 ბრძანებულება

ბული ბრძანებულებისა და იუსტიციის მინისტრის ბრძანების<sup>46</sup> საფუძველზე, შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს მიმართ ეს ორმაგი რეგულირება არსებითი აღმოჩნდა ამ ინსტიტუტის გადარჩენისათვის. მას შემდეგ, რაც საბჭომ ამხილა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე უკანონო ქმედებებში და მოითხოვა მისი და იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა, ამას შედეგად საბჭოს გაუქმება მოყვა. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კეულარიამ განაცხადა: „ვევლავფერი რაც კანონს ეწინააღმდეგება, უნდა შეიცვალოს... რაღაც საბჭო, რომელიც იუსტიციის მინისტრს აკონტროლებს, როგორც მათ ჰგონიათ, რაღაც აბსურდია. ეს უნდა შეიცვალოს.“<sup>47</sup>

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ იუსტიციის მინისტრის აღმინისტრაციული აქტით შექმნილი საბჭო იყო არაეფექტური და უფუნქციო ორგანო, რომელიც არ იყო არც სტრუქტურულად და არც ფინანსურად დამოუკიდებელი.<sup>48</sup> მიუხედავად იმისა, რომ საბჭო, როგორც ორგანიზაციული ერთეული აღარ არსებობს, მის ყოფილ წევრებს კვლავ აქვთ უფლება წინასწარი შეტყობინებისა და ნებართვის გარეშე შევიდნენ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში (პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველი იყო კვლავ ძალაში).

პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონი<sup>49</sup> უზრუნველყოფს სასჯელალსრულების თითოეულ დაწესებულებასთან მუდმივმოქმედი კომისიების არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის 1 ოქტომბერს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა აღნიშნული კომისიების დებულება და არასამთავრობო ორგანიზაციებმა სამინისტროს მიაწოდეს კომისიის წევრობის კანდიდატურები, მათი შემადგენლობა ჯერაც არ განსაზღვრულა. შესაბამისად წამების წინააღმდეგ ბრძოლის 2003-2005 წლის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულება, ხელი შეუწყონ ასეთი კომისიების მუშაობას, კვლავაც შეუსრულებელი რჩება.

46 2004 წლის 1 ოქტომბრის # 1211 ბრძანება

47 გაზეთი რეზონანსი, 2005 წლის 30 ნოემბერი

48 იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ (გვ. 19-20); “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” წამება და ძალადობა საქართველოში, საქართველო 2005; ანგარიში ადამიანის უფლებებზე-2005, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიური, 2006 წლის მარტი.

49 მუხლი 93

2004 წლის 18 ოქტომბერს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადგიშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მიაღწიეს შეთანხმებას პოლიციის განყოფილებებისა და წინასწარი დაკავების ადგილების მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც ომბუდსმენის მხარდაჭერით წარიმართებოდა. პროექტის მიზანთა შორის იყო წამებისა და დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრა.

შეთანხმებიდან გამომდინარე, უნდა შექმნილიყო საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფები როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. წარდგენილ იქნა ჯგუფის წევრობის კანდიდატურები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მაგრამ რწმუნებები, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მიანიჭებდა უფლებამოსილებას განეხორციელებინა კომისიის წევრის მოვალეობა, გადაეცათ ძირითადად თბილისში მოღვაწე პირებს. თბილისში აღნიშნული მონიტორინგის ჯგუფების მუშაობა საკმაოდ ეფექტური იყო და ბევრი სამართალდარღვევა იქნა გამოვლენილი. რაც შეეხება რეგიონებს, იქ ეს რწმუნებები გაანდათ სახალხო დამცველის ოფისის ადგილობრივ წარმომადგენლებს და მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ საზოგადოებრივი მონიტორინგი ფაქტობრივად განხორციელდა მხოლოდ დედაქალაქში, რის გამოც, შეუძლებელია ვითარების გადმოცემა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2005 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება<sup>50</sup> გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის დამატებით პროტოკოლთან (OPCAT) მიერთების შესახებ.

## ქალების ნაწილი

1995 წელს პეკინში (მე-4 მსოფლიო კონფერენცია) საქართველომ იკისრა ვალდებულება, ყურადღება დაეთმო ქალთა საკითხებისათვის და, “პეკინის პლატფორმის” შესაბამისად, შეემუშავებინა ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1998-2000 წლების პერიოდში შეემუშავდა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა პრეზიდენტის მიერ. გეგმა შეიცავდა 7 მიმართულებას პეკინის სამოქმედო გეგმის 12 მიმართულებიდან, რომელიც არ განხორციელებულა.

ქალთა უფლებების დაცვისათვის 1998 წელს ეროვნული უშიშროების საბჭოში შეიქმნა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული კომისია. მიღებულ იქნა შემდეგი დოკუმენტები:

- \_ # 511 განკარგულება ქალთა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაძლიერების შესახებ (1999)
- \_ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა (1998-2001)
- \_ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის 3 წლიანი გეგმა (2000-2002)
- \_ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა (2001-2004)

სამოქმედო გეგმით, განისაზღვრა საჭირო ღონისძიებები 2006-2008 წლებში ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის. გეგმა შეიცავს სხვადასხვა მიზნებს:

- სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ოჯახური ძალადობის თავიდან ასაცილებლად და, არსებული საკანონმდებლო სარეგულაციო ადგილების აღმოფხვრის გზით, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ოჯახური ძალადობის პრობლემაზე;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია: მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა დაცვის საკანონმდებლო მექანიზმების ამუშავებითა და სხვა სახის დახმარების აღმოჩენით;
- სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის, პრევენციის და მსხვერპლთა მხარდაჭერისათვის.
- ოჯახური ძალადობის საქმეებზე მონაცემთა ბაზის შექმნა.

ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომათა შორის აღსანიშნავია ცხელი ხაზის შექმნა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, თუმცა ასეთი მომსახურება არ არსებობს გაუპატიურების და სხვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის.

### **ბავშვთა საკითხები:**

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც ბავშვთა ძალადობის საკითხებზე მუშაობს. ოფიციალური სამსახურები ვალდებული არიან, მიიღონ ზომები და რეაგირება მოახდინონ ძალადობის და უგულვებელყოფის შემთხვევებზე, თუმცა არც ერთ მათგანს არ გააჩნია სამოქმედო გეგმა ამ საკითხებთან მიმართებაში (ანუ, ბავშვთა დაცვის გეგმა ან

ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგირება ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე). არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც აწარმოებს 1. ბავშვთა ძალადობის და უგულებელყოფის შემთხვევების მომართვიანობის რეგისტრაციას; 2. ძალადობის და უგულებელყოფის შედეგად გარდაცვლილთა ოფიციალურ აღრიცხვას.

თუმცა, არსებობს კანონი, რომელიც ეხება ბავშვის ფიზიკური დასჯის საკითხს, რაც არის საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. კერძოდ, მე-2 თავის 20-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია ბავშვებზე ძალადობა ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცყოფა. ამავ კანონის 19-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იყოს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ საქართველოში არსებობს ბავშვთა მიმართ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის რეალური სტრატეგია. ამასთანავე, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ მომზადდა კანონპროექტი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და ადგილობრივ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს წარედგინა განსახილველად და რომელიც შემოდგომაზე პარლამენტს წარედგინება განსახილველად. აღნიშნული კანონპროექტი შეიცავს სხვადასხვა აკრძალვებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციას.

## 6. დაკავება, დაპატიმრება და ციხეში ჩასმა (წამების საწინააღმდეგო კონვენციის მუხლი 11)

ციხეებსა და საპატიმროებში მამაკაცები, ქალები და არასრულწლოვანები ცალკე-ცალკე არიან მოთავსებული. პატიმართა მიმდინარე სტატისტიკა ასეთია: საქართველოში მთლიანად 11604 პატიმარია. მათ შორის 156 არასრულწლოვანია, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებამდე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან, ხოლო 20 არასრულწლოვანი იხდის სასჯელს.

წინასწარ პატიმრობაში არის 201 ქალი, ხოლო 167 უკვე სასჯელმისჯილია.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი მამაკაცის რიცხვია- 7433 ხოლო სასჯელმისჯილთა რაოდენობა 3627-ია.

ოუსტიციის სამინისტროს პენიტენციური განყოფილების მიერ დადგენილი პატიმართა სტატისტიკა ასეთია:

	2003	2004	2005
ქალი	158	184	283
მამაკაცი	6037	6386	8653
არასრულწლოვანი	79	84	115
სულ	6274	6654	9051

### 6.1. სამართლიანი სასამართლო

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ საუბარია 145(9)-ე, 283(1)-ე, 284(3)-ე, 311(1)-ე და 140(5)-ე მუხლებზე, შეიძლება შეფასდეს, როგორც დაკავებულისა და ბრალდებულის უფლებების შემზღუდავი ცვლილებები. აღნიშნულ ცვლილებებამდე, გამოძიებელი ბრალის წაყენების შემდეგ ვალდებული იყო დაეკითხა ბრალდებული და საქმე მისი ჩვენებით და სხვა დოკუმენტებითა თუ მტკიცებულებებით (ბრალის გამომრიცხავი თუ შემამსუბუქებელი გარემოებების ჩათვლით), გადაეცა სასამართლოსთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადასაწყვეტად. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, გამოძიებელი აღარ არის ვალდებული დაეკითხოს ბრალდებული. უფრო მეტიც, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადასაწყვე-



ტად, სასამართლოში საქმის გადავზავნისას, უნდა გადაივზავნოს არა ყველა მასალა, არამედ მხოლოდ “საქმის განხილვისათვის საჭირო მასალა”. “საჭირო მასალის” დეფინიციის არარსებობის პირობებში, აღვილი მისახვედრია რომელი დოკუმენტები მოექცევა ამ დეფინიციის ქვეშ, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ აღნიშნული საკითხი პროკურორის გადასაწყვეტია. დიდი ალბათობაა იმისა, რომ მხოლოდ ის დოკუმენტები ჩაითვლება საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო მასალად, რომელიც ადასტურებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, სასამართლო ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას განიხილავს მხოლოდ პროკურორის მიერ წარდგენილ და მის მიერ საჭიროდ მიჩნეულ დოკუმენტებს, (ე.ი. დოკუმენტებს, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის ბრალს და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას და არა დოკუმენტებს, რომელიც საეჭვოს ხდის პროკურორის უსაფუძვლო შუამდგომლობას და ადასტურებს ბრალდებულის უდანაშაულობას). უდავოა, რომ აღნიშნული პროცედურა აშკარად ეწინააღმდეგება პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეში არსებულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას, მაშინ, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არანაირი შეზღუდვა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს ბრალდების მხარისათვის, დაცვის მხარე საკმაოდ შეზღუდულია. ადვოკატს საქმის სრული მასალების გაცნობა შეუძლია მხოლოდ მისი კლიენტისათვის ბრალის წაყენებისა და მისი დაკითხვის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენები პირობა არის კუმულაციური ხასიათის, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ორივე პირობის არსებობას. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის დაკითხვა სავალდებულო აღარ არის, გამოდის, რომ ადვოკატს საქმეში არსებულ მასალებზე სრულად ხელი მიუწვდება მხოლოდ საქმის საბრალდებო დასკვნასთან ერთად სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ. თუნდაც, რომ ავიღოთ საუკეთესო შემთხვევა, როცა ბრალდებული დაკითხვა, ადვოკატი მინც შეზღუდულია თავს უფლებებში, რადგან მას შეუძლია მხოლოდ გაეცნოს საქმის მასალებს და არა აქვს უფლება მათი ქსეროასლების გადაღებისა.

უფრო მეტიც, დაზარალებულს სისხლის სამართლის საქმის მასალებზე და ნივთიერ მტკიცებულებებზე სრულად ხელი მიუწვდება მხოლოდ საქმის, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, სასამართლოსათვის გადავზავნის შემდეგ.<sup>51</sup>

51 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლის “კ” ქვეპუნქტი.

თუკი გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ პრაქტიკას, უმრავლესობა საქმეებისა, ვერ აღწევს სასამართლომდე, ვინაიდან ისინი სხვადასხვა მიზეზით წყდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე. სწორედ ამიტომ არის არსებითი დაზარალებულისათვის გამოძიების საწყის ეტაპზევე სრულად მიუწვდებოდა ხელი საქმის მასალებზე. დაცვის მხარისთვის დაწესებული შეზღუდვები ეწინააღმდეგება სამართლიან სასამართლოს პრინციპს - გქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად.

## 6.2. საცხოვრებელი პირობები და სიკვდილის შემთხვევები სასჯელსრულებით დაწესებულებებში

სასჯელსრულებით სისტემაში არსებული ვითარება კვლავ შემამფოთებელია.<sup>52</sup> პირობები უმრავლეს დაწესებულებებში არ შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებსაც კი. ციხეები ისეთი გადატვირთულია, რომ 4 პატიმარს ერთი საწოლის გაყოფა და რიგ-რიგობით ძილი უწევთ. მაგალითად, ბათუმის # 3 საპყრობილე გათვალისწინებულია 200 პატიმრისთვის, მაშინ როცა იქ მყოფ პატიმართა რიცხვი 400 აჭარბებს. 2006 წლის მარტამდე ე.წ. ბუნტამდე თბილისის #5 საპყრობილეში მყოფ პატიმართა რიცხვი 3800 იყო, როცა დაწესებულება 1600 პატიმარზეა გათვლილი. ამ მხრივ, გამოწვევის წარმოადგენს ქუთაისის # 2 საპყრობილე და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება ისევე, როგორც რუსთავის # 6 საპყრობილე.

საკნებში მხოლოდ ღია ტიპის ტუალეტებია და პატიმრებს ჭამა უწევთ იქ სადაც ისინი ბუნებრივ მოთხოვნილობებს იკმაყოფილებენ, რაც საშინელ ანტისანიტარიას იწვევს. თეთრეულს ხშირად არ ასუფთავებენ და საკნებს არ ანიავებენ, რაც იწვევს უსიამოვნო, თითქმის აუტანელ სუნს. არ არის საკმარისი ფართი თითოეული პატიმრისთვის. საკნების განათება ძალიან ცუდია. ძალიან ხშირად, საკმარისი სივრცის არარსებობის გამო, პატიმრები არ გაყავთ ჰაერზე გასასეირნებლად. მაგალითად, # 7 საპყრობილეში პატიმრები 3 თვის განმავლობაში არ ჰყავდათ გაყვანილი ჰაერზე.

შეზღუდვები ხშირია პაემნებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, თბილისის # 7 საპყრობილეში პატიმრებს ნებას არ რთავდნენ მოკლევადიან და გრძელვადიან პაემნებზე. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს კანონით აქვთ დუშის მიღების უფლება, აღნიშნულის რეალიზაცია არ ხორციელდება მრავალ დაწესებულებაში.

52 ვრცელი ინფორმაციისათვის იხილეთ სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში, გვ 33-37 და სახალხო დამცველის 2005 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, გვ 2-42.

პატიმართა კვება არ შეესაბამება კვების მინიმალურ რაციონს. 23,5 ლარზე ნაკლები იხარჯება თითოეული პატიმრის კვებაზე. სუსტი სამედიცინო მომსახურება კიდევ ერთი ასპექტია, რაც ციხის პირობებს კიდევ უფრო აუტანელს ხდის. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული პრობლემა პატიმართა გარდაცვალების მიზეზიც კი ხდება. სახელმწიფო ბიუჯეტით, მხოლოდ 115,500 ლარია გამოყოფილი პატიმართა სამედიცინო მომსახურებაზე, რაც უტოლდება 3 თეთრს თითოეულ პატიმარზე დღეში. პატიმართა მოთხოვნა, სამედიცინო შემოწმებაზე და ციხის რესპუბლიკურ სავადმყოფოში გადაყვანაზე, რეაგირების გარეშე რჩება ციხის ადმინისტრაციის მხრიდან. დაავადებული, ისევე როგორც სულიერად ავადმყოფი პატიმრები, არ არიან განცალკევებულნი სხვა პატიმრებისგან. ქსნის # 7 კოლონიაში არსებული ვითარება ცალკე აღნიშვნის ღირსია. არ არსებობს ცალკე საკნები პატიმრებისთვის. დაახლოებით 250-300 პატიმარი განცალკევებულია მხოლოდ ჩამოფარებული ჩიხოლებით. არსებული ანტისანიტარია, უწყლობა და აუტანელი სუნი, პატიმართა არაიზოლირებულად ყოფნასთან ერთად, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას უტოლდება. ზემოაღნიშნულის მაგალითია ზაუტაშვილის შემთხვევა.

2006 წლის 13 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიიღო წერილი პატიმარ თენგიზ ზაუტაშვილისგან (იგი სასჯელს ქსნის #7 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იხდის), რომელიც ამავდროულად ეგზავნებოდა ჯანდაცვის მინისტრს, იუსტიციის მინისტრს, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტს, არასამთავრობო ორგანიზაციას - ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის და საქართველოს თავისუფალ მედიას. თავის წერილში, პატიმარი აღწერდა იმ არაადამიანურ პირობებს, რაც სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იყო. წერილი იწყებოდა იმით, რომ მას თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და არა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. საკნები დაბინძურებული იყო, ისინი საესე იყო ბუზებით, თავებითა და ტარაკებით. პატიმრები მათგან გათავისუფლებას საკუთარი ძალისხმევით ცდილობენ, მაგრამ უშედეგოდ. 7 წლიანი პატიმრობის შედეგად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძობლად გაუარესდა (გული, ფილტვები). მიუხედავად პატიმრობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისა, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში პატიმრის შეყვანისას მოახდინონ მისი სამედიცინო შემოწმება და შეამოწმონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც, თენგიზ ზაუტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არასდროს შეუმოწმებიათ. მას არ ამარაგებენ სუფთა თეთრეულით. დაწესებულებაში არ არის წყლის საკმარისი მარაგი. დაწესებულებაში მყოფ 7 000 პატიმრისათვის განკუთვნილია სულ 10 წყლის ავზი. უფრო მეტიც, კვების რაციონი არის ძალიან დაბალი. მას შემდეგ, რაც პატიმრებმა

პროტესტი გამოთქვეს ციხის აუტანელ პირობებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი სანქცია ციხის ადმინისტრაციის მხრიდან გახლდათ კვების რაციონის შემცირება, კერძოდ ამოღებულ იქნა საკვების მნიშვნელოვანი კომპონენტები. პატიმრებს აჭმევენ მხოლოდ დღეში ორჯერ (საკვებს არ აქვს არც ცხიმი და არც მარილი). პატიმრები ძირითადად ახლობლების მიერ შემოგზავნილი საკვებით იკვებებოდნენ, თუმცა ახალი წესის მიხედვით, პატიმრებისათვის ამანათებით ისეთი პროდუქტების შეგზავნა როგორცაა ზეთი, ლობიო, ხორცი და ბოსტნეული მკაცრად აიკრძალა ციხის ადმინისტრაციის მიერ. პატიმრები ვერ იღებენ დიეტური კვებისათვის აუცილებელ საკვებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, აკრძალოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და დაიცვას სოცოცხლე. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ ასრულებს მის ნეგატიურ ვალდებულებასაც, თავი შეიკავოს მისი წარმომადგენლების მხრიდან გაუმართლებელი ძალის გამოყენებისგან. გადამეტებული ძალის გამოყენება კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში. ხშირ შემთხვევაში, პატიმართა მიმართ გამოყენებული ძალა მისალწვე მიზნის არაპროპორციულია.

მაგალითად, ბათუმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში 2006 წლის 24 იანვარს ჩატარებული ჩხრეკისას მრავალმა პატიმარმა ფიზიკური დაზიანებები მიიღო. პატიმართა გადმოცემით, ისინი აიძულეს დარჩენილიყვენ დაწესებულების ეზოში 4 საათის განმავლობაში ძალიან ცივ და თოვლიან ამინდში (ზოგიერთი მათგანის მტკიცებით, ეს ყველაფერი 8 საათიც კი გაგრძელდა). ზოგიერთ პატიმარს ამ დროს ფეხზეც კი არ ეცვა. ისინი სცემეს, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთი ქმედება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ტოლფასი იყო და მან რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას, დაეწყო წინასწარი გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

2006 წლის 27 მარტს ღამის 3 საათზე სპეციალური ოპერაცია ჩატარდა თბილისის #5, #1 საპყრობილეებში და ციხის რესპუბლიკურ სავადმყოფოში. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მან თავიდან აიცილა კრიმინალების მიერ დაგეგმილი ბუნტი, თუმცა ოპოზიციას, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ეჭვი ეპარებათ ოფიციალურ ვერსიაში და მიაჩნიათ, რომ ბუნტი იყო სპონტანური ქმედება, რომელიც გამოწვეული იქნა ციხის თანამშრომლების, განსაკუთრებით კი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების უფროსის, ბაჩო ახალაიას ქმედებებით პატიმართა მიმართ. არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიცია აცხადებენ, რომ არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ეს იყო ბუნტი. სპეცოპერაციამ იმსხვერპლა 7 ადამიანის სიცოცხლე. და-

შავდა, სულ ცოტა, 17 პატიმარი. ორი დღის განმავლობაში პატიმრებთან არ უშვებდნენ არც ადვოკატებს და არც მონიტორინგის საბჭოს წევრებს, რაც სერიოზულ ეჭვს ბაღებს ხელისუფლების მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ვერსიასთან დაკავშირებით. მონიტორინგის საბჭოს წევრებმა მიმართეს იუსტიციის მინისტრს და მოსთხოვეს წინასწარი გამოძიების დაწყება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნა.<sup>53</sup> ოპოზიცია დამოუკიდებელი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ აღნიშნული საკითხი არ გაიტანა.

სერიოზული ეჭვი არსებობს გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობასთან მიმართებაშიც. “იმედის” არხის გადმოცემით მამუკა ღვინიაშვილს, #5 საპყრობილის პატიმარს, რომელიც ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა, ტანზე მრავალი ჭრილობა აღენიშნებოდა, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის ჭრილობა თავში. ღვინიაშვილის ნათესავებს გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ღვიძლის გართულებები დაუსახელებს, მაგრამ ღვინიაშვილის დედა ირწმუნება, რომ ერთი დღის უკან ციხის ბუნტამდე მან ინახულა შვილი, რომელსაც არაფერი უთქვამს ღვიძლის ჩივილებზე. დედამისმა ასევე უარყო ის ფაქტი, რომ მისი შვილი ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ მომხდარი ინციდენტი ბუნდოვანია, რეალური მოტივი ძალის გამოყენებისათვის კვლავ ფართო ინტერპრეტაციის მიზეზად რჩება.

ციხის ბუნტმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო. 31 მარტს ეუთოს თავმჯდომარე კარელ დე გუჩმა თავისი შეშფოთება გამოხატა 27 მარტს # 5 საპყრობილეში განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე.

*“წუხილს გამოვხატავთ 7 პატიმრის გარდაცვალებასთან და დიდი რაოდენობით პატიმართა დაშავებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც სპეციალური რაზმის თანამშრომელთა დაშავებასთან დაკავშირებით”*

*“ავლნიშნავთ, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, განსხვავებული მოხსენებები გავრცელდა, რაც ადასტურებს, რომ არ არსებობს უტყუარი ინფორმაცია აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით”.*

53 იხილეთ პრეზიდენტის მიერ სასჯელადსრულებითი დაწესებულების მონიტორინგზე უფლებამოსილი პირების მიმართვა იუსტიციის მინისტრის ვია ქავთარაძისადმი.

*“მე მჯერა, რომ მართებული იქნება დამოუკიდებელი, საჯარო გამოძიების წარმოება აღნიშნული მოვლენების გამოსაძიებლად, მათ შორის, სახელმწიფო ძალოვნების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების საკითხის გამოსაძიებლად, რასაც შედეგად დიდი რაოდენობის მსხვერპლი მოჰყვა.”<sup>54</sup>*

სამწუხაროდ, საქართველოს რეალობისთვის პატიმართა გარდაცვალების შემთხვევები კვლავ დამახასიათებელია. 2004 წელს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გარდაიცვალა 43 პატიმარი, 2005-ში გარდაცვლილ პატიმართა რიცხვმა 47-ს მიაღწია. ზოგიერთი მათგანი გარდაიცვალა სხვადასხვა დაავადებათა შედეგად, ზოგი კი თვითმკვლელობის შედეგად, თუმცა საქმეებზე წარმოებული არაეფექტური გამოძიებების გამო, უცნობია რეალურად თვითმკვლელობას ჰქონდა თუ არა ყველა ამ შემთხვევაში ადგილი.

2005 წლის სექტემბერში მსჯავრდებული ზვიად ცინცაბაძე, რომელიც სასჯელს ხონის #9 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იხდიდა, ჩამომღრჩვალ იპოვეს. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. საქმის შეწყვეტის საფუძველად მითითებული იყო დანაშაულის ნიშნების არარსებობა, რადგან აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც თვითმკვლელობა. საქმის შეწყვეტის დადგენილებაში ერთ-ერთ მთავარ ნივთიერ მტკიცებულებად მოხსენიებული იყო ზურაბ ცინცაბაძის ტანსაცმელში, საქსპერტო დაწესებულებაში ნაპოვნი წერილი, რომლის მიხედვითაც, იგი თავს იკლავდა ვიდაცის სიყვარული გამო. საქმის შეწყვეტის დადგენილება გასაჩივრდა როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოში, თუმცა უშედეგოდ. არ არის დადგენილი გარდაცვალების ზუსტი დრო. შემთხვევის ადგილი არ იქნა დაცული და განადგურდა იქ არსებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. საქმეზე არ ჩატარებულა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები (მაგალითად მსჯავრდებულის ტანსაცმლიდან, ისევე როგორც ჩამოხრჩობისათვის გამოყენებულ თოკიდან, არ აღებულა თითების ანაბეჭდები). როცა შემთხვევის ადგილი დაათვალიერა გამოძიებელმა (2005 წლის პირველი ოქტომბერი), შედგა შესაბამისი ოქმი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ გარდაცვლილის ტანსაცმლის ჯიბეში ნაპოვნი იქნა სულ 3 ნივთი: სივარეტის კოლოფი, სანთებელა და 2 აბი ანალგინი. მოგვიანებით, 9 ნოემბერს (ერთი თვისა და 9 დღის შემდეგ) საქსპერტო დაწესებულების პროზექტურაში, სადაც გვამი შიშველ მდგომარეობაში ინახება, ნაპოვნი იქნა ზემოთხსენებული წერილი. წერილი საქმეს დაერთო, როგორც

54 „სივილ ჯორჯია“ 2006.04.02.

მნიშვნელოვანი ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც, საბოლოო ჯამში, საქმის შეწყვეტის მიზეზიც კი გახდა. არ ჩატარებულა კალიგრაფიული ექსპერტიზა იმის დასადგენად, ეკუთვნოდა თუ არა ხელნაწერი ზურაბ ცინცაბაძეს. ზურაბის დედა მოითხოვდა ძიების განახლებას აღნიშნულ საქმეზე, თუმცა უშედეგოდ.

### 6.3. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, უკანონო დაკავებისა თუ პატიმრობისა აკრძალვა

სამწუხაროდ, სისხლის სამართლის პროცესის დებულებებით განმტკიცებული უკანონო პატიმრობის შემთხვევები კვლავ დამახასიათებელია ქართული რეალობისათვის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს პატიმრობის ვადას, სინამდვილეში, მის უკანონო ბუნებას აკანონებს. 162-ე მუხლის მიხედვით, პატიმრობის ვადის დინება წყდება საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ განსჯადობის მიხედვით, სასამართლოში საქმის ჩაბარების მომენტში. წარმოებაში მქონე ბოლო საქმეზე შემაჯამებელი განაჩენის გამოტანიდან, მოსამართლეს 14 დღე აქვს საქმის განსახილველად. მანამდე, მიუხედავად იმისა, რომ პირი პატიმრობაში იმყოფება, იგი 162-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პატიმრად არ ითვლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უკანონო პატიმარია.

საქართველოში უკანონო პატიმრობის შემთხვევები კვლავ ხშირია. ხშირად სამართალდამცავები პიროვნებას სასამართლო ბრძანების გარეშე აკავენ და აცილებენ დაკავების კანონით დადგენილ ვადებს, დროულად არ წარუდგენენ დაკავებულ პირს მოსამართლეს დაკავების კანონიერების შესამოწმებლად, არ ატყობინებენ დაკავებულის ოჯახის წევრებს ამ უკანასკნელის დაკავების შესახებ და უზღუდავენ მას დამცველთან შეხვედრის კანონიერ უფლებას.

### სამედინო მოსახურება

ქართულ პენიტენციურ ინსტიტუციებში პატიმართა უმრავლესობა ძლიერაა დაავადებული და საჭიროებს სერიოზულ სამედიცინო მკურნალობას. არ ხდება აღნიშნული პირების სტაციონალური მკურნალობა, არამედ ისინი კვლავ რჩებიან ციხის პირობებში, სადაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ასევე მათ გარშემო მყოფი პატიმრებისაც კიდევ უფრო უარესდება. ერთ-ერთი მსგავსი პატიმარი იყო ფირუზ ჯაჭვლიანი, რომელიც 13 მაისს გარდაიცვალა. ფირუზ ჯაჭვლიანი, რომე-

ლიც ქურდობის მუხლით იხდიდა სასჯელს, დაკავებამდე მძიმე სნეულებებით იყო დაავადებული, მათ შორის ქრონიკული დაავადებით - ლვიძლის ცეროზით და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო მოთავსებული. თუმცა, მსგავსი მძიმე დაავადებების მქონე აღმნიანებისთვის სათანადო მედიკამენტებისა დეფიციტის და მკურნალობის გაუწევლობის შედეგად, ფირუზ ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მიერ ჩატარებულ 25 თებერვლის სამედიცინო დასკვნაში ცალსახად იყო აღნიშნული, რომ ავადმყოფის მდგომარეობა მძიმე იყო და ის საჭიროებდა სტაციონალურ მკურნალობას ჰეპატოლოგიური პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში და ხანგრძლივი ამბოლატორიულ მეთვალყურეობას, მისი ინფექციური საავადმყოფოში გადაყვანა არ მოხდა. არც სასამართლომ დააკმაყოფილა ფირუზ ჯაჭვლიანის ადვოკატების მიმართვა აღმკვეთი ღონისძიების შინა პატიმრობით შეცვლის თაობაზე.

როდესაც ფირუზ ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ადვოკატებმა მიმართეს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს და დამატებით გამოითხოვეს პატიმრის იმჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, რის შემდეგაც დაუკავშირდნენ მაია ნიკოლეიშვილს, რომლის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სამ დღეში მოხდა ფირუზ ჯაჭვლიანის შიდა პატიმრობით გამოშვება. აღნიშნული დასკვნის შემდეგ, ფირუზ ჯაჭვლიანის ადვოკატებმა იმ დღესვე შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს და იგი მესამე დღეს, 29 აპრილს გადაყვანილ იქნა ინფექციურ საავადმყოფოში, თუმცა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა და ის 13 მაისს გარდაიცვალა.

ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მიერ ფირუზ ჯაჭვლიანის სამედიცინო შემოწმების შემდეგ 21 აპრილს გამოქვეყნებულ დასკვნაში წერია, რომ „ავადმყოფი დაავადებულია მძიმე ქრონიკული დაავადებით ლვიძლის ცეროზით. ლვიძლის ცეროზისა და ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B-სგან პატიმრის საბოლოო განკურნება შეუძლებელია. ამჟამად ფირუზ ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, საგანგაშოა და სასწრაფო და გადაუდებელი ადეკვატური და სრულმასშტაბიანი მკურნალობის გარეშე, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.“

ფირუზ ჯაჭვლიანის ერთ-ერთი ადვოკატი კესო ცარციძე მისი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრის გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობას სასჯელალსრულების სამედიცინო დეპარტამენტს აკისრებს და აცხადებს, რომ თავის დროზე შესაბამისი აუცილებელი სტაციონარული მკურნალობის გაწევისას პატიმარი გადარჩებოდა. „ფირუზ ჯაჭვლიანის გარდაცვალება არის სასჯელალსრულების სამედი-



ცინო დეპარტამენტის დაუდევრობის შედეგი“,- აცხადებს ადვოკატი.

2003 წლის 27 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა წამების წინააღმდეგ 2003-2005 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა ეუთოსთან (OSCE) მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად.<sup>55</sup> გეგმა მოიცავს 5 ამოცანას, რომელთა შორისაა არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავება.<sup>56</sup> სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთერთ სტრატეგიათა შორის იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-6 ნაწილში ცვლილებების შეტანა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა დებულება ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირის მოკვლევის ორგანოში მიყვანიდან 24 საათის განმავლობაში სავალდებულო სამედიცინო შემოწმების შესახებ.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ეჭვმიტანილის უფლებას სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული აღნიშნული უფლების დეფინიციიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად სავალდებულოა აღნიშნული სამედიცინო შემოწმება. სამედიცინო შემოწმების მოთხოვნის უფლებას ძირითადად შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე და 145-ე მუხლები. 73-ე მუხლი აკეთებს ეჭვმიტანილის უფლებების ჩამონათვალს, მათ შორის, ეჭვმიტანილის უფლებას, დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა. მას ასევე უფლება აქვს მოითხოვოს სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.<sup>57</sup>

აღნიშნული მუხლის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თუკი ეჭვმიტანილი მოითხოვს სამედიცინო შემოწმებას, ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს და მასზე უარის თქმა არ დაიშვება, თუმცა იმდენად, რამდენადაც მოთხოვნის ინიციატივა ეჭვმიტანილზეა, ძნელი დასამტკიცებელია, რომ სამედიცინო შემოწმების ფორმა სავალდებულოა. სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სასამართ-

55 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება # 468. 2003 წლის 27 სექტემბერი.

56 აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს აღმნიანის უფლებათა სფეროში არსებული საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, ეროვნული კანონმდებლობის გაეროს და ევროსაბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

57 სსსკ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი.

ლოში, რაც იმას ადასტურებს, რომ სამედიცინო შემოწმების მოთხოვნის უფლება და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება არ არის სავალდებულო. ვალდებულების მომენტი გამოირიცხება, ერთის მხრივ, იმის გამო, რომ მოთხოვნის ინიციატივა ეჭვმიტანილს ეკუთვნის და, მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ საგამომიებო ორგანოს გააჩნია აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძალიან მართივი შექანზი.

იგივე პრობლემა იქმნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-6 ნაწილთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ეჭვმიტანილი უნდა დაკითხოს დაკავებიდან არაუგვიანეს 24 საათისა. დაკავებული, მისივე მოთხოვნით, დაკითხვის შემდეგ აუცილებლად უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და შედგეს სათანადო ცნობა.

რამდენადაც 73-ე მუხლი არის ეჭვმიტანილის უფლებების მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, ამ უკანასკნელს უპირატესი ძალა აქვს 145-ე მუხლთან შედარებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145(6)-ე მუხლში სავალდებულო სამედიცინო შემოწმების შესახებ ცვლილებების შეტანით და აღრე მოქმედი დებულების ამჯამად მოქმედი დებულებით ჩანაცვლებით, სახელმწიფოს არ შეუხრულებია ის ვალდებულება, რაც მან წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმით იკისრა.

გარკვეული ეჭვი არსებობს ასევე სამედიცინო ექსპერტიზის დამოუკიდებლობასთან და იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ექსპერტთა მიერ გაცემულ დასკვნებს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გაცემულ დასკვნებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. ექსპერტის დანიშვნა ხდება ძირითადად გამომძიებლის ან პროკურორის მიერ. გამონაკლის შემთხვევებში ექსპერტებს იწვევენ მხარეები,<sup>58</sup> რა შემთხვევაშიც მხარემ უნდა დაფაროს ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი უზრუნველყოფს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას: მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოებების დასადგენად, რომლებსაც, მისი ზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მისსავე ინტერესების დაცვას. საექსპერტიზო დაწესებულება ვალდებულია, ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა. მხარის მოთხოვნით, ექსპერტის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის სა-

58 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 359-ე მუხლი.

ქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 19-ე<sup>59</sup> მუხლის გათვალისწინებით, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნას და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუმცა 2005 წლის 16 დეკემბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილება საპირისპიროში გვარწმუნებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ *სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ან სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნები*.

ამკარაა, რომ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებების მიერ გაცემულ დასკვნებს უპირატესობა ენიჭება, რაც არაეფექტურს ხდის პროცესის იმ მუხლებს, რომელიც ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების უფლებას უზრუნველყოფს.

მეორე საკითხი, რაც ასევე შეშფოთების საგანია არის ის, თუ რამდენად დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი არიან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას და რამდენად ძალუძთ მათ უტყუარი ინფორმაციის შემცველი დასკვნის გაცემა, სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე. რამდენადაც სახელმწიფო სამედიცინო საექსპერტო დაწესებულება-სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო<sup>60</sup> არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური,<sup>61</sup> იგი არ შეიძლება ჩათვალოს სახელმწიფოს გავლენისაგან თავისუფალ საექსპერტო დაწესებულებად, რომელიც აკმაყოფილებს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს.<sup>62</sup>

59 არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით.

60 იხილეთ იუსტიციის მინისტრის ბანაბა #1549 სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ.

61 სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: ბიუროს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ამავე დებულების მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით: ბიუროს უფროსი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარისა აბარებს იუსტიციის მინისტრს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

62 იხილეთ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის საკი-

საქართველოს გენერალური პროკურატურის ანგარიშის მიხედვით,<sup>63</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლში შესული ცვლილება წარმოადგენს მყარ გარანტიას ადამიანის უფლებათა დაცვისათვის. კერძოდ, 145-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს ექვმიტანილის დაკავებას, დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი, რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა შეიცავდეს მონაცემს დაკავების მომენტში დაკავებული პირის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტორი, რომ 45-ე მუხლის მე-5 ნაწილში გამოყენებული ტერმინი “ფიზიკური მდგომარეობა” საკმაოდ ბუნდოვანია. აღნიშნული დებულების და ტერმინის თანახმად, გაუგებარია თუ რამდენად დეტალურ მონაცემებს უნდა შეიცავდეს ოქმი, დეტალურად უნდა აღიწეროს მასში დაზიანებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ უნდა დაფიქსირდეს ფიზიკური მდგომარეობა ერთი შეხედვით.

იუსტიციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ბევრი პატიმარი სხეულის დაზიანებით შევიდა. პენიტენციალური დეპარტამენტი მაღავს ფიზიკური დაზიანების მქონე პატიმრების რიცხვს. HRIDC-მა ამხილა პენიტენციალური დეპარტამენტი საზოგადოების მოტყუებაში, როცა იგი ცდილობდა დაემალა ნაწამები და ნაცემი პატიმრების რიცხვი. პენიტენციალური დეპარტამენტიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ერთ-ერთ ციხეში მოთავსებული ასეთი კატეგორიის პატიმრების რიცხვი აღემატება საქართველოს ერთად აღებული ყველა ციხის რიცხობრივ მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოხსენიებული ინფორმაციის დასადასტურებლად დადგინდა პენიტენციალური სისტემის სტატისტიკური მონაცემები.

2004 წელს ქობილისის #1 საპრობილეში მოთავსდა სხეულის დაზიანებების მქონე შემდეგი რაოდენობის პატიმარი:<sup>64</sup>

---

თხეზე სპეციალური მომსახურების - მანფრედ ნოვაკის ანგარიში- მისია საქართველოში, 2005 წლის 23 სექტემბერი, დასკვნები და რეკომენდაციები “ე”

63 იხილეთ საქართველოს გენერალური პროკურატურის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე, (გვ 4)

64 #1 სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, გ. აღფაიძის წერილი HRIDC-ისთვის მოწერილი 2004 წლის 26 ოქტომბერს, წერილის ნომერი 10/36-4-11-8443

აღმინის უფლებათა უარღვივები საქართველოში

იანვარი	38 პატიმარი	ივნისი	45 პატიმარი
თებერვალი	39 პატიმარი	ივლისი	88 პატიმარი
მარტი	48 პატიმარი	აგვისტო	13 პატიმარი
აპრილი	43 პატიმარი	სექტემბერი	16 პატიმარი
მაისი	38 პატიმარი		

იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალური დეპარტამენტიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2004 წელს საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში სხეულის დაზიანებებით მოთავსებულ პატიმართა რიცხვია:<sup>65</sup>

იანვარი	35 პატიმარი	ივნისი	44 პატიმარი
თებერვალი	43 პატიმარი	ივლისი	93 პატიმარი
მარტი	51 პატიმარი	აგვისტო	20 პატიმარი
აპრილი	41 პატიმარი	სექტემბერი	27 პატიმარი
მაისი	39 პატიმარი		

### ბავშვთა საკითხები:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება 14 წლიდან. განსხვავება 14 და 16 წელს შორის ახსნილია 88-ე მუხლში, რომელიც ეხება “განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთას”: არასრულწლოვანისთვის თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე ნაკლები ვადით უნდა სრულდებოდეს აღმზრდელით დაწესებულებაში. სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე, შეიძლება მიესაჯოს 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.<sup>66</sup>

65 საქართველოს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის შოთა კობახის წერილი HRIDC-ისთვის მოწერილი 28.10.04. წერილის ნომერი 10/8-7386

66 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების კატეგორიას მიეკუთვნება ის დანაშაულები, რომლის ჩადენისთვის პირს მიესჯება 10 წელზე მეტი ან სამუდამო პატიმრობა სისხლის სამართლის კოდექსით. მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორცაა განზრახ მკვლელობა (109-ე მუხლი) და განზრახ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანი დამნაშავისათვის სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა, ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გ) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, დ) გამასწორებელი სამუშაო, ე) თავისუფლების შეზღუდვა, ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ათი წლის ვადით, ხოლო განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულისათვის, თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე შეიძლება მიესაჯოს 16 - დან 18 წლამდე მოზარდს.

სავალდებულო აღმზრდელობითი ხასიათის ზომებია: გაფრთხილება, ზედამხედველობა, სპეციალურ აღმზრდელობით ან სამედიცინო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

საქართველოს კანონი “პატიმრობის შესახებ” განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, აღსრულების პრინციპებს და წესებს, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

პატიმარი არასრულწლოვანები, თავისუფლება აღკვეთილი ბავშვები უნდა იმყოფებოდნენ განცალკევებით მოზარდებისგან და წინასწარ დაკავებაში მყოფები მსჯავრდებულებისგან.

არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეუძლია საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების მიწოდება. არასრულწლოვანის დაკითხვა უნდა წარმოებდეს მასწავლებლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან მეურვის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შედეგად. დაკითხვამდე, ეს პირები უნდა იქნენ ინფორმირებულნი საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობებზე და მათ უნდა მისცენ ნებართვა გამომძიებელს, რათა დასვას შეკითხვები. 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის ვალდებულებას, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის ან ცრუ ჩვენების მიცემისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

## კრატეტიკა

რეალურად, სამართლებრივი გარანტიები იშვითად სრულდება. იმ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავები არღვევენ კანონს მსხვერპლისთვის ძალზედ ძნელია მათთვის წინააღმდეგობის გაწევა.

დროებითი დაკავების საკნებში არასრულწლოვანები იშვითად არიან განცალკევებით სხვა პატიმრებისგან და წინასწარ პატიმრობაში მყოფნი ხშირად მსჯავრდებულ პირებთან ერთად იმყოფებიან, რისი მიზეზიც გადაჭედილი საკნებია<sup>67</sup>.

არასამთავრობო ორგანიზაცია “ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანთა უფლებებისთვის” ინფორმაციის მიხედვით, 2004-2005 წლებში რეგისტრირებულია 278 წამების შემთხვევა, მათ შორის 5 სხვადასხვა რეგიონში მომხდარი ბავშვთა წამების ფაქტი<sup>68</sup>.

2004 წლის 31 მარტს ცენტრალური პოლიციის დეპარტამენტის 11-ე სართულზე სასტიკად

67 აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის „დემოკრატიის ბიურის“ ვებ-გვერდზე მოძიებული ინფორმაცია.

68 „უკანონო დაპატიმრებები და პატიმართა წამება“ - ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის [http://www.fpohr.org.ge/view.php?view\\_id=7&id=59](http://www.fpohr.org.ge/view.php?view_id=7&id=59) ; <http://www.fpohr.org.ge/>

აწამეს 28 წლის გიორგი ჟორჯოლიანი და მისი 16 წლის და - ია ჟორჯოლიანი.

2004 წლის 17 ივლისს ბორჯომის პოლიციის თამანშრომლებმა – ონოფრიშვილმა და ხაჩიძემ დააკავეს 17 წლის კახა სანოძე, როლიც ცემეს და შემდეგ იარაღი ესროლეს ფეხებში. კახა ეჭვმიტანილი იყო კოკა-კოლის რამდენიმე ბოთლის ქურდობაში.

2004 წლის სექტემბერში 17 წლის რატი ანთელიძე დააკავეს ოზურგეთის რეგიონული პოლიციის დეპარტამენტში, იგი ეჭვმიტანილი იყო ქურდობაში. დააკავეს იმისთვის რატი სასტიკად ცემეს. 4 სექტემბერს იგი გადაიყვანეს ოზურგეთის საავადმყოფოში. მოგვიანებით, მას პოლიცია დაემუქრა, რომ ხმის ამოღების შემთხვევაში, მას მოკლავდნენ.

2004 წლის 16 ოქტომბერს, გურჯაანის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა გელა მჭედლიშვილმა და მისმა ასისტენტმა სასაფლაოსთან დააკავეს და ცემეს 14 წლის გიორგი იაშვილი. მოგვიანებით, როდესაც მოახლოვებულმა საპატრულო პოლიციამ იკითხვა ბავშვის სასაფლაოსთან ყოფნის მიზეზი, მილიციის თანამშრომლებმა უპასუხეს, რომ ბავშვი მანქანიდან ბუნებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადმოიყვანეს. არც ერთ შემთხვევაში დამნაშავე არ დასჯილა.

2005 წლის 10 ივნისს ალექო ქაძუშაძემ მოიპარა აკორდეონი და დოლი საკუთარი სკოლის

სარდაფიდან და ამჟამად იგი იმყოფება 18 თვიან პატიმრობაში არასრულწლოვანთა კოლონიაში. ალექო 17 წლისაა, მაგრამ უფრო მცირეწლოვანის შეხედულებაა აქვს. იგი იბულებულია იცხოვროს აგრესიულ და ძლიერ პატიმრებთან ერთად. წინასწარი დაკავების პერიოდში ალექომ გაატარა რვა თვე საქართველოს მოზრდილთა ყველაზე ცნობილ ციხეში, სადაც ძალადობა ძალზედ გავრცელებულია მოვლენაა. “ციხე საშინელი იყო. გარეთ გასვლის უფლება მხოლოდ 10-15 წუთი გვქონდა. დანარჩენ დროს ვიმყოფებოდი პატარა ოთახში 30 პატიმართან ერთად. ძლივს ვსუნთქავდი”, – იხსენებს ალექო<sup>69</sup>.

ამჟამად UNICEF – ი ეხმარება საქართველოს მთავრობას ისეთი საკანონმდებლო სისტემის შექმნაში, რომელიც მიმართული იქნება არასრულწლოვანთა უფლებების უკეთესი დაცვისკენ. UNICEF – ს და დაინტერესებულ კანონშემოქმედებს სურთ ცალკე სპეციალური არასრულწლოვანთა სასამართლოების შექმნა, რომ უკეთესად დაიცვან არასრულწლოვანთა უფლებები. მათი მიზანი ასევე არის იმის მიღწევა, რომ დაპატიმრება იყოს სასჯელის უკიდურესი ფორმა, განსაკუთრებით მაშინ, სანამ არასრულწლოვანის საქმეს სასამართლო განიხილავს და გამოიტანს გადაწყვეტილებას. “მოსამართლეთა უმრავლესობას და იმ პირებს,

რომლებიც კანონშემოქმედებით საქმიანობაში არიან ჩართულნი არ გააჩნიათ რაიმე სპეციალური ცოდნა არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმის წარმოების სპეციფიკაზე. “დაპატიმრება არ არის გამონაკლისი, ეს ჩვეულებრივი რეაქციაა”. ზოგჯერ ბავშვი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში ძალზედ ხანგრძლივი პერიოდით, და ხშირად ძალზედ უბრალო დანაშაულისთვის”, – ამბობს ისმაელ ოულდ შეინ აჰმადი, UNICEF – ის წარმომადგენელი საქართველოში.

### უკანონო დაპატიმრების შემთხვევები

„თავისუფლების ინსტიტუტის“<sup>70</sup> წევრის, თეა თუთბერიძის განცხადებით, შიდა ქართლის შს სამინისტროს თანამშრომლებს 12 უკანონო პატიმარი ყავთ, რომლებსაც ჩამოართვეს ადვოკატებთან შეხვედრის უფლება. „ჩვენ ამ მიზნით გორში (ქალაქი შიდა ქართლში) წასვლა მოგვიხდა დილის 12 საათზე. ჩვენს ჩასვლამდე ზოგიერთი პატიმარი გაათავისუფლეს და მხოლოდ ორი რჩებოდა პატიმრობაში“, – განაცხადა თეა თუთბერიძემ პრეს კონფერენციაზე.

მისი განცხადებით, რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი, ვლადიმერ ჯუღელი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ორი პატიმარი წინასწარი დაკავების განყოფილებაში იყო მათივე მოთხოვნით და არ ითხოვდნენ ადვოკატთან შეხვედრას. „საბოლოოდ ეს ორი ადა-

69 <http://www.unicef.org/georgia>

70 თბილისი. 16.08.05. “მედია ნიუსი“.



მიანი გათავისუფლდა, მაგრამ ჯუღელის მითითების გამო მანქანაში კომენტარის გაკეთების გარეშე ჩასხდნენ.“

### **სულხან მოლაშვილი კვლავ უკანონო პატიმარია**

კონტროლის პალატის ყოფილი თავჯდომარე სულხან მოლაშვილი 2004 წლის აპრილში დააკავეს და ბრალად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენება წაუყენეს. 2005 წლის 5 აგვისტოს სისხლის სამართლის სასამართლომ სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ მაშინ განაახლა პროცესი, როცა მისი ორივე ადვოკატი შევსებულბაში იმყოფებოდა. საქმე გადაეცა თეიმურაზ ნემსაძეს. მოლაშვილის ახალმა ადვოკატმა საქმის დაწვრილებით შესასწავლად მოითხოვა 30 დღე, რაც მას ეკუთვნის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 429(2) მუხლის მიხედვით. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და მხოლოდ 5 დღე მისცა საქმის გასაცნობად. უნდა აღინიშნოს, რომ მოლაშვილის საქმე შედგება 25 ტომისგან, თითო 500 გვერდიანი. მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ ნემსაძემ განაცხადა, რომ მისთვის 5 დღე საკმარისი არ იქნება მსგავსი მოცულობის საქმის შესასწავლად, მოსამართლეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

ბრალდებულმა, მანანა მუსულიშვილმა, ამ მოთხოვნას უწოდა მხოლოდ და მხოლოდ პრო-

ცესის გაჭიანურების მიზეზი. მას მიაჩნია, რომ მოლაშვილის ადვოკატებმა პროცესის გასაჭიანურებლად სპეციალურად მიმართეს მსგავს ხერხს. „ყველაფერი არსებობს მისი ბრალდების დასამტკიცებლად და ამიტომაც უნდათ დროის გაჭიმვა“, - ამბობს მბრალდებელი მანანა მუსულიშვილი.

სულხან მოლაშვილმა პროკურორის ბრალდებას მცდარი უწოდა, რადგან იგი დეკემბრიდან ელოდა პროცესის განახლებას. უფრო მეტიც, იგი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 16 თვე მაშინ, როცა საქართველოს კანონმდებლობა მაქსიმუმ 9 თვიან წინასწარ პატიმრობას ითვალისწინებს. სიტუაციიდან გამომდინარე, მოლაშვილმა განაცხადა, თუ პირობები არ გაუმჯობესდება, ის საერთოდ უარს განაცხადებს დაცვაზე და მის ბედს მოსამართლესა და პროკურორს მიანდობს, რაც ხმამაღალი წამომახილით დაასრულა: “ცხოველებსაც არ ეპყრობიან ასე“.

### **ზურაბ ჭანკოტაძის უფლებების დარღვევა, უკანონო-პატიმარია**

2005 წლის 8 აპრილი. სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ზურაბ ჭანკოტაძის უფლებების შელახვა მისი დაკავების დღიდან დაიწყო. სასამართლო პროცესი მისი დაპატიმრებიდან ერთი წლის თავზე გაიმართა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით

ადიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

ზურაბ ჭანკოტაძე 2004 წლის 16 მარტიდან წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. გამოძიება მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება 2004 წლის 31 აგვისტოს დასრულდა და ამავე წლის 20 სექტემბერს საქმე გადაეცა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს. თუმცა, სასამართლო პროცესი ზუსტად ერთი წლის თავზე გაიმართა და ზურაბ ჭანკოტაძე 2005 წლის 16 მარტს არის მიცემული სამართალში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 6-ე პუნქტი ადგენს, რომ ბრალდებულისათვის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ზღვრული ვადა არის ცხრა თვე. ხოლო, ზურაბ ჭანკოტაძის დაკავებიდან თითქმის ერთი წელი იყო გასული. ასე რომ, 20 სექტემბრიდან იგი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მოთხოვნებს.

საგულისხმოა ასევე ის, რომ სანამ აღნიშნული საქმე წარმოებაში მიიღებოდა, საქართველოს სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარამა შეისწავლა ზურაბ ჭანკოტაძის საქმე და მიიჩნია ადამიანის

უფლებათა დარღვევად. მან ამა წლის 11 თებერვალს სარეკომენდაციო წერილით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს შეეწყვიტა უკანონო პატიმრობა. მისი მიმართვიდან ერთი თვის შემდეგ სასამართლომ აღნიშნული საქმე მიიღო წარმოებაში და ამაჟამად 12 მოწმე დაიკითხა.

### **გიორგი მიქიაშვილი დაკავებულია პატრული-სათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით**

პატრულის თანამშრომლებისათვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით, გიორგი მიქიაშვილი 30 ოქტომბერს დააკავეს. იგი ეჭვმიტანილი იყო მობილური ტელეფონის მოპარვაში. ამისათვის სამართალდამცავებმა დაიჭირეს და სცემეს.

დაკავებიდან ცხრა დღის შემდეგ, მიქიაშვილი გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მიქიაშვილის დის განცხადებით, “ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, საიზოლაციო ნაწილში ჩაიყვანეს. პატიმრებმა მითხრეს, რომ 12 ადამიანი აკავებდა ნემსი რომ გაეკეთებინათ. ციხის საავადმყოფოს ექიმი მეუბნებოდა, რომ ძალიან დიდ დოზებს ვაძლევდით, რომ დაეძინაო. გიორგი ახლაც სვამს წამლებს, თუმცა უკვე შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია”.

მიქიაშვილის განცხადებით, წინასწარი დაკავების საკანში, მას მრავალჯერადად მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა, რამდენჯერმე დაკარგა გონება. ადვოკატმა ზაზა ხატიაშ-

ვილმა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ შუამდგომლობა დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს სახეზე ფიზიკური ზემოქმედების კვალი ეტყობოდა, გამოძიებამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი აცხადებს: “გამოძიება განზრახ მალავს საქმის მასალებს, რათა ვერ მოხერხდეს ალტერნატიული სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება. დრო გაყავთ და გიორგის ძლიერმოქმედი წამლებით მკურნალობენ, რათა ფიზიკური ზეწოლის ნიშნები დამალონ”.

ექიმ-ფსიქიატრის მარიამ ჯიშკარიანის მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, მას მძიმე რეაქტიული ფსიქიკური მდგომარეობა, თავის ქალის დაზიანება და ტვინის შერყევა დაუდგინდა.

გამომძიებლის უარი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სასამართლოში გასაჩივრდა. მოსამართლეს საქმის განხილვა 24 საათის განმავლობაში ევალებოდა, მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესი მხოლოდ მას შემდეგ გაიმართა, რაც მქიათაშვილის ოჯახმა მოსამართლე ლევან მურუსიძის დისციპლინარული გადაცდომის შესახებ სარჩელი შეიტანა.

### **საპატიმროში გარდაცვალება - ხვიჩა კვირიკაშვილის და გიორგი ინასარიძის საქმეები**

პოლიციის თანამშრომლებმა 40 წლის ხვიჩა კვირიკაშვილი, თაღლითობის ბრალდებით,

2004 წლის 22 მაის დააკავეს. სამართალდამცავთა თქმით, მათ კვირიკაშვილი გლდანი ნაძაღდევის მესამე განყოფილებაში დაკითხეს და შემდეგ გამოუშვეს, თუმცა მეორე დღეს განაგრძეს მისი დაკითხვა.

23 მაისს პოლიციელებმა კვირიკაშვილი სახლში ტაქსით წაიყვანეს. 25 წუთის შემდეგ კვირიკაშვილი, მრავლობითი სისხლჩაქცევების შედეგად, გარდაიცვალა. სარწმუნოა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა იგი აწამეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება კვლავ გრძელდება.

ეს დაკავების ადგილებში ადამიანის დაღუპვის უკვე მეორე შემთხვევაა ვარდების რევოლუციის შემდეგ. 2003 წლის 19 დეკემბერს 40 წლის გიორგი ინასარიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი ინასარიძე პოლიციამ ნარკოლოგიურ დისპანსერში გადაიყვანა. ისიც იმავე დღეს, ცნობის მიცემის შემდეგ იქნა გათავისუფლებული. თუმცა, მეორე დღეს პოლიციამ იგი მორიგი დაკითხვისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიბრა.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დადგინდა მისი ნარკოტიკების მოხმარება და დიდუბე-ჩულურეთის სასამართლომ მას 10 დღიანი პატიმრობა შეუფარდა. პოლიციამ იგი წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსა. მეორე დღეს იგი ჩამომღრჩვავი იპოვეს.

## დაკავების პირობები: კარცერი

ბ-ნი შალვა რამიშვილი და ბ-ნი ზურაბ კოხრეიძე არიან დამოუკიდებელი ტელეკომპანიის “ტელეკომპანია 202” თანადამფუძნებლები და აქციონერები. ბ-ნი შალვა რამიშვილი იყო პოპულარული თოქშოუს “დებატები” წამყვანი. აღნიშნულ შოუზე საუბარი მიდიოდა ისეთ მგრძობიარე თემებზე, როგორცაა სამთავრობო კორუფცია, ნეპოტიზმი, არასწორი მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა რეფორმები და ა.შ, რის გამოც, ბ-ნი რამიშვილი გახდა არასასურველი და აბეზარა ფიგურა “ვარდების რევოლუციის” ახალი ხელისუფლებისათვის, რომელითვისაც ხელისუფლებაში მოსვლის მთავარი დანაპირები კანონის უხეინაესობის უზრუნველყოფა იყო საქართველოში.

2005 წლის 27 აგვისტოს ბ-ნი რამიშვილი და ბ-ნი კოხრეიძე დააკავეს ფულის გამოძალვის ეჭვის საფუძველზე.

2006 წლის 11 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ბ-ნი რამიშვილისა და ბ-ნი კოხრეიძის საქმის განმწესრიგებულ სხდომაზე 2 დღით ადრე, ბ-ნი რამიშვილი ჩვეულებრივი საკინდან გადაიყვანეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის # 1 საპრობილემო ე.წ. კარცერში, რომელიც საბჭოთა პერიოდის დროს გამოიყენებოდა სიკვდილმისჯილთა განმარტოვებით სამყოფ საკანად. ბ-ნმა რამიშვილმა კარცერში 4 დღე გაატარა, რის შემდეგაც, 2006 წლის 15 იანვარს იგი დააბრუნეს ჩვეულებრივ საკანში. მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ თითქოს ბ-ნი რამიშვილი დასაჯეს მობილური ტელეფონის გამოყენებისათვის.

ბ-ნი რამიშვილის გადმოცემით, კარცერი არის 4-5 კვ. მეტრის მოცულობის საკანი, რომელიც განკუთვნილია ერთი პირის მოსათავსებლად. იგი იქ იმყოფებოდა სხვა პატიმართან ერთად.

კარცერს არ ქონდა არც ფანჯარა და არც ვენტილაცია, რის გამოც, იქ ვერ აღწევდა ვერც ბუნებრივი შუქი და ვერც სუფთა ჰაერი. კარცერი განათებული იყო მხოლოდ ერთადერთი ყვითელი ნათურით, რომელიც ანთებული იყო 24 საათის განმავლობაში. კარცერში იყო საშინელი ნესტი. წყალი მოდიოდა შეუწყვეტლივ და მისი ხმა ისმოდა 24 საათის განმავლობაში. კუთხეში მდებარე ვიწრო ხვრელი, რომელიც მდებარეობდა საწოლიდან ერთ მეტრში, წარმოადგენდა “საპირფარეოს”. ხვრელის სივიწროვის გამო პატიმრისთვის რთული იყო შარდისა და ფეკალური მასების ხვრელში განთავსება. არ არსებობდა გამყოფი ტიხარი აღნიშნული „საპირფარეოს“ საკნის დანარჩენი ნაწილისგან განსაცალკევებლად. ვინაიდან კარცერში ორი პიროვნება ერთად იმყოფებოდა, ერთი ვალდებული იყო ესარგებლა “საპირფარეოთი” მეორეს თანდასწრებით. ყოველივე აღნიშნულის გამო, კარცერი

უკიდურესად ჭუჭყიანი და არაჰიგიენური ადგილი იყო და სავსე იყო ტარაკნებითა და თაგვებით. კარცერში მუდმივად განავლის სუნი იდგა.

მიუხედავად ძალიან მცირე ფართისა, რამიშვილს რამდენიმე დღის განმავლობაში კარცერის სხვასთან გაზიარება უწევდა. აღნიშნულის გამო, მას საშინელი დისკომფორტი ექმნებოდა. ერთის მხრივ, იმის გამო, რომ არ არსებობდა “საპირფარეშოსა” და საკნის დანარჩენი ნაწილის განმაცალკეველი ტიხარი და, მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ საკანში სულ ერთი საწოლი იყო (აღნიშნული საწოლი იყო რკინის რელსებისგან დამზადებული) და იყო ძალიან ვიწრო იმისათვის, რომ დაეტია ორი ადამიანი.

ასეთ პირობებში (სუფთა ჰაერის უკმარისობა და ელემენტარული ჰიგიენური პირობების არარსებობა, წყლის მუდმივი ხმაური, 24 საათიანი განათება და მოუხერხებელი ვიწრო საწოლი) ბ-ნი რამიშვილს ძალიან უჭირდა ძილი. ამას თან ერთვოდა საპირფარეშოდან მომავალი აუტანელი სუნი და პარაზიტების დიდ რაოდენობა, რის გამოც, ბ-ნი რამიშვილი ვერ ჭამდა საკვებს, რომელიც მისი თქმით, ბევრად უარესი იყო, ვიდრე საკვები ჩვეულებრივ საკანში.

კარცერში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ბ-ნი რამიშვილი არასდროს გაუყვანიათ ყოველდღიური გასეირნებისათვის ეზოში. იგი არ მოუნახულებია ექიმს და არც არავის უზრუნია მის ჯანმრთელობაზე.

2006 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 11 სათზე რაღაც მომწამლავემა სუნმა შეაღწია კარცერში, სადაც ბ-ნი რამიშვილი და მისი თანამოსაკნე იმყოფებოდნენ. (მოგვიანებით, ხელმძღვანელობის განმარტებიდან გაირკვა, რომ აღნიშნული სუნი გამოიწვია მატრასის დაწვამ გვერდზე საკანში). კარცერში ვინტილაციის არარსებობის გამო, იგი წუთიერად გაივსო კვამლით. ნახევარი საათის განმავლობაში ბ-ნი რამიშვილი და მისი თანამოსაკნე ხმამაღლა აბრახუნებდნენ კარცერის კარებზე, თუმცა მათ დასახმარებლად არავინ მოსულა. ნახევარი საათის განმავლობაში ბ-ნი რამიშვილი და მისი თანამოსაკნე ფიზიკურად იტანჯებოდნენ - სუნთქავდნენ კვამლს, ეცრემლებოდათ თვალები, უჭირდათ სუნთქვა და იდგნენ სიკდილის საშიშროების წინაშე, რაც მათში იწვევედა განრისხებას.

საბოლოო ჯამში, დაცვამ გაალო კარცერის კარი და ორივე გამოუშვა გარეთ სანამ კვამლი არ გაეიდა. შემდეგ დილას, 2006 წლის 15 იანვარს მას შემდეგ, რაც საინფორმაციო საშუალებებმა გააშუქეს მომხდარი ფაქტი, ბ-ნი რამიშვილი დააბრუნეს ჩვეულებრივ საკანში.

ევროპული კონვენციის მთელი რიგი მუხლების (მესამე მუხლის ჩათვლით) უხეში დარღვევის გამო, საქმე გაიზარდა აღმნიანი უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. სასამართლომ უკვე მიიღო არგუმენტები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

## ფაქტები:

### დაკავებულითა ცემის ფაქტების სიჭარბე

14 იანვარს ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულებაში ნაცემი გონა ფაცურის მდგომარეობას სოზარ სუბარი წამებდა აფასებს. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, პატიმარი ცინის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ, თუმცა გონა ფაცურია დღესაც ნომერ პირველ საპრობილემო იმყოფება.

ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ სახალხო დამცველის მოადგილეობიდან მოვიდა. მისი ომბუდსმენის აპარატში მუშაობა საზოგადოებას ციხეებში პატიმრების ცემისა და წამების ფაქტების გამოაშკარავებით და ამ სისტემის ხელმძღვანელობის კრიტიკით დაამახსოვრდა. იგი მუდმივად აკრიტიკებდა სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ყოფილ შეფს, შოთა კობახიას. შოთა კობახის თანამდებობა მან ერთი თვეა რაც დაიკავა. ამ ხნის მანძილზე, ციხეებში მოშიშნულ პატიმრების ცემის ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატი დუმდა. პირველი კომენტარი პატიმრის ცემის ფაქტზე, რომელიც წამებდა შეფასდა, სოზარ სუბარმა გონა ფაცურიას ნახვის შემდეგ გააკეთა. როგორც ნაცემი პატიმარი აცხადებს, სპეცნაზმა იგი ორჯერ - ჯერ ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულებაში, შემდეგ კი

ქსნის მეორე კოლონიაში ცემა.

„მოლიანობაში ეს ორი ცემა მე შევაფასე როგორც წამება და თუ დადასტურდა, რომ გონა ფაცურია ორჯერ არის ნაცემი, გამოძიებას იურიდიულად სხვა დეფინიციის მოძებნა გაუჭირდება. მას მძიმე დაზიანებები ჰქონდა სახეზე, სხეულზე, ფაქტიურად ყველგან. რეკომენდაცია გავუწიე პროკურატურას, რომ გამოძიოს ეს ფაქტი და კონკრეტული დამნაშავე პირები გამოავლინოს“,- ამბობს სოზარ სუბარი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმაციით, გონა ფაცურიას მხრიდან ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევას. მას ჰქონდა ე.წ. „შტირი“, იყო ნასვამ მდგომარეობაში და აყენებდა შეურაცყოფას ადმინისტრაციას. ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს პატიმრის ოჯახი. გონა ფაცურიას ცემა მისი დის თანდასწრებით მოხდა. თეა ფაცურიას თქმით, ოთახიდან ჯერ მოტყუებით გონას ედგა გაიყვანეს, შემდეგ კი სპეცდანიშნულების რაზმის წევრები შემოვარდნენ და პატიმარს ცემა დაუწყეს. გონა ფაცურია დისა და ორი მცირეწლოვანი დისშვილის თანდასწრებით სასტიკად სცემეს.

„ჩემ თვალწინ სცემა სპეცნაზმა. მერე გაიყვანეს და, რამდენადაც მე ვიცი, გადაიყვანეს წინა ზონაში, კარცერში და იქ სცემეს კიდევ. ტელეფონზე ვერ ლაპარაკობს თვითონ. ღამის 3-4 საათი იქნებოდა დაგვირეკეს და გვითხრეს - ნუ გემინიათ

ცოცხალია უბრალოდ ვერ დაგელაპარაკებთ დან მაგარი ნაცემიაო“, - ამბობს თეა ფაცურია.

პატიმრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგის საბჭოს წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ. მათი განცხადე-

ბით, გოჩა ფაცურიას მდგომარეობა ძალიან მძიმეა და იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უნდა იქნეს გადაყვანილი. მიუხედავად მრავალი რეკომენდაციისა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია პატიმრის მკურნალობაზე უარს აცხადებს.

## 7. გამოძიება, დაცვა და კომპენსაცია (წამების საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლები 12-14 )

### 7.1. გამოძიება (მუხლი 12&13)

სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ხელისშემშლელი პირობა „დაუსჯელობის სინდრომი“ - პოლიციის თანამშრომლები საკუთარ თავს ხელშეუხებლად მიიჩნევენ. ისინი აგრძელებენ ერთმანეთის დაცვას და ამ სოლიდარობის აღსაკვეთად ჯერ-ჯერობით არაფერი დანერგვია. თუმცა, ამ სფეროში ციფრები აშკარად არასანდოა. დარწმუნებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ გამოძიებისა და საქმის წარმოების ინციფიციუა გაცილებით მცირეა ვიდრე წამების შემთხვევების ყველაზე ზომიერად დადგენილი რიცხვი.

დამტკიცებულია, რომ 2004 წელს სასტიკი მოპყრობის 1000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ მხოლოდ 12-ზე აღიძრა საქმე და 6 დამნაშავე დაისაჯა. ამასთან დაკავშირებით, 28 ოქტომბერს თბილისის ბიზნეს ფორუმზე სააკაშვილის გამოსვლა საკმაოდ განსაკვიფრებელი იყო: „მე ამაყი ვარ, რომ რეგიონში პირველი ქვეყანა ვართ, სადაც ხალხს აღარ ცემენ და აწამებენ, სადაც პოლიცია დანაშაულს აღარ სჩადის“.

#### შინაგან საქმეთა სამინისტრო სჯის დამნაშავე პოლიციელებს<sup>71</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიხედვით, გამოძიება ჩატარდა წამების რამდენიმე შემთხვევაზე.

1) 2003 წლის 19 დეკემბერს გიორგი ინასარიძის თავის ჩამოხრჩობის შედეგად დროებითი დაკავების იზოლატორის სამორიეო განყოფილების მორიგე, პოლკოვნიკი რობიზონ დულაძე და იზოლატორის დაკავების ვეჯუფის სხვა პოლიციელები, უმცროსი სერჟანტი ფრიდონ პატარიძე, რიგითი შენგელი მამულაშვილი გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. პოლიციის მაიორი კახაბერ თარუვიშვილი, იზოლატორის უფროსი დააქვეითეს. ყველა მტკიცებულება და მასალა, გამოძიების დასკვნების ასლების

71 „მედილა ნიუსის“ ინფორმაცია იხ.: [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)



ჩათვლით, გაგზავნილ იქნა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში კანონიერი გადახედვისთვის. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული.

2) 2004 წლის 23 მაისს ხვიჩა კვიციანიშვილის სიკვდილთან დაკავშირებით, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, შსს გლდანი-ნაძალადევის განყოფილების შესამე ქვეგანყოფილების ინსპექტორი, როლანდ მინაძე გათავისუფლდა სამინისტროდან. იმავე ქვეგანყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი იური მიქანაძე, დაქვეითდა. ასევე კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილემ, უფროსმა ლეიტენენტმა, პაატა ტატუნაშვილმა და კრიმინალური საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა, მაიორმა, ჯემალ სანაიაძემ მიიღეს მკაცრი გაფრთხილება. ყველა მასალა, გამოძიების დასკვნის ჩათვლით, გადასახედად გადაეგზავნა თბილისის პროკურატურას. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული.

3) 2004 წელს გიორგი ლობჯანიძემ, რომლის წამება ექსპერტებმა დაადასტურეს, უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე და არც პროტოკოლს მოაწერა ხელი. გამოძიებასთან დაკავშირებული მასალა არაა შეტანილი საქმეში.

4) წყალტუბოში 2004 წლის 19 მარტს გოჩა ჯანელიძეზე აღნიშნული დაზიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც პოლიციის თანამშრომლების მიერ იყო მიყენებული, რეგონულმა სასამართლომ უარი განაცხადა საქმის აღძვრაზე, რადგან ეს უკანონო ქმედებად არ მიიჩნია.

5) 2004 წელს ბონდო თუთაშვილის განცხადებით, პოლიციას მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. აქედან გამომდინარე, მას არანაირი პრეტენზია არ გააჩნია მათ მიმართ.

6) 2004 წლის 10 ივნისს აკაკი აბზიანიძის მიმართ აღძრული საქმე გადასახედად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა.

2004 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაჩნდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი.<sup>72</sup> აღნიშნული ინსტიტუტი უფლებას აძლევს მოსამართლეს, გამოიტანოს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე, პროკურორსა და ბრალდებულს შორის ბრალის ან სასჯელზე (ბრალის აღიარების გარეშე) შეთანხმების შემთხვევაში. აღნიშნული ინსტიტუტის შემოღების შემდეგ ეს უკანასკნელი იქცა ბრალდებულებისგან ქონების (ფულის) უკანონო გამოძალვისა და წამებაში ეჭვმიტანილთა სისხლის

72 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის L.XIV<sup>1</sup> თავი.

სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალებად. საპროცესო შეთანხმების არსებულება ინსტიტუტი გააკრიტიკეს როგორც ადვოკატებმა, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებმა.<sup>73</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისტემის სამართლებრივი კონსტრუქცია არ ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ თანხის გადახდას, როგორც პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს, პრაქტიკაში მხარეები ასევე თანხმდებიან თანხაზე, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. თანხა შეტანილ უნდა იქნეს ან სახელმწიფო ბიუჯეტში (თუკი ზიანი სახელმწიფოს მიაღება) ან ე.წ. “საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავ ორგანოთა განვითარების ფონდში”, როგორც ნებაყოფლობითი შესაწირი.<sup>74</sup> უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული თანხები არ აისახება სასამართლო განაჩენში, რომლითაც მტკიცდება საპროცესო შეთანხმება, რაც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, განარჯოს აღნიშნული თანხები საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ერთერთი სერიოზული ხარვეზი დაზარალებულთან მიმართებაში ის არის, რომ საპროცესო შეთანხმების მიღწევას არ ესაჭიროება დაზარალებულის თანხმობა. დაზარალებულს მიღწეული “საპროცესო შეთანხმების” გასაჩივრების უფლებაც კი არა აქვს.

73 იხილეთ Human Rights Watch, “წამების ბუნდოვანი რეფორმა”, 2005 წლის 11 აპრილი და დოკუმენტი # 10383, ევროპის საბჭოს კომიტეტის ანგარიში (მონიტორინგის კომიტეტი) წევრი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, თანამომხსენებლები ბნ-ი იორში დაბ ნ-ი კირილოვი. 2005 წლის 24 იანვარს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ ტექსტი (პირველი სხდომა) (პარაგრაფები 48-50): “თანამომხსენებლებს მაინათ, რომ საქართველოში მოქმედი საპროცესო შეთანხმების სისტემის თავისებურებანი, განსაკუთრებით კი კი ფინანსური კომპონენტის შემოღება და აშკარა უკანონო მეთოდი ზოგ საქმეებზე ამ პრინციპის გაერცელებისა და ზოგ საქმეებზე არა, შეუსაბამოა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან. შესაბამისად მომხსენებლები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ და სერიოზულად გადახედონ “საპროცესო შეთანხმების არსებულ სისტემას”, რათა აღნიშნული ინსტიტუტი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ევროპის საბჭოს პრინციპებთან”.

74 მიუხედავად იმისა, რომ ფონდებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნული ინფორმაცია ვერ მოიპოვა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესაბამის სტრუქტურებში ვაგ ზავნილი უამრავი წერილების მიუხედავად, პასუხი დღემდე არ მოსულა. შესაბამისად კითხვა იმის შესახებ ნამდვილად საჯაროა თუ არა ინფორმაცია არნიშნულ ფონდებთან დაკავშირებით და მართლა მიზნობრივად იხარჯება თუ არა ფონდის ანგარიშზე გადარიცხული თანხა კვლავ ღია რჩება.

სამწუხაროდ, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას ხშირად პროკურორები ბოროტად იყენებენ გამოძიების დროს მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. კერძოდ, როცა წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამოძიების მიერ დაშვებულია სერიოზული პროცესური შეცდომები ან ბრალდებას აქვს არასაკმარისი მტკიცებულებები თავიანთი პოზიციის გასამყარებლად, პროკურორები აყენებენ შუამდგომლობას ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ. ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულს ეძლევათ შესაძლებლობა, გათავისუფლდნენ პატიმრობიდან დროზე ადრე და, შესაბამისად, ისინი თანხმდებიან გარიგებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის თავში, რომელიც არეგულირებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, ბევრი პოზიტიური ცვლილება იქნა შეტანილი წამებასთან მიმართებაში. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ “საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირისპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს” სასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს *“უშუალოდ ბრალდებულისაგან, რომ მის მიმართ პოლიციელების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპოვებას.”* *“დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპოვების შემთხვევაში, მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი ღვევის განხორციელება”*

### მოწმეების და დაზარალებულთა დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები

დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ უკანასკნელთაგან წამებაში ეჭვმიტანილ პირთა შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღება (მათი სახელების დასახელების ჩათვლით) სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი დამატება, კერძოდ, მასში XIV<sup>1</sup> თავის შეტანა, რომელიც არეგულირებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს, შეიძლება შეფასდეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი.

მეორეს მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში ახალი დანაშაულის - მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა<sup>75</sup> - გათვალისწინება საკმაოდ სახიფათო თვით მოწმე-

75 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი, 2005 წლის 30 ივნისი.

თათვის. ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები გამოწვეულია იმით, რომ დაზარალებულებს და მოწმეებს მათთვის სამაგიეროს გადახდის გამო ეშინიათ ჩვენების მიცემის. ამის მიზეზი ასევე არის სამართალდამცავ ორგანოთა მიმართ არსებული ნდობის დაბალი ხარისხი. გამოძიებასთან თანაშრომლობის სურვილის უქონლობა არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც გამოძიებისთვის გზის აბნევის ან ამ უკანასკნელის შეცდომაში შეყვანის მცდელობა. მართლაც არანაირი საჭიროება არ იყო სისხლის სამართლის კოდექსში ზემოაღნიშნული მუხლის შეტანის, ვინაიდან კოდექსი, 370-ე მუხლით, ისედაც კრძალავდა მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემას. 371<sup>1</sup>-ე მუხლი დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს მოწმეთა და დაზარალებულთათვის, შეცვალონ პოლიციის ზეწოლის შედეგად მიცემული თავდაპირველი ჩვენება.

უმეტეს შემთხვევაში მოწმეებზე ზეწოლა, ან მათი უფლებების სხვაგვარი დარღვევა ხდება დაკითხვის პროცესში, რის გამოც, ადვოკატის დასწრება დაკითხვაზე ძალზედ მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გარანტია იქნა ჩადებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2001 წელს. 305-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

“მოწმის თხოვნით დაკითხვას ესწრება მისი ადვოკატი. ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.”

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ცვლილებისა, როცა არ არსებობს შეზღუდვა ადვოკატის დაუსწრებლად დაკითხვის ჩატარებისა, ყველანაირი გარანტია არაეფექტური ხდება.

## 7.2 რედრესი (მუხლი 14)

წამების მსხვერპლთან დაკავშირებულ ერთერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს რეპარაციის საკითხი, რომელიც მოიცავს “რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას, დაკმაყოფილებას და გარანტიებს იმისას, რომ დარღვევა შემდგომში არ განმეორდება”.<sup>76</sup> საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს რეპარაციის ამკარად გამოხატულ უფლებას, თუმცა შეიცავს კომპენსაციის მიღების გარანტიებს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით:

76 იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მიღებული გაეროს ძირითადი პრინციპები და ინსტრუქციები, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების მსხვერპლთა რეპარაციის უფლებების შესახებ. გაეროს დოკუმენტი E/CN.4/RES/2005/35, 2005 წლის 20 აპრილი.

*“ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.”*

მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს გამოხატულ უფლებას რეპარაციაზე, მისი ერთერთი დებულების<sup>77</sup> მიხედვით:

*“საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამოდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან”.*

რომც ვიგულისხმობთ, რომ რეპარაციის უფლება კონსტიტუციით გარანტირებულ პრინციპს წარმოადგენს (მისი 39-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით), იმდენად, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავს რეპარაციის გარანტიებს, ეს უკანასკნელი არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და საერთაშორისო სამართლით დადგენილ წესებს.

უფლება კომპენსაციის მიღებაზე, შეიძლება რეალიზებულ იქნეს, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართალწარმოების წესით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეოთხე თავი ეძღვნება სამოქალაქო სარჩელს სისხლის სამართლის საქმეში. პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ანდა მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი,<sup>78</sup> თუმცა საბოლოო ვაშში სამოქალაქო სარჩელის შედეგი სისხლის სამართლის საქმის შედეგზეა დამოკიდებული.<sup>79</sup> უფრო მეტიც, თუკი სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული მოთხოვნა აღარ შეიძლება დაყენებულ იქნეს სამოქალაქო

77 საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი

78 დაზარალებული გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მის უფლებამონაცვლეზე გადადის.

79 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან უარყოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეების განმხილველ სასამართლოში.<sup>80</sup> აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის დაუდგენლობა არ აბრკოლებს დაზარალებულს წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი და დააყენოს ზიანის ანაზღაურებაზე სახელმწიფოს ვალდებულების საკითხი.<sup>81</sup>

როგორც წესი, წამების მსხვერპლი დაუდგენელი რჩება, ძირითადად იმის გამო, რომ დაშინებული დაზარალებული ვერ ახდენს მის იდენტიფიცირებას. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს ბრალდებული დაუდგენლობის შემთხვევაშიც კი. კომპენსაციის მიღებაზე, სამწუხაროდ, აღნიშნული მუხლის ამოქმედება ოთხჯერ იქნა გადავადებული საქართველოს პარლამენტის მიერ. როგორც კი ახლოვდება ამ დებულების ამოქმედების დათქმული თარიღი, შეიტანება ახალი ცვლილებები, რომლითაც ისევ და ისევ იწვევს მის გადავადებას.<sup>82</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საქართველო თავს არიდებს დაზარალებულთა კომპენსაციას (წამების მსხვერპლთა ჩათვლით).

როგორც ამაზე ზევით ვისაუბრეთ, წამების მსხვერპლთა შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა რამდენადაც მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზეა, სარჩელის წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული წამების ფაქტის დამტკიცებასთან.

რეპარაციის კიდევ ერთ გარანტიას წარმოადგენს რეაბილიტაცია და კომპენსაცია სამართალწარმოების ორგანოთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის გამო. თუმცა, რეაბილიტაცია და კომპენსაცია მხოლოდ მცირედი მოცულობით წარმოადგენს რეღრესს უკანონო დაკავების ან მსჯავრდების შემთხვევაში და არ შეიძლება განიხილებოდეს წამების მსხვერპლთა ეფექტური დაცვის საშუალებად. სამართალწარმოების ორგანოთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის გამო კომპენსაციის მიღების პოზიტიური ასპექტი ის არის, რომ კომპენსაცია სავალდებულოა სისხლის სამართლის საქმის შედეგის მიუხედავად, თუმცა მოსამართლეები საბიუჯეტო შეზღუდვებზე დაყრდნობით, როგორც წესი, თავს იკავებენ შესაბამისი საკომპენსაციო თანხის მიკუთვნებაზე.<sup>83</sup>

80 იგივე პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ სამოქალაქო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

81 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

82 681-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

83 იხილეთ რედრესი - საქართველო გზავჯვარდინზე: დროა უზრუნველვყოთ სამართლიანობა და პასუხისმგებლობა წამებისათვის, 2005 წლის აგვისტო (გვ 21-23)6

## 8. აკრძალვა წამების ქვეშ გაკეთებული განცხადებების გამოყენება მტკიცებულების სახით (წამების საწინააღმდეგო კონვენციის 150ე მუხლი): პოლიცია აქტიურად იყენებს ცრუ მოწმეთა ჩვენებებს

### საქმეები:

სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებმა ცხელი ხაზის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გვაცნობეს 2005 წლის აპრილში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის, გიორგი აფხაიძის წინასწარი დაკავების საკანში ყოფნის შესახებ. ის ჰერონის ქონის გამო დააკავეს. არსებობს ეჭვი, რომ ადრე ნასამართლევი ვინმე გამყრელიძე გაიგზავნა, რათა აფხაიძისთვის ნარკოტიკი ჩაეღო.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეიტყვეს, რომ დაკავების პერიოდში ზეწოლისა და მუქარის ქვეშ მიაცემინეს ჩვენება მას. გიორგი აფხაიძის განცხადებით, მას დაკავების მომენტშიც ცემეს და საპატიმრო საკანშიც. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეამოწმეს მისი დაზიანებები და შეადგინეს აღწერილობითი მოხსენება. გარდა ამისა, მისი დაკავებისას სხვა საპროცედურო ნორმებიც დაირღვა. მას არ აცნობეს მისი უფლებების შესახებ და არ მი-

ცეს უფლება გამოეძახა ადვოკატი, საბიუჯეტო ადვოკატი იქნა დანიშნული და ისიც მხოლოდ პირველ დაკითხვას დაესწრო.

რამოდენიმე დღის შემდეგ მამუკა სონდულაშვილმა, თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავჯდომარემ, მხედველობაში არ მიიღო დაკავების პროცესში დაშვებული შეცდომები და გიორგი აფხაიძეს მიუსაჯეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. მიუხედავად სამართალდამცველთა ყალბი ჩვენებებისა და მსგავსი უკანონო მოქმედებებისა, რომელთა საფუძველზეც იქნა წარმართული საქმე, პოლიციის თანამშრომლებმა სცადეს საქმის გამარტივება ამ სახით, მაგრამ ისინი არ დასჯილან.

**ყალბი ჩვენების გამო დაპატიმრებული ფანჩულიძე**

22 წლის დათო ფანჩულიძე ერთი წელია 17 წლის გოგა ფანჩულიძის მკვლელობის ბრალდებით არის დაპატიმრებული. მკვლელობა მოხდა 2004 წლის

21 აპრილს. მას ბრალი მოწმის ჩვენების საფუძველზე წაუყენეს. ჩვენების მიცემიდან ერთი დღის შემდეგ მოწმემ მიმართა სახალხო დამცველის ოფისს და განაცხადა, რომ ჩვენება ფიზიკური და მორალური ზეწოლის ქვეშ მისცა და რომ მას არაფერი დაუნახავს. «პოლიციამ მაიძულა ყველაფრის დაწერა, ისინი მცემდნენ და მაიძულებდნენ დაძვეწერა, თითქოს დაინახე როგორ დაჭრა დათომ გოგა დანით და მერე გაიქცა. მე ქორწილი, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, ადრე დატოვე და არაფერი დამინახავს»- თქვა შოთა მეფარიძემ.

მოწმის ფიზიკური ზეწოლის ფაქტი სამედიცინო ექსპერტიზის კომისიამ დაამტკიცა.

შოთა მეფარიძის ჩვენების მერე ფანჩულიძემ დააპატიმრეს. ეჭვიმტანილის დედამ განაცხადა, რომ მესამე დღეს მისმა შვილმა დაურეკა: «ერთ-ერთმა პოლიციელმა მისცა მას უფლება დაერეკა. მათ დაინახეს, რომ ეს მისი ბოლო სიტყვები იქნებოდა ოჯახთან. დათომ ტირილით დამირეკა, «დედა მკლავენ, ადვოკატი ამიყვენიო!»

მომდევნო დღეს, ადვოკატმა სთხოვა სამედიცინო შემოწმება ჩატარებინა, მაგრამ გამომძიებელმა არ მიცა უფლება. მხოლოდ სახალხო დამცველის დახმარებით ჩატარდა შემოწმება. ექსპერტიზამ აჩვენა სასტიკი ფიზიკური ზეწოლის ნიშნები. მას სერიოზული დაზიანება ჰქონდა თავზე, რაც ეპილეფსიის განვითარებას იწვევს. მიუხედავად ფიზიკური ზეწოლისა, პოლიციამ მაინც ვერ მიიღო აღიარება.

ადვოკატმა დალი სულაქველიძე გამოძიების პროცედურაში დაშვებულ საგანგაშო შეცდომებზე ისაუბრა. ის აცხადებს, რომ პოლიცია იმ რწმენით მუშაობს, თითქოს დათო ფანჩულიძემ დაჭრა გოგა და გაიქცა. ის აცხადებს, რომ გამოძიებამ მხედველობაში არ მიიღო მნიშვნელოვანი ფაქტები და არ სცადა ნამდვილი მკვლელის პოვნა. «ქორწილზე ხუთი ჩხუბი მოხდა. სიკვდილამდე გოგა ფანჩულიძემ თქვა, რომ ის გაშველების დროს დაიჭრა, რასაც ნათესავიც ადასტურებს.»

სამართალდამცავების მხრიდან ამ საკითხზე კომენტარის მიღება შეუძლებელი გახდა. თერჯოლის რაიონის პოლიციის უფროსი თემურ ისაკაძე თანამდებობიდან გათავისუფლებულია. მას რაიონში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტის დაფარვას ედავებიან. თანამდებობიდანაა გათავისუფლებული გამომძიებელი მამუკა ხითარიშვილიც. სამხარეო პროკურატურა კი რომლის ფუნქციებშიც ამ საქმის ზედამხედველობა შედის კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

ის პირნი ვინც დავით ფანჩულიძის საქმის გამოძიებაში მონაწილეობას ღებულობდა თანამდებობებზე აღარ არიან, დავით ფანჩულიძე კი საპრობილეში ჯანმრთელობაშერყეული ძლიერმოქმედი წამლებით მკურნალობს და სიმართლის დადგენას ახლა სასამართლოსგან ელის. მას იმედი აქვს რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს მის სასამართლო პროცესზე.



## რეკომენდაციები

### არასამთარობო ორგანიზაციათა კოალიცია წევრ სახელმწიფოს უწევს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალური სახელშეკრულებო ორგანოების მიერ უკვე მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების სრული და ეფექტური შესრულება.
2. ცვლილება შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებში და შესაბამისობაში მოიყვანოს ეს უკანასკნელი გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის 1 მუხლთან, კერძოდ კი, ასახოს აღნიშნულ დებულებებში წამების დანაშაულის ის სპეციფიკური, ბუნება, რაც კონვენციის პირველ მუხლით არის გადმოცემული. გაზარდოს 144(3) მუხლით გათვალისწინებული სანქცია;
3. ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი საპოლიციო ომბუცმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოს მისი მიუკერძოებელი ფუნქციონირება;
4. წარმოადგინოს სტატისტიკა სამართალდამცავთა მიერ თვითნებურად, გადამეტებული ძალის გამოყენებით ჩატარებული ოპერაციების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ და დაუყოვნებლივ დაიწყოს ასეთ ფაქტებზე სრული და მიუკერძოებელი გამოძიება.
5. უზრუნველყოს, რომ გენერალურმა პროკურორმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მუდმივად მიაწოდონ საზოგადოებას განახლებული ინფორმაცია და შეადგინონ სტატისტიკა დაკავებულთა და წამების ფაქტების შესახებ შემოსულ საჩივართა შესახებ, ისვე როგორც ამ საჩივართა საფუძველზე დაწყებული გამოძიებებისა და რეალური შედეგების თაობაზე;
6. მიიღოს გადაამჭრელი ზომები სამართალდამცავ მაღალჩინოსანთა მხრიდან სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად და, დამნაშავეთა დასჯის მიზნითა და დაზარალებულთა უფლებების ეფექტური დაცვის მიზნით, უზრუნველყოს წამების ფაქტებთან დაკავშირებით შემოსულ საჩივრებზე გადაუდებელი, ამომწურავი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გამოძიების წარმოება.

7. უზრუნველყოს დაუყოვნებლივი, სრული რეპარაცია და კომპენსაცია სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი წამების, სასტიკი, არაადამიანური და სხვა დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლთათვის.
8. დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ე.წ. “ადგილზე ლიკვიდაციის პოლიტიკა” და, დამნაშავეთა დასჯის მიზნით, დაწვრილებით გამოიძიოს სამართალდამცავთა მონაწილეობით განხორციელებული თითოეული ასეთი შემთხვევა.
9. უზრუნველყოს ყველა ღონისძიების გატარება იმისათვის, რომ საპატიმრო პირობები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორც ამას მოითხოვს პატიმრობაში მყოფ პირთა მოპყრობის შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, დაკავებულთა თუ სვაგვარად თავისუფლებაზეზღუდულ პირთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, უკანონო და თვითნებური სიცოცხლის ხელყოფის ეფექტური პრევენციისა და გამოძიების პრინციპები და პატიმართა მოპყრობის შესახებ ძირითადი პრინციპები.
10. უზრუნველყოს, რომ თავისუფლებაზეზღუდულ პირებს პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში შეეძლოთ დამოუკიდებელი ექიმის მომსახურებით სარგებლობა. შესაბამისად, ცვლილება შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსის 73(1) და 145(6) მუხლებში იმისათვის, რომ სამედიცინო მომსახურებამ სავალდებულო ხასიათი შეიძინოს.
11. მოუწოდოს სასამართლო ხელისუფლებას, უფრო ხშირად გამოიყენონ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებს.
12. ცვლილება შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსის LLXIV თავში, და განსაზღვროს ის დანაშაულები (წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ჩათვლით), რომელზედაც აიკრძალება საპროცესო შეთანხმების დადება.

**ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია წევრ სახელმწიფოს უწევს შემდეგ რეკომენდაციებს:**

1. ჩამოაყალიბოს ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებასკენ მიმართული და არსებული სტერეოტიპების დარღვევის მიზნით, ქალთა და მამაკაცთა საზოგადოებრივი როლის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამები. ეს უნდა მოიცავდეს განვითარების პროგრამების

(ათასწლეულის განვითარების მიზნები, სიღარიბის დაძლევის სტრატეგია) დაგეგმარებასა და განხორციელებაში შესაბამისი გენდერული საკითხების ჩართვას.

2. შეიმუშავოს გენდერული თანასწორობის შესახებ ეროვნული კონცეფცია, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, ხოლო ამ უკანასკნელმა სამართლებრივად უნდა განამტკიცოს გენდერული თანასწორობის ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრუქტურები.
3. უზრუნველყოს ტრენინგებისა და ოჯახური ძალადობის შესახებ (გაუპატიურება ოჯახში, ინცესტი, ფსიქოლოგიური ძალადობა, კიდნეფინგი) შესაბამისი კანონების მიღება, რაც აგრეთვე მოიცავს პრევენციულ და დამცავ მექანიზმებს, მათ შორის, თავშესაფრებს მსხვერპლთათვის.
4. უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ტრენინგების ჩატარება პოლიციისა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულების წარმომადგენლების, მოსამართლეების, გამოძიებლების, ჯანდაცვის მუშაკებისა და გენდერული ძალადობის აღმოფხვრის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული პირების მონაწილეობით. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ქალის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.
5. უნდა შეიქმნას გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შექმნამდე, ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრის მოადგილის დაქვემდებარებაში არსებულ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიასა და გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს შორის უნდა მოხდეს ამ სამინისტროს კომპეტენციათა ეფექტური გამიჯვნა და ამ ორგანოებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს კონსტრუქციული თანამშრომლობა.
6. ქალთა უფლებების დაცვის შესახებ ნათარგმნი საერთაშორისო დოკუმენტები უნდა გავრცელდეს და ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის.
7. საერთაშორისო დოკუმენტებისა და სტანდარტების (რომის სტატუტი, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325) თანახმად, იძულებით გადაადგილებული ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კანონმდებლობაში შეტანილ უნდა იქნეს აუცილებელი ცვლილებები.

## არასამთავრობოთა კოალიციის რეკომენდაციები სახელმწიფოს ბავშვთა უფლებების შესახებ:

1. კანონმდებლობის შეცვლა წამების და სხვა ძალადობრივი ქმედებების შესახებ ბავშვი მსხვერპლის სასარგებლოდ;
2. საკანონმდებლო მექანიზმების გაძლიერება, რომელშიც მოცული იქნება სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა, ტრეფიკინგი და ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია;
3. შესაბამისი კანონმდებლობის და მექანიზმების შექმნა, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბავშვთა მიმართ ძალადობა და მოხდეს ბავშვთა უფლებების სრულყოფილი დაცვის უზრუნველყოფა (იხ. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის კანონპროექტი) განსაკუთრებით - ა) შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამომწურავი სტრატეგია, რათა ხელი შეეწყო და დავამარცხოთ ოჯახური ძალადობა და ძალადობის სხვა ფორმები, მათ შორის, ბულინგი (შარიანობა) სკოლებში; შეიქმნას საკონსულტაციო და დამხმარე სერვისები ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვისთვის; ბ) კანონით აიკრძალოს ფიზიკური ძალადობა ოჯახში და ყოველგვარი ძალის გამოყენება, მათ შორის, ფიზიკური დასჯა, სკოლებში და ინსტიტუტებში პოზიტიური, არამალისმიერი დისციპლინის მეთოდების ხელისშეწყობით, განსაკუთრებით, ოჯახში სკოლებში და მზრუნველობით ინსტიტუტებში;
4. მიღებულ იქნას კონკრეტული ზომები, რომ ძალადობის მსხვერპლმა ბავშვებმა განაცხადონ ძალადობის შემთხვევების შესახებ და შეიქმნას პროფესიონალთა ჯგუფები, რომლებიც მოახდენენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შემთხვევების გამოძიებას;
5. გრანტირებული იქნას ბავშვთა აბსოლუტური დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან, წარმოედეს შესაბამისი დაკითხვა, გამოძიება და დამნაშავეთათვის განაჩენის გამოტანა, ასევე უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი მზრუნველობითი, სარეაბილიტაციო და საკომპენსაციო საშუალებები ყველა მსხვერპლი ბავშვისთვის.

## დანართი 1: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

### საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს არ აქვს ცალკე კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შეტანილ იქნა 2003 წლის 6 ივნისს. ცვლილებების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით, დანაშაულად მიიჩნევა ადამიანით ვაჭრობასა (ტრეფიკინგი) და არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის თანახმად:

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის “ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით თუ მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით”.

ამ დანაშაულის მიზანი, პაღერმოს ოქმში მოცემული განმარტების მსგავსად, არის ადამიანის ექსპლუატაცია. თუმცა ტერმინს “ექსპლუატაცია” სხვანაირად განმარტავენ. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ექსპლუატაციად ჩაითვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გაღანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით.

როგორც ხედავთ, ექსპლუატაციის განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არ მოიცავს ისეთ დანაშაულებს, რომლის დროსაც ადამიანი იმყოფება მონობაში ან მონობის მსგავს მდომარეობაში. მონობის კლასიკური განმარტების ნაცვლად, საქართველოს კანონმდებლობა იყენებს ტერმინს “მონობის თანამედროვე პირობები”, რაც გულისხმობს ადამიანისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შექლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შეიძლება ჩაღნიილ იქნას იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით. ამასთან, კოდექსი მოიცავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩაღნიის სხვა საშუალებებს, ცნობილს როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის დამამძიბელ გარემოებებს. იგივე ქმედება, ჩაღნიილი:

- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

- სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

- წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულების მიმართ.

იგივე მუხლი შეიცავს შემდეგ დამატებით დამამძიბელ გარემოებებს:

ა) არაერთგზის;

ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

დ) დაზარალებული საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებაში მითითებული ისეთი ქმედებები, როგორიცაა - ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება – არ არის მოხსენიებული პალერმოს ოქმის განმარტებაში. ნაცვლად ამისა, ზემოთაღნიშნული ქმედებები პალერმოს ოქმის განმარტებაში შემდეგნაირად არის ფორმულირებული: “სხვა პიროვნებაზე კონტროლის მქონე ადამიანის დათანხმება ფულადი ანაზღაურებით ან სხვა სახის (მისთვის სარგებლის მომტანი) საშუალებით”, რაც ადამიანის ყიდვის ან გაყიდვის განმარტების იდენტურია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება იმეორებს პალერმოს ოქმის განმარტებაში არსებულ ხარვეზებს. კერძოდ, ქართულმა კანონმდებლობამ პალერმოს აქტიდან გადმოიტანა ისეთი ტერმინები, როგორიცაა “პროსტიტუციაში ჩაბმა” და “სექსუალური ექსპლუატაცია”, რომლებსაც არც საერთაშორისო და არც შიდა კანონმდებლობა არ განმარტავს. სა-

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩადენა ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით, ხუთიდან თორმეტ წლამდე, თუ დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში არ არის ჩადენილი. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენის შემთხვევაში, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით, რვიდან თხუთმეტ წლამდე. თუ იგივე დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისევეა თორმეტიდან ოც წლამდე.

მართალია, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) დასჯადია, საქართველოს კანონმდებლობა მაინც შორს არის სრულყოფილებისგან ამ სფეროში. რათა შეიქმნას ეფექტური საკანონმდებლო ბაზა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად, აუცილებელია შემუშავდეს ცალკე სრულყოფილი კანონი, რომელიც შექმნიდა ტრეფიკინგის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო და ორგანიზაციულ ბაზას, დაადგენდა სახელმწიფო უწყებების, საჯარო სამსახურებისა და მოსამსახურეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების დროს, ამ ღონისძიებების კოორდინირების წესებს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ სტატუსს და მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

ასეთი კანონპროექტი უკვე მოამზადა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ერთობლივი მუშაობით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობაც ეხება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს კანონპროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვას და საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოჰყავს გაეროს ზემოთხსენებულ ოქმთან და შესაბამის საერთაშორის სამართლებრივ სტანდარტებთან.

## საქართველო და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტი (TVPA)

1990-იანი წლებიდან ტრეფიკინგი საქართველოს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად იქცა. ბოლო დროს გამოქვეყნებული სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, საქართველოდან ემიგრაციაში მყოფ ადამიანთა რაოდენობა მილიონს აღწევს 5 მილიონიანი მოსახლეობიდან. ამ მილიონიდან ათასობით ადამიანი საზღვარგარეთ ჩართულია იძულებით შრომასა და პროსტიტუციაში. ტრეფიკინგის სფეროში საქართველო ითვლება არამართო ტრანზიტულ ქვეყნად, არამედ ადამიანით

ვაჭრობის წყაროდაც. ქვეყნის შიგნითაც იზრდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა, განსაკუთრებით არასრულწლოვნებით ვაჭრობაში.

2005 წლის ივნისში აშშ-ის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმად, საქართველომ მე-3 რიგის ქვეყნიდან მე-2 რიგში გადმოინაცვლა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული მიღწევების მიხედვით.<sup>84</sup> აშშ-ის დეპარტამენტი ქვეყნებს სვამს ერთ-ერთში ამ სამ რიგთაგან. ის, თუ ქვეყანა რომელ რიგში მოხვდება, დამოკიდებულია იმაზე, თუ მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები რამდენად ეფექტურია. აშშ-ის დეპარტამენტი პირველ რიგში აფასებს იმას, ასრულებს თუ არა მოცემული ქვეყანა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის მინიმალურ სტანდარტებს ტრეფიკინგის პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. ქვეყნები, რომლებიც ასრულებენ, ხვდებიან პირველ რიგში. სხვა დანარჩენი ქვეყნის შემთხვევაში კი, აშშ-ის დეპარტამენტი ადგენს იმას, თუ რა ზომები მიიღო ამა თუ იმ სახელმწიფომ მოცემული მინიმალურ სტანდარტებთან მიახლოების საქმეში.

იმ ქვეყნებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ამ დარგში, იკავებენ მეორე რიგს. ის ქვეყნები კი, რომლებსაც ასეთი მიღწევები არ აქვთ, იკავებენ ხვდებიან მესამე რიგში. საბოლოოდ, იქმნება სპეციალური მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მეორე რიგის ქვეყნების სია, რომელშიც მეორე რიგიდან ზოგიერთი ქვეყანა ხვდება. მესამე რიგის ქვეყნებს კი შეიძლება დაენიშნოთ კონკრეტული სანქციები. ასეთ ქვეყნებს აშშ-მ შეიძლება შეუწყვიტოს არაჰუმანიტარული, ან არასავაჭრო სახის დახმარება. ის ქვეყნები კი, რომლებიც ასეთ დახმარებას საერთოდ არ იღებენ, შეიძლება შეუწყდეთ დაფინანსება საგანმანათლებლო და კულტურულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის შესაბამისად, აშშ-ის დეპარტამენტმა შეიძლება მხარი არ დაუჭიროს ამ ქვეყნებისთვის დახმარების გაწევას იმ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მრავალმხრივი განვითარების ბანკებისგან, როგორცაა მსოფლიო ბანკი, (გარდა ჰუმანიტარული, სავაჭრო ურთიერთობებთან და განვითარებასთან დაკავშირებული დახმარებისა). საქართველოს მთავრობა სრულად არ ასრულებს არსებულ მინიმალურ სტანდარტებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის საქმეში, თუმცა მნიშვნელოვან ზომებს იღებს მათთან მისაახლოებლად.<sup>85</sup>

84 აღმნიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ანგარიში – ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული – 2005წ. 3 ივნისი, III თავი, ქვეყნების მოთავსება რიგების მიხედვით

85 აღმნიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ანგარიში – ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და მონიტორინგის აშშ-ის სამსახურის მიერ გამოცემული – 2005წ. 3 ივნისი, III თავი, ქვეყნების მოთავსება რიგების მიხედვით



**სტატისტიკური მონაცემები:**

გენერალური პროკურატურა 2003-2004:

25 დაპატიმრებული ადამიანიდან 19 ქალია, 6 - კაცი

29 ბრალდებულიდან 21 ქალია, 8 - კაცი

66 მსხვერპლიდან 62 - ქალია (აქედან 11 - ქალი 18 წლის ასაკს მიუღწეველი - არასრულწლოვანია),  
1 - კაცი და 3 - ბავშვი

სასამართლოში არსებული საქმეები: 8

სამართლებრივი დევნა გამოცხადებული: 12

გასამართლებულ და დაპატიმრებული პირთა რაოდენობა: 3

გენერალური პროკურატურა 2005:

დაპატიმრებულ პირთაგან 6 ქალია, 2 - კაცი

14 ბრალდებულიდან 11 ქალია, 3 - კაცი

12 მსხვერპლი: 7 ქალი, 4 კაცი და 1 ბავშვი

შინაგან საქმეთა სამინისტრო 2005:

აღძრულ საქმეთა რაოდენობა: 15. აქედან, 9 - ქალთა ტრეფიკინგი საზღვარგარეთ: 3 – ბავშვთა; 2 – პროსტიტუციაში ჩაბმულ არასრულწლოვნები; 1 – კაცთა შრომითი ექსპლუატაცია.

ბრალდებულ პირთა რაოდენობა – 20

დაპატიმრებულ პირთა რაოდენობა – 12

ამ სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებით, შეგვიძლია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება.

ბრალდებულ პირთაგან 75% - ქალია;

მსხვერპლთაგან 91% - სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩაბმული ქალია;

დანაშაულთა 45% ორგანიზებულია თბილისში;

ბრალდებულთაგან ყველა უმუშევარია;

ზემოთხსენებულ სისხლის სამართლის დანაშაულები ორგანიზებული დანაშაულის ნაწილს წარმოადგენენ.

### **ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2005-2006)**

2005 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2005-2006) და ამ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად შეიქმნა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური უწყებათაშორისი კომისია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში. კომისიის ძირითადი მიზნებია:

- ა) ეფექტური ანტიტრეფიკინგული ღონისძიებების შესახებ წინადადებების შემუშავება, ტრეფიკინგის ხელშემწყობი ფაქტორების შემცირების გზების შექმნა და ამ წინადადებების საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის წარდგენა;
- ბ) პრეზიდენტისთვის წინადადებების წარდგენა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის საერთაშორისო შეთანხმებების გამოყენების შესახებ 2005-2006 ანტიტრეფიკინგული სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- გ) ტრეფიკინგთან დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებისა და შეთანხმებების სრული სიის მომზადება უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარსადგენად, ასევე წინადადებების შემუშავება ამ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან მიერთების მიზანშეწონილობის თაობაზე;
- დ) ანალიტიკური ხასიათის ანგარიშების მომზადება სამუშაოს მაძიებელი ქართველი მიგრანტებისა და მათი უფლებების მდგომარეობაზე უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარსადგენად; წინადადებების შემუშავება მიგრანტების პირობების გასაუმჯობესებლად;
- ე) ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მჭიდრო თანამშრომლობით არასამთა-

ეროლო სექტორთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან (რომლებიც ტრეფიკინგის საკითხებზე მუშაობენ), რათა შემუშავებულ იქნას ერთობლივი წინადადებები პრეზიდენტთან წარსადგენად;

ვ) პრეზიდენტისთვის წინადადებების წარდგენა უკანონო შრომით ემიგრაციასთან, ასევე ანტიტრეფიკინგული ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით;

ზ) არალეგალურ შრომით მიგრაციასთან და ანტიტრეფიკინგულ ღონისძიებებთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის მონიტორინგი;

თ) ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ი) სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ინფორმაციის შესწავლა და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაბამისი ანგარიშების მომზადება ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის წარსადგენად.<sup>86</sup>

უწყებათაშორისი კომისია შედგება შემდეგი უწყებების წარმომადგენლებისგან:

- ა) ეროვნული უშიშროების საბჭო;
- ბ) გენერალური პროკურატურა;
- გ) შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- დ) ინტერპოლის ეროვნული ბიურო;
- ე) იუსტიციის სამინისტრო;
- ვ) საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ზ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- თ) ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

86 პრეზიდენტის ბრძანება #50 გამოცემული 2005წ. 1 თებერვალს

- ი) ფინანსთა სამინისტრო;
- კ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ლ) საზღვარგარეთის დაზვერვის სპეციალური სამსახური;
- მ) საზღვრის დაცვის დეპარტამენტი;
- ნ) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
- ო) სახალხო დამცველი;
- პ) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ჟ) ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო;
- რ) ჰარმონიული განვითარების საზოგადოება;
- ს) ადამიანურ განზომილებათა სამსახური – ეუთო;
- ტ) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

### **საკამოძიებო და სამართლებრივი დენის ორგანოები**

#### **1. შინაგან საქმეთა სამინისტრო**

ა) სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;

2005 წლის მაისამდე ტრეფიკინგის საქმეთა გამოძიებას აწარმოებდა სამი უწყება – შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო და პროკურატურა.<sup>87</sup>

2005 წლის მაისში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში<sup>88</sup> შეტანილი ცვლილე-

87 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი #62;

88 კანონი #1204, 2005წ. 25 მარტი;

ბების თანახმად, საგამომიებო ფუნქციები სრულად გაცემულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროზე,<sup>89</sup> სადაც შექმნილ იქნა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება.<sup>90</sup> ეს უკანასკნელი შედგება 30 თანამშრომლისგან, რომელთაგან 4 გამომძიებელი და 26 ოპერატიული თანამშრომელია. მათ შორის, 17 მუშაობს სამინისტროს ტერიტორიულ ოფისებში.<sup>91</sup> ამ განყოფილების მთავარი ფუნქციაა ტრეფიკინგის და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ დანაშაულთა წინასწარი გამოძიება.<sup>92</sup> ამ ეტაპზე, ანტიტრეფიკინგულ განყოფილებაში 19 ტრეფიკინგის საქმეა გამოძიების სტადიაში.<sup>93</sup>

## ბ) ინტერპოლის ეროვნული ბიურო საქართველოში

ვინაიდან ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ის დანაშაულია, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ელემენტს, ინტერპოლის ეროვნული ბიუროს ფუნქციები ეხება ეფექტურ გამოძიებას, ასევე კავშირშია შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>94</sup> შესაბამის განყოფილებასთან. იგი ასევე ინტერპოლის გენერალური სააგენტოს ნაწილია.

### მისი ძირითადი ფუნქციებია:

- მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა ინტერპოლის გენერალურ სააგენტოსა და სხვა ქვეყნების ეროვნულ ბიუროებთან;
- საქართველოს სამართალდამცავ უწყებების და მათი განყოფილებების სხვა ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობის კოორდინაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო დონეზე;

89 კანონი #1204, 2005წ. 25 მარტი, მუხლი 50, ცვლილება 62-ე

90 ბრძანება #685, შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2004წ. 30 დეკემბერი;

91 ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროდან – წერილი #7/7-2716, 29.07.2005;

92 ამ სამსახურს არ გააჩნია საკუთარი წესდება, ამიტომ ინფორმაციის ამოღება მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წესდებიდან – 27 დეკემბერი, პრეზიდენტის ბრძანება #614, მუხლი #17;

93 ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან – წერილი #7/7-2716, 29.07.2005; მუხლი 17, შინაგან საქმეთა სამინისტროს წესდება;

94 მუხლი 17, შინაგან საქმეთა სამინისტროს წესდება;

- ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შედარება საერთაშორისო შკალაზე.

ინტერპოლის ეროვნული ბიუროს ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.<sup>95</sup> ინტერპოლის ეროვნული ბიუროს როლი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან უმეტესად ეს დანაშაული ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს. ასე რომ, მისი წარმატებული გამოძიება ეროვნულ პოლიციურ უწყებებს შორის კოორდინაციის გარეშე, ძალიან ძნელია და შეუძლებელიც კი. კოორდინაციისა და თანამშრომლობის დაბალი ხარისხი არის ყველაზე აქტუალური პრობლემა სამართალდამცავი ორგანოებისთვის და ამ საკითხზე მოხდა ყურადღების გამახვილება ანტიტრეფიკინგული უწყებათაშორისი კომისიების სხდომებზე.

## 2. გენერალური პროკურატურა<sup>96</sup>

ა) სამართლებრივ დევნაზე ადმინისტრაციული მეთვალყურეობის დეპარტამენტი:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უშიშროების სამსახურები,<sup>97</sup> სახელგარკარეთის დაზვერვის სპეციალური სამსახური და თავდაცვის სამინისტრო.

### ძირითადი ფუნქციები:

- ადმინისტრაციული კონტროლი ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებზე და წინასწარგამოძიებაზე;

- სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მტკიცება იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც გამოძიებულ იქნა ზემოთხსენებული უწყებების მიერ;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში<sup>98</sup> ცვლილებების შეტანამდე პირველი ღონისძიება სისხლის სამართლის პროცესში იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რაც არსებითი და აუ-

95 მუხლი 6, ინტერპოლის ეროვნული ბიუროს წესდება;

96 გენერალური პროკურატურის წესდება, 2005წ. 28 აპრილი;

97 შინაგან საქმეთა სამინისტროს წესდებაში ვერ ვნახეთ ამ სახელწოდების სამსახური, ამიტომ მთავრობამ უნდა შეიტანოს უწყებათა წესდებებში ცვლილებები, ან კიდევ გაუგებრობას ექნება ადგილი;

98 18 კანონი #1204, 2005წ. 25 მარტი;

ცილებელი იყო წინასწარი გამოძიების დაწყებისთვის. ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა იყო პროკურატურის პრეროგატივა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქცია იყო წინასწარი გამოძიების დასაწყისი ეტაპი. ახლა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ამოღებულია კანონმდებლობიდან და პირველი პროცედურული ნაბიჯი გახლავთ წინასწარი გამოძიება, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითად მიზნად იქცა.

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროში სამართლებრივ დევნაზე ადმინისტრაციული კონტროლის სამსახური;

(ამ სამსახურის ფუნქციები ზემოთხსენებულის იდენტურია, მაგრამ შეიცავს სახელმწიფო უწყებებს გარდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის)

გ) სამართლებრივი დახმარების განყოფილების ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახური. ეს უკანასკნელი ახდენს ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის შედარებას და ოფიციალურად წარმოადგენს გენერალურ პროკურატურას ამ შემთხვევაში (ამ ეტაპზე ამ სამსახურის წესდება დამტკიცებული არ არის,<sup>99</sup> ასე რომ, არ შეგვიძლია ვისაუბროთ დაზუსტებით ამ სამსახურის ფუნქციებზე).

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ორგანიზება გაუკეთა შეხვედრას შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის დამნაშავეთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნასთან დაკავშირებით (ერთ-ერთი მიზანი, რაც დასახულ იქნა სამოქმედო გეგმით).

ასეთი მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეიძლება გამოსცეს სავალდებულო ხასიათის დირექტივები.

### **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)**

საქართველოს გენერალური პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურის 38 თანამშრომელი მო-

<sup>99</sup> როგორც ზემოთ ვახსენეთ, აუცილებელია რომ ყველა სახელმწიფო უწყებას გააჩნდეს წესდება, ვინაიდან ეს საკითხი ხშირად შეუთანხმებლობა იწვევს უწყებებს შორის, ყველაფერთან ერთად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა რომელ სამსახურს რა ავალია;

ნაწილებს სპეციალურ ტრენინგების სერიაში, რომლებიც უკავშირდება ტრეფიკინგსა და არალეგალურ მიგრაციაში ჩართულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას. ტრენინგის ფორმატი მოიცავს 5 ერთკვირიან კურსს, რომელიც დაიწყო 2005 წლის 12 სექტემბერს და გაგრძელდა 2006 წლის 27 იანვრამდე.

2005 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში გენერალური პროკურატურის 5 თანამშრომელი დაესწრო ტრენინგებისთვის განკუთვნილ სპეციალური ტრენინგს და, შესაბამისად, ოთხი მათგანი მონაწილეობს ინსტრუქტორად მიმდინარე ტრენინგებში.

### **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

საქართველოს გენერალური პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ადამინის უფლებათა დაცვის სამსახურის წარმომადგენლები პირდაპირ მონაწილეობენ ტრეფიკინგის დანაშაულზე ქართული კანონმდებლობის სრულყოფის პროექტის განხორციელებაში, რომელიც ტრეფიკინგის კანონპროექტის მომდევნო ეტაპია.

2005 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შედგა შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის წარმომადგენლებისა და პროექტის „არა – ადამიანებით ტრეფიკინგს“ დირექტორის, მარი მესხის მონაწილეობით. ამ შეხვედრის ფარგლებში, განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა ტრეფიკინგის განმარტება, მის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზები.



აღამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში

წამების წინააღმდეგ კომიტეტის 2005 წლის  
7-25 ნოემბრის რიგით 35-ე სესია

**კონვენციის 19-ე მუხლის შესაბამისად  
წვერი სახელმწიფოების მიერ  
წარღვნილი ანბარიშების ბანნილვა**

საქართველოს რიგით მესამე  
პერიოდული ანგარიშის მოსმენისას  
განსახილველი საკითხები  
(CAT/C/GEO/Q/3)



## მუხლი 1

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია 2005 წლის 23 ივნისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც „წამების“ დეფინიცია თითქოს შესაბამისობაში იქნა მოყვანილი წამების წინააღმდეგ კონვენციაში არსებულ დეფინიციასთან. როგორ არის განმარტებული ტერმინი „წამება“ აღნიშნული მუხლის მიხედვით და რა პოლიტიკა გატარდა აღნიშნული სტანდარტის განსახორციელებლად? გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, თუ როგორ არის ასახული წამების დეფინიციის თითოეული ელემენტი, მაგალითად, წამება განხორციელებული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის საფუძველზე და საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის თანხმობით.

## მუხლი 2

2. საქართველოში წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმისა და 2005 წლის 25 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ფარგლებში, გთხოვთ, მიუთითოთ რა კონკრეტული სახის პრევენციული საკანონმდებლო ღონისძიებები გატარდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) დაკავებულის უფლება დაუკავშირდეს მისთვის სასურველ ექიმს. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-6 ნაწილში შესატან ცვლილებათა კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც, დაკავებული ეჭვმიტანილის სავალდებულო სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. არის თუ არა მიღებული ასეთი კანონი? და თუ არის, როგორ ხორციელდება იგი პრაქტიკაში? ბ) გთხოვთ ასევე ყურადღება გაამახვილოთ დაკავებულის უფლებაზე, დაუკავშირდეს მისი ოჯახის წევრებს და აცნობოს მისი მდგომარეობის შესახებ.
3. გთხოვთ, გვაცნობოთ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რაც განხორციელდა იმისათვის, რომ საქართველო „წამებისაგან თავისუფალ ზონად“ გამოცხადებულიყო. კონკრეტულად რა გაკეთდა და ვინ არის ამ პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი? გთხოვთ აგვიხსნათ, როგორ არის უზრუნველყოფილი ამ პროგრამაზე პასუხისმგებელ პირთა საქმიანობის ეფექტურობა და დამოუკიდებლობა. გთხოვთ აღწეროთ პრევენციული ხასიათის მქონე ბოლო დროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები.
4. მიღებული ინფორმაციის ფონზე, რომ ხშირ შემთხვევაში არ ხდება დაკავებულთა დაუყოვნებლივი ინფორმირება ადვოკატის ყოლის უფლებაზე, რა ღონისძიებები განხორციელდა იმისათვის,

რომ სამართალდამცავებისათვის გადაეცათ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, რომელმაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონკრეტული დებულებები არაკონსტიტუციურად სცნო?

5. რამდენად ხშირად ახორციელებს ვიზიტებს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი წინასწარი შეტყობინების გარეშე? შეიმჩნევა რაიმე პროგრესი 2003-2005 წლებში 72 საათიანი დაკავების ვადების დარღვევების შემცირებასთან მიმართებით.

### მუხლი 3

6. გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ეხება ექსტრადიციის, გაძევებისა და დაბრუნების საკითხებს. რომელი სამთავრობო უწყებაა პასუხისმგებელი ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაზე და როგორია ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა? როგორ ხორციელდება აღნიშნული საკანონმდებლო ღონეზე და პრაქტიკაში?
7. გთხოვთ, აცნობოთ კომიტეტს, რამდენად იცავს მონაწილე სახელმწიფო კონვენციას ექსტრადიციის შემთხვევებში, როგორც ეს მისი ანგარიშის 27-ე პარაგრაფშია მოხსენიებული. გთხოვთ, ასევე განიხილოთ ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოსგან დიპლომატიური გარანტიების მოთხოვნის მიზეზები.
8. გთხოვთ, მოგვაწოდოთ მაგალითები საქმეებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც ხელისუფლებამ არ გააგრძელა ექსტრადიცია, დაბრუნება ან ქვეყნიდან გაძევება იმის შიშით, რომ პიროვნება შეიძლება წამების მსხვერპლი გამხდარიყო. რა ინფორმაციის საფუძველზე მოხდა ასეთი გადაწყვეტილებების მიღება?

### მუხლი 4

9. გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული ღონისძიებები, რაც გატარდა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი მრავალრიცხოვანი და ფართოდ გავრცელებული წამების ფაქტების გამოსაძიებლად და დასასჯელად, ასევე სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ფაქტებზე რეაგირებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის ადგილებში და დაკითხვის დროს გამოიყენება, როგორც ერთ-ერთი საშუალება ინფორმაციის ან აღიარების იძულებით მოსაპოვებლად.

10. გთხოვთ წარმოადგინეთ უახლესი სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობაზე (2003-2005წწ.) სახელმწიფოს მიერ ანგარიშის წარდგენის შემდგომ პერიოდში. მიუთითეთ მათთვის შეფარდებული სასჯელები ან დისციპლინური სახდელები.
11. გთხოვთ, განიხილოთ პოლიციაში არსებული შიდა დისციპლინარული პროცესი და მათი განხორციელების მეთოდები. უწყდებათ თუ არა ეჭვმიტანილ პირებს სამსახურეობრივი უფლებამოსილება, იკრძალება თუ არა მოკვლევის პროცესში ამ უკანასკნელთა სამსახურეობრივი დაწინაურება? გთხოვთ გვაცნობოთ, როგორ მიმდინარეობს აღნიშნული მოკვლევა და რა არის მათი საშუალო ხანგრძლივობა. რამდენად საჯაროა ეს პროცესი?

## მუხლი 5

12. გთხოვთ, კომიტეტს მიაწოდოთ განახლებული ინფორმაცია 2003-2005 წლებში სახელმწიფო იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე კონვენციის პირობების შესრულებაში მიღწეული პროგრესის შესახებ.

## მუხლი 6,7, 8 და 9

13. ანგარიშის 27-ე და 28-ე პარაგრაფებში განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიუთითოთ ექსტრადირებადელ პატიმრობის პირობებზე, ჰქონდა თუ არა პატიმარს საშუალება, დაკავშირებოდა საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლებს.
14. 2003 წლის მაისს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პიროვნების საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ დადებული შეთანხმების ფონზე, გთხოვთ განმარტოთ, როგორ აპირებს საქართველო კონვენციის მე-7 მუხლის შესრულებას.

## მუხლი 10

15. 2002 წელს ორგანიზებულ ტრენინგებთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია მათში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობაზე. გთხოვთ, ასევე მოგვაწოდოთ განახლებული ინფორმაცია 2003-2005 წლებში ჩატარებული ტრენინგების შესახებ.

16. მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო კურსში შედის ლექციები და სემინარები აღმინის უფლებებზე ახალგაზრდა კურსანტებისთვის, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ პოლიციის უფროსმა ოფიცრებმაც გაიარონ ტრენინგი აღნიშნულ საკითხებზე?
17. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სფეროში არსებული ადგილობრივი პროგრამების შესახებ. გთხოვთ, წარმოადგინოთ სტატისტიკა სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა და სხვა სამედიცინო პერსონალის შესახებ, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი წამებისა და სხვა უარყოფითი მოპყრობის კვალის აღმოჩენის ტექნიკის თაობაზე. გთხოვთ, ასევე განმარტოთ სასამართლო სამედიცინო ექსპერტებსა და პოლიციას შორის არსებული კავშირი. ანგარიშის 64-ე პარაგრაფთან მიმართებით, გთხოვთ, გვაცნობოთ რომელი სამედიცინო დაწესებულებები/ერთეულები გადავიდა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციიდან ჯანმრთელობის სამინისტროს კომპეტენციაში.

## მუხლი 11

18. საქართველოში წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ რა სპეციფიკური პრევენციული ღონისძიებები გატარდა შემდეგ საკითხებთან მიმართებით ა) პირობები წინასწარი დაკავების ადგილებში, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე პიროვნების დაკავების მომენტიდან პატიმრობის შეფარდებაზე. პიროვნების რეგისტრაციასთან მიმართებით სამართლებრივი მოთხოვნებისა და ადმინისტრაციული ინსტრუქციების განხორციელება. ბ) დაკავებულის უფლება, დაუკავშირდეს მისთვის სასურველ ადვოკატს და დაკითხვისას აღნიშნული დამცველის დასწრების უზრუნველყოფა. ამ კუთხით, გთხოვთ შეისწავლოთ სასამართლოს მიერ დანიშნულ ადვოკატთან (სახაზინო ადვოკატთან) დაკავშირებული სიძნელების გადასაჭრელად მიღებული ზომები.
19. გთხოვთ გვაცნობოთ, რა განსაკუთრებული ღონისძიებები ტარდება დაკითხვების პერიოდში წამებისა და შეურაცხყოფილი მოპყრობის აღკვეთის უზრუნველსაყოფად.
20. გთხოვთ, კომენტარი გაუკეთოთ კომიტეტში შემოსულ განცხადებებს თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პერიოდში საპროცესო გარიგებების გამოყენების შესახებ და მათ ზეგავლენას შემდგომ განაჩენზე. ასევე გვაცნობეთ როგორ აპირებს მონაწილე სახელმწიფო დაუსჯელობის სინდრომის საკითხის გადაჭრას, რაც თავს იჩენს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში.

21. განხორციელდა თუ არა თავისუფლების აღკვეთის მარეგულირებელი ნორმებთან დაკავშირებული წესების, ინსტრუქციებისა და მეთოდების შემდგომი განხილვა? უზრუნველყოფს თუ არა წევრი სახელმწიფო, რომ პატიმართა მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოები იყვნენ დამოუკიდებლები და მათ შორის არეხებობდეს სათანადო კოორდინაცია?
22. რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანამშრომლობისათვის, როგორც დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელი საბჭოს წევრებს? რამდენად ეფექტურად მოქმედებენ ეს საბჭოები და რამდენად ხშირად ატარებენ შემოწმებებს დაკავების ადგილებში წინასწარი შეტყობინების გარეშე?
23. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოში თავისუფლებააღკვეთილი პირების საერთო რაოდენობის შესახებ. მოცემული სტატისტიკა დაახარისხეთ ასაკის, სქესისა და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. ასევე წარმოადგინეთ ინფორმაცია 2002, 2003, 2004 და 2005 წწ. საპატიმროებში პატიმართა საერთო რაოდენობის შესახებ.
24. რა ზომები მიიღო წევრმა სახელმწიფომ პოლიციაში წინასწარი დაკავების საკნებში და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში დაკავების პირობების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით იქ, სადაც აღინიშნა, რომ პირობები ბევრად ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტებს ?
25. გთხოვთ, განიხილოთ ციხის პატიმართა საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები. გთხოვთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია სამომხსენებლო პერიოდში 2000-2003 წლებში პატიმართა მხრიდან შემოსული საჩივრების რაოდენობის შესახებ. მოცემული სტატისტიკა დაავგუფეთ განხილვის პროცედურისა და შედეგების, სქესის, ეთნიკური წარმოშობისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

## მუხლი 12

26. 2003 წლის ივნისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 335-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების ფონზე, რამდენი თანამდებობის პირი ცნეს დამნაშავედ აღნიშნული მუხლით და რა სასჯელები შეეფარდათ მათ?
27. გთხოვთ მიუთითოთ, რომელი ორგანო არის უფლებამოსილი, დაიწყოს სისხლის სამართლის გამოძიება წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის ფა-

ქტებზე. მოგვაწოდეთ გამოძიებული საქმეების კონკრეტული მაგალითები და მიუთითეთ სამართალწარმოების შედეგები, როგორც სისხლისსამართლებრივ ასევე დისციპლინარულ დონეზე.

28. წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის თანახმად ამოქმედდა თუ არა კანონი, რომელიც ქალის მიმართ განხორციელებულ წამებას მაკვალიფიცირებელ და დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს? რა კონკრეტული ღონისძიებები გატარდა ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოსაძიებლად და დასასჯელად, მათ შორის, ტრეფიკინგის შემთხვევებთან მიმართებით, რომელშიც მონაწილეობენ სამართალდამცველი პირები და სხვა შესაბამისი პროფესიულ ჯგუფები? საპატიმროებში გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის რამდენი საქმე იქნა გამოძიებული 2000-2005 წლებში? რა სასჯელები შეეფარდათ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულ პირებს? რა მექანიზმი დაინერგა აღნიშნული დანაშაულის აღმოსაფხვრელად?
29. გთხოვთ, მიაწოდოთ კომიტეტს განახლებული სტატისტიკა 2003-2005 წლებში რეგისტრირებული თავისუფლებააღკვეთილი პირების გარდაცვალების რაოდენობასთან დაკავშირებით. მიუთითეთ თვითმკვლელობისა და ავადმყოფობისაგან გამოწვეული სიკვდილის შემთხვევებიც. გვაცნობეთ, როგორ და ვის მიერ ხდება აღნიშნული საქმეების გამოძიება.
30. რა გამოხმაურებას პოეებს გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაარსებულ 24 საათიან ცხელ ხაზზე შემოსული წამების ფაქტებთან დაკავშირებული საჩივრები და რა ფინანსური ან სხვა სახის დახმარება ხორციელდება ასეთი საქმის ბოლომდე მისაყვანად?

### მუხლი 13

31. გთხოვთ, აცნობოთ კომიტეტს შევიდა თუ არა ძალაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები საქართველოში წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის მიხედვით, რაც ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას უშუალოდ მიმართოს მოსამართლეს საქმის განხილვის სასამართლოსათვის გადაცემამდეც, იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა ცუდი მოპყრობის ფაქტებს მის მიმართ. როგორ უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფო, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილმა შესძლოს აღნიშნული უფლებით სარგებლობა?
32. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რაც ხორციელდება მომჩივანთა კონფიდენციალობის დასაცავად და ასევე მათზე შემდგომი ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით,



გვაცნობთ აგრეთვე წამების, ცუდი მოპყრობის ან სხვა მსგავსი ძალადობის მსხვერპლთა მოწმეების დაცვის პროგრამის შესახებ.

## მუხლი 14

33. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია სასამართლოს მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლთა მიმართ 2002 წლის შემდეგ დაკისრებული ნებისმიერი კომპენსაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, განიხილეთ ანგარიშის 87-ე პარაგრაფში მოწოდებული ინფორმაცია.
34. როგორ ხდება წარმატებულ მოსარჩეელებისათვის საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება? ვინ იხდის ამ კონპენსაციას? რა გარანტიები არსებობს შემდგომი აგრესიისა და დაშინებისაგან მოსარჩელის დასაცავად?
35. რა სამსახურები არსებობს წამების მსხვერპლთა ტრამვების სამკურნალოდ ან სხვა სახის რეაბილიტაციისათვის? რა ფინანსები გამოიყო ამ მიზნით?

## მუხლი 15

36. გთხოვთ აცნობოთ კომიტეტს კონკრეტული ზომების შესახებ, რაც იქნა მიღებული იმისათვის, რომ სასამართლო პროცესზე მტკიცებულებად არ იქნეს გამოყენებული იძულების, მათ შორის, ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის შედეგად მიღებული ჩვენება. წარმოადგინეთ საქმეების მაგალითები, რომელიც შეწყდა მსგავსი ჩვენებების ან მტკიცებულებების წარმოდგენის გამო.
37. მოწმეთა დაკავების პრაქტიკასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიაწოდოთ კომიტეტს ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაკავებულთა დაკითხვისას უფლებამოსილი სახელმწიფო მოხელეების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება.

## მუხლი 16

38. საქართველოს სასჯელალსრულებით სისტემაში სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურების სფეროში არსებულ საგანგაშოდ მძიმე მდგომარეობის ფონზე, რა კონკრეტული გეგმები არსებობს მოცემული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მედიკამენტებისა და აღჭურვილობის

შესაძენად? სისტემატურად ამოწმებს თუ არა ყველა საპატიმრო დაწესებულება დაკავებისთანავე პატიმრებს ტუბერკულოზზე, შიდსსა ან სხვა ინფექციური დაავადებებზე?

39. რა გარანტიები არსებობს სკოლებში, ობოლთა თავშესაფრებში, სამხედრო აკადემიებში და სხვა საჯარო დაწესებულებებში წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად?
40. გთხოვთ კომიტეტს მიაწოდოთ განახლებული ინფორმაცია 2002-2007 წწ. პერიოდში სასჯელაღსრულებით სისტემაში რეფორმისა და განვითარებისათვის გასატარებული ზომების გეგმების განხორციელების შესახებ. რა არის აღნიშნული გეგმის მიზანი და რა პროგრამები არსებობს დღეისათვის?

სხვა

41. 2005 წლის 9 აგვისტოს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატურ ოქმთან მიერთების ფონზე რა მექანიზმებს ითვალისწინებს წევრი სახელმწიფო თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პერიოდული ვიზიტების განხორციელებისათვის? ამ კუთხით კომენტარი გაუკეთეთ ნებისმიერ იმ გეგმას, რომელიც ეხება აღმინის უფლებათა ეროვნული მექანიზმის შექმნას პარიზის პრინციპების შესაბამისად.
42. გთხოვთ აცნობოთ კომიტეტს ტერორიზმის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული ნებისმიერი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიების შესახებ და მიუთითეთ ამ ღონისძიებებმა როგორი ან საერთოდ რაიმე ეფექტი თუ გამოიღო საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში.
43. გთხოვთ მიუთითოთ თუ არსებობს თქვენს ქვეყანაში ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ხელს უშლის და კრძალავს ისეთი აღჭურვილობის წარმოებას, გაყიდვას, ექსპორტს და გამოყენებას, რომელიც სპეციალურად წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის არის შექმნილი. ასეთ შემთხვევაში, მოგვწოდეთ ინფორმაცია აღნიშნული კანონის შინაარსისა და მისი მოქმედების შესახებ. მსგავსი კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ იგეგმება თუ არა მისი შემუშავება შემდგომში.

ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში

**წამების საწინააღმდეგო კომიტეტი**

**36-ე სესია**

**1-19 მაისი, 2006**

**მონაწილე მხარეთა ანგარიშების  
განხილვა კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით**

**წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ  
მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები  
საქართველოს რესპუბლიკისადმი**



1. 2006 წლის 3 და 4 მაისს კომიტეტმა 699-ე და 702-ე შეხვედრებისას განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მესამე მოხსენება (CAT/C/73/Add.1) და 716-ე შეხვედრაზე გამოიტანა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები.

### ა. შესავალი

2. კომიტეტი მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის მესამე დროულ ანგარიშს და მასში წარმოდგენილ ინფორმაციას. კომიტეტი გამოხატავს მადლიერებას უმაღლესი რანგის დელეგაციისადმი, რომელმაც წარმოადგინა ანგარიში და კონსტრუქციულად ჩაერთო აზრთა გაზიარებაში. კომიტეტი მადლიერია ასევე ამომწურავი პასუხებით, რომელიც წარმოდგენილი იქნა როგორც სიტყვიერი ასევე წერილობითი სახით.
3. კომიტეტი აღნიშნავს, რომ 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის მიუხედავად, სახელმწიფოში კვლავ არსებობს შიდა კონფლიქტები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიტუაცია, რაც არსებობს თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებში. დღეს კვლავაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ქვეყანაში არსებული 215 000 იძულებით გადაადგილებული პირის მდგომარეობა. მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, კომიტეტს სურს შეახსენოს კონვენციის მონაწილე მხარეს, რომ იგი ერთმნიშვნელოვნად უნდა დარჩეს მომხრე ქვეყანაში წამების აბსოლუტური აკრძალვისა.

### დადებითი ასპექტი

4. კომიტეტი მიესალმება 2005 წლის 9 აგვისტოს სახელმწიფოს მიერთებას წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი პროტოკოლისადმი და კონვენციის 21-ე და 22-ე მუხლების გათვალისწინებით მიღებულ დეკლარაციას. კომიტეტი იძლევა რჩევას, რომ მოხდეს ხალხის ინფორმირება იმ ზომების შესახებ, რომელთაც მათ შეუძლიათ მიმართონ საჭიროების შემთხვევაში.
5. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ უკანასკნელი მოხსენების შემდგომ პერიოდში სახელმწიფო პარტიამ მოახდინა კონვენციის დამატებითი პროტოკოლის რატიფიცირება ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ყოველი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ისევე როგორც კონვენციისა ბავშვთა უფლებების, ბავშვებით ვაჭრობისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ და საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუსისა.

აღმნიანის უფლებათა უარღვევები საქართველოში

6. კომიტეტი აქვე შენიშნავს, რომ მოხდა მიერთება და რეგიონალური აქტების რატიფიცირება, როგორცაა ევროპის კონვენცია წამების პრევენციისა და არაადამიანური ან შეურაცმყოფელი მოპყრობის, ანდა დასჯის შესახებ; ევროპის კონვენცია ექსტრადირების და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესის შესახებ.
7. კომიტეტი გამოთქვამს კმაყოფილებას სახელმწიფო მცდელობის მიმართ, რომ მოახდინოს კანონმდებლობის, პოლიტიკის და პროცედურების რეფორმირება, რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების უკეთ დაცვა იმისათვის, რომ არ ჰქონდეს ადგილი ადამიანთა წამებას და უხეშ, არაადამიანურ ან შეურაცმყოფელ მოპყრობას ანდა დასჯას.

დადებითად ფასდება:

- ა) ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში. კონკრეტულად კი, 144 მუხლი, რომელსაც შესაბამისობაში მოჰყავს საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო ნორმებთან წამების დეფინიციასთან დაკავშირებით.
- ბ) საქართველოში წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის შემუშავება; ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ეროვნული გეგმის ჩამოყალიბება ისევე, როგორც გეგმის შემუშავება იმისათვის, რომ მოხდეს ციხის სისტემის რეფორმირება და განვითარება; დადებითად ფასდება 2005 წელს მიღებული გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში საგამომძიებლო განყოფილების შექმნის შესახებ და სახელმწიფო დაწესებულებების გაძლიერების ყოველგვარი მცდელობა.
- გ) 2006 წლის აპრილს მიღებული ახალი კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ; ახალი კანონპროექტის მომზადება ტრეფიკინგის წინააღმდეგ და სასჯელაღსრულების კოდექსის შემუშავება 2006 წელს პარლამენტისათვის წარსადგენად.
- დ) სახელმწიფოს მიერ დამატებითი რესურსების შექმნა, რათა დაკავების ადგილებში გაუმჯობესდეს არსებული სტანდარტები, განსაკუთრებით კი საცხოვრებელი პირობები და პატიმართა ჯანმრთელობა, ტარდებოდეს ტრეინინგები და აქტივობები.
- ე) 2004 წლის მემორანდუმი დადებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ომბუცმენის ოფისის შორის, რაც აძლევს ომბუცმენის ოფისს საშუალებას ჩამოაყალიბოს მონიტორინგის მაწარმოებელი ჯგუფები, რომელშიც შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენ-

ლები, და განხორციელონ თითოეულ დაკავების ცენტრში გაუფრთხილებელი ვიზიტები შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ.

8. კომიტეტი კმაყოფილია 24 საათიანი ცხელი ხაზის არსებობით, რომელიც იღებს შეტყობინებებს წამების ფაქტების შესახებ და მოუწოდებს სახელმწიფოს გაავრცელოს მოსახლეობაში ინფორმაცია აღნიშნული სამსახურის ხელმისაწვდომობის შესახებ.

### გ) კომიტეტის შეშფოთების საგანი და რეკომენდაციები

9. მიუხედავად კანონმდებლობაში მიმდინარე რეფორმებისა, კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ქვეყანაში კვლავ არსებობს დაუსჯელობის სინდრომი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამართალდამცავთა მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება, წამება და სხვა სახის ცუდი მოპყრობა დაკავებამდე და დაკავებისას, ციხის ბუნტისა და ზოგადად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დროს. (მუხლი 2)

მონაწილე მხარემ დიდი პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს და ხელი შეუწყოს აღმინის უფლებათა დაცვის კულტურის ამაღლებას, უნდა მოხდეს არსებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განვითარება და გამოყენება პოლიციელთა იერარქიაში, ისევე როგორც პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიმართ. აღნიშნული პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნას არსებული პრობლემების გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირებისადმი. ასევე, უნდა შემუშავდეს ქცევის კოდექსი პოლიციელთათვის, მათ შორის მათთვის, ვინც უშუალოდაა ჩართული ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში. ასევე, უნდა განხორციელდეს რეგულარული მონიტორინგი დამოუკიდებელი ორგანოების მიერ.

10. კომიტეტი აღნიშნავს, რომ არსებობს აშკარა წინააღმდეგობა კონსტიტუციის 17-ე და 18(4)-ე მუხლებს შორის. კონსტიტუციის 17-ე მუხლის თანახმად, წამებისაგან დაცვის უფლება არ არის დამამცირებელი, თუმცა 18-ე მუხლი(4) უშვებს გარკვეული უფლებების შეზღუდვას. (მუხლი 2)

მონაწილე მხარემ კონსტიტუციის 18(4)-ე მუხლი უნდა მოიყვანოს კონვენციასთან შესაბამისობაში. კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ გამონაკლისი ზომები მიღებულ იქნას მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში თუ ეს ზომები კონვენციის დებულებასთან მოდის შესაბამისობაში.

11. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას მონაწილე მხარის პირმოთხოვბისა და კონვენციის მე-3 მუხლის არასათანადო შესრულების გამო, რაც გამოიხატება დიპლომატიური ხელშეუხებლობის მინიჭებით იმ პირთათვის, ვინც ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულში და არსებობს მათი ექსტადირებისა თუ გადაცემის მოთხოვნა.

მონაწილე მხარემ ყურადღებით უნდა შეისწავლოს თითოეული საქმე და დიდი სიფრთხილით მოეკიდოს დიპლომატიური ხელშეუხებლობის მინიჭების თხოვნის დაკმაყოფილებას. მონაწილე მხარემ უნდა მიაწოდოს კომიტეტს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ 2002 წლიდან გადაცემის, ექსტადირებისა და გადასახლების შემთხვევებიდან რამდენს მიენიჭა დიპლომატიური ხელშეუხებლობა. ამასთანავე, მონაწილე მხარემ უნდა წარმოადგინოს, თუ რა იყო ასეთი გარანტიების მიცემის პირობა, და მონიტორინგის რა სახის ზომები იქნა მიღებული თითოეულ შემთხვევაში.

12. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას სამართალდამცავთა მცირე რაოდენობის მიმართ დისციპლინარული ზომების დაკისრებისა და დასჯის მიმართ მაშინ, როდესაც ქვეყანაში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შელახველი მოპყრობის უამრავი ფაქტი ფიქსირდება. ამასთანავე, უნდა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული ფაქტების შესახებ. (მუხლი 4)

მონაწილე მხარემ უნდა გააძლიეროს და დახვეწოს გამოძიების წარმოების უნარი, მათ შორის, გენერალურ პროკურატურაში, რათა დაუყოვნებლივ გადამოწმდეს და ზედმიწევნით იქნას შესწავლილი ნებისმიერი განცხადება წამების ან სასტიკი მოპყრობის შესახებ; მომზადდეს სტატისტიკა და რეგულარულად გამოიცეს დისციპლინარული სასჯელისა და გასამართლების მაჩვენებელი, რაც საზოგადოებისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

13. კომიტეტის შეშფოთებას იწვევს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ დაკავებული პირები არ არიან დროულად და ჯეროვნად ინფორმირებულნი მათი უფლებების შესახებ, რომ მათ აქვთ უფლება მოითხოვონ ადვოკატი ან, მათი სურვილისამებრ, გაიარონ სამედიცინო შემოწმება. (მუხლი 6)

მონაწილე მხარემ უნდა გადადგას ყველა ნაბიჯი იმისათვის, რომ დაკავების დროს მოხდეს ყოველი დაკავებულის დროული ინფორმირება იმის შესახებ, რომ მათ აქვთ უფლება მოი-



თხოვონ ადვოკატი და, სურვილის შემთხვევაში, ექიმი. მონაწილე მხარემ უნდა მიაწოდოს კომიტეტს ინფორმაცია იმ სპეციალური ზომების შესახებ, რაც მიღებულ იქნა ამ მხრივ.

14. კომიტეტი შეშფოთებულია შეთანხმების გამო, რომლის მიხედვითაც გარკვეული ქვეყნების მოქალაქეები, ვინც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, არ გადაეცემა საერთაშორისო სისხლის საქმეთა სასამართლოს, რათა ისინი გასამართლდნენ ომის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი აქტების ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. (მუხლები 6, 8)

კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების მიხედვით, მონაწილე მხარემ უნდა მიმართოს ყოველ ზომას, რათა გადაიხედოს და განიხილოს შეთანხმების ვადები და ის პუნქტები, რომელიც კრძალავს გარკვეული ქვეყნების მოქალაქეების, ვინც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, გადაეცემას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსადმი.

15. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ რთულია საჭირო ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ რა შედეგი აქვს სამართალდამცავებისათვის ჩატარებულ ტრინინგს და რამდენად ეფექტური აღმოჩნდა შემუშავებული პროგრამები მათვის და პენიტენციალური დაწესებულების თანამშრომელთათვის, რათა მოხდეს ძალმომრეობის, წამების და ცუდად მოპყრობის შემთხვევების შემცირება. (მუხლი 10)

მონაწილე მხარემ უნდა გააგრძელოს თანამშრომლობა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა ეუთო, გაერო და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, რათა ერთობლივად შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამა და მეთოდოლოგია სამართალდამცავთათვის და პენიტენციალური დაწესებულების თანამშრომელთათვის და მოხდეს აღნიშნული მეთოდების შემდგომი დახვეწა და ეფექტური გამოყენება ძალმომრეობის, წამებისა და ცუდად მოპყრობის შემთხვევების შემცირებისათვის.

16. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას პატიმრების დიდი რაოდენობის საჩივრების არსებობის გამო ისევე, როგორც მოხსენებებში აღნიშნული ინფორმაციის მიმართ იმის შესახებ, რომ სამართალდამცავთა მიერ ხშირია ნიღბების გამოყენება რეიდის დროს, ასევე არ ხდება მათ მიერ საიდენტიფიკაციო ნომრების ტარება, რაც ართულებს მათ ამოცნობას პატიმარზე განხორციელებული წამების ან ცუდი მოპყრობის შემთხვევაში. (მუხლები 2, 11)

მონაწილე მხარემ უნდა უზრუნველყოს პენიტენციალურ სისტემაში მომსახურე პერსონალ-

ლისა და სპეცრაზმის აღჭურვა ხილვადი საინდენტიფიკაციო ნომრებით, რათა მოხდეს პატიმართა დაცვა იმ ძალადობისაგან, რაც მოდის კონვენციასთან წინააღმდეგობაში.

17. კომიტეტი განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს სასჯელალსრულებით დაწესებულებებში არსებული მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლის და სიკვდილის გამოწვევი მიზეზების შესახებ დეტალური ინფორმაციის არ ქონის გამო. კომიტეტი შეშფოთებულია ტუბერკულოზით გარდაცვლილთა დიდი რიცხვითაც. (მუხლები 6, 12)

მონაწილე მხარემ უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია მოულოდნელი სიკვდილის მიზეზებისა და ვითარების, ასევე მათზე ჩატარებული დამოუკიდებელი გამოძიების შედეგების შესახებ. კომიტეტი ურჩევს მონაწილე მხარეს, განაგრძოს თანამშრომლობა წითელ ჯვართან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა განხორციელდეს პროგრამები, რაც უზრუნველყოფს ტუბერკულოზის მკურნალობასა და პატიმართა მედიკამენტებით მომარაგებას, ისევე როგორც მონიტორინგს მედიკამენტების დისტრიბუციაზე სასჯელალსრულებად დაწესებულებებში.

18. კომიტეტი შეშფოთებულია ბევრ სასჯელალსრულებად დაწესებულებაში არსებული ცუდი პირობებით, განსაკუთრებით რევიონებში, და ღრობითი, ისევე როგორც, წინასწარი დაკავების ცენტრების გადატვირთულობის გამო. (მუხლი 11)

მონაწილე მხარემ უნდა: ა) შეამციროს წინასწარი დაკავების პერიოდი; ბ) სასწრაფოდ შეავსოს სასამართლო სისტემაში არსებული ვაკანსიები; გ) სხვა ალტერნატიული მეთოდები იქნას გამოყენებული იმ ადამიანების დასასჯელად, ვინც არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის.

19. კომიტეტი შეშფოთებულია, რომ ქალები სასჯელალსრულებად დაწესებულებებში არ არიან სათანადოდ დაცულნი და არ არსებობს ინფორმაცია როგორც მათზე განხორციელებული ძალადობაზე, ასევე იმ პროცედურებზე, თუ როგორ ხდება მათი საჩივრების დაკმაყოფილება. (მუხლი 11)

მონაწილე მხარემ უნდა უზრუნველყოს პატიმრობაში მყოფ ქალთა დაცვა და ჩამოყალიბდეს საჩივრების გარკვეული პროცედურა.

20. კომიტეტი შენიშნავს, რომ კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვა-

ლისწინებს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს კომპენსაცია. თუმცა, არ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ანაზღაურებას. კომიტეტი შემფოთებულია ინფორმაციის ხელმიუწვდომობის გამო, რომელიც ნათელს გახდიდა იმ მსხვერპლთა რაოდენობას, რომელთაც მიიღეს გარკვეული სახის დახმარება ან გაიარეს რეაბილიტაცია.

**მონაწილე მხარემ უნდა შეიმუშავოს სათანადო კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს კომპენსაციების გადახდას და ანაზღაურებას, ხოლო კანონმდებლობის შექმნავევამდე განხორციელდეს პრაქტიკული ზომები, რათა მოხდეს დაზარალებულის ადეკვატური და სამართლიანი კომპენსირება ან სრული რეაბილიტაცია, თუ ეს შესაძლებელია.**

21. მონაწილე მხარემ უნდა წარმოადგინოს პერიოდული მოხსენება სტატისტიკური მონაცემებით, დანაშაულის, ეთნიკურობისა და გენდერის მიხედვით, მასში უნდა იქნას წარმოდგენილი განაცხადები წამებისა და ცუდად მოპყრობის შესახებ სამართალდამცავთა მხრიდან და მათ მიმართ აღძრული საქმეების გამოძიების მასალები, ინფორმაცია მათი გასამართლების, სასჯელის ან დისციპლინარული ზომების მიღების შესახებ.
22. მონაწილე მხარეს ეძლევა რეკომენდაცია ფართოდ გაავრცელოს საქართველოს რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი მოხსენებები, დასკვნები და რეკომენდაციები სათანადო ენებზე, ოფიციალური ვებსაიტებზე, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით. ასევე მონაწილე მხარეს ეძლევა რეკომენდაცია, ფართოდ განიხილოს დასკვნები და რეკომენდაციები სახალხო დამცველთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებთან, რომელიც მონაწილეობდა მოხსენების მომზადებაში ან უზრუნველყო მონაწილე მხარე სათანადო ინფორმაციით.
23. კომიტეტი მოითხოვს, ერთი წლის განმავლობაში მომზადდეს პასუხი კომიტეტის რეკომენდაციებზე, რომელიც ნახსენებია 9, 13, 16, 17 და 19 მუხლებში.
24. მონაწილე მხარე მიწვეულია, რათა მან წარადგინოს რიგით მეხუთე მოხსენება 2011 წლის 24 ნოემბერს.

